ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული გაზეთი

№15 (247) 2 აგვისტო - 5 სექტემბერი 2019 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი





გიორგი ჭკადუა

ჟამი სიცოცხლისა

— ერთი კვირის წინ მეკუბოვის ლაპარაკს მოვკარი ყური. გახარებული იყო. გაზაფხული მოდის, კლიენტი არ მომაკლდებაო. მცქმუტავი მოლოდინისა და საქმისთვის მზადყოფნის ნიშნად ხელისგულები ერთმანეთს გაუხახუნა და შემდეგ მარცხნივ გაიხედა. ჩემი ასაკიდან გამომდინარე, მისი პოტენციური კლიენტი ვიყავი. მეგობრულად გამიღიმა. ვიგრძენი, არ შერცხვენია. ამ ღიმილით ეცადა, მასზე მიბჯენილი გამჭოლი მზერა ჰაერში გაეფერკმრთალებინა და სამყაროსეული კანონზომიერება შეეხსენებინა ჩემთვის. ეს ისეთი კაცი იყო, სადმე თავისთვისაც ექნებოდა კუბო გადანახული. ყველაზე მნიშვნელოვან კლიენტს ხომ არ გაუშვებდა ხელიდან?! ჰოდა, რას ვამბობდი? ჰო, გაზაფხული მეკუბოვეებისა და მესაფლავეების სეზონი ყოფილა. სასაცილოა. ბავშვობაში აყვავების პერიოდი მეგონა. მოზარდობისას, შენხელა რომ ვიყავი — შეწყვილების. მერე სულ ფეხებზე მეკიდა, ზაფხული იყო, ზამთარი თუ სხვა რამ. ახლა გაზაფხული სიკვდილია. მოვა და ჩამაძაღლებს. მისი განუზომელი და, ამ შემთხვევაში, ამაზრზენი სილამაზე კი გარანტია ჩემი სწრაფად დავიწყებისა. ყველაფერი გამწავნდება. სკვერები ბავშვებით აივსება. კაბები დამოკლდება. დამოკლებულ კაბებს ბევრი მოცქირალი გამოუჩდნება. მზე მოგადგებათ. გათბებით და სითბო გაგაღიმებთ. მე კი გაზაფხულის დილის ცვარით დანესტილ მიწაში რატომ უნდა გავითოშო? სამი დღის შემდეგ აღდგომის გარანტია რომც მქოდეს, იმ სამ დღესაც არ გავატარებდი მიწაში. ყველაზე მტკივნეული კი ის არის, რომ ამ შეკითხვაზე პასუხს ვერასდროს გავიგებ. იცი, რა? მგონი, სამყარო გვიშორებს. მოდის გამაცოცხლებელი გაზაფხული, მოაქვს წვიმა, მოაქვს ქარი, მოაქვს ჩქეფა, მოაქვს თრთოლა. მოტანილს მიმღები ხომ უნდა ჰყავდეს, არა?! ამისთვის კი ის ადამიანი ნამდვილად არ გამოდგება, ვინც დარწმუნებული არ არის, ამ აჩქეფებულ სისხლის გადატუმბვას შეძლებს მისი გული თუ — ვერა. შენ ვერ გაიგებ. ჯერ — ვერა. უფრო სწორად, ვერც ველარასდროს.

— რატომ მე?

— ხომ გითხარი. პასუხის გაგება შეუძლებელია.

— შენ ხომ ბედი არ ხარ, ადამიანი ხარ. შენ შეგეძლო, რაიმე ნიშნით ამოგერჩიე, შეგეძლო, მიზეზი გქონოდა. დამდგარხარ და ლაყბობ. ერთი სულელი მოხუცი ხარ, მეტი არაფერი.

— მიზეზი მაქვს, მაგრამ არ მოგეწონება. ამიტომ სჯობს, შენით მოიფიქრო. ნებისმიერი რამე გაიხსენე, რაც დაგიშავებია და მორჩა.

— ესე იგი, პასუხის ღირსიც არ ვარ.

— მე თუ ვერ გავიგებ მიზეზს, შენ რატომ უნდა იცოდე? ცოტა დრო დარჩა. მზე ამოდის. გაზაფხული დგება. სად გირჩევნია — თავში თუ გულში? მიპასუხე და გავათავოთ საქმე.

— ამას რატომ აკეთებ?

— თუ ახალი სიცოცხლის შექმნის ძალა აღარ შემწევს, სხვისთვის წართმევა ხომ მაინც შემიძლია? სხვისთვის სიცოცხლის წართმევა კი იმას ნიშნავს, რომ მე ცოცხალი ვარ და მეტიც, შემიძლია, ცოცხალი ვიყო.

— ჩემს შემდეგაც იქნება ვინმე?

— კი, ყოველდღე ერთი გაზაფხულის დასრულებამდე. თქვენი მკვლელობით იმ მჩქეფარე ცხოვრებას მოვკლავ, რასაც სამყარო არგუმენტად იყენებს ჩემს წინააღმდეგ. არ იქნება მომავალი და წარსულს აწმყოშიც დაგვედება ფასი.

— თავში მესროლე. გული დაფლეთვის მერეც აგრძელებს ფეთქვას.

— როგორც შენ იტყვი...

გოდოლი

„თქვა უფალმა ღმერთმა: აჰა, გახდა ადამი როგორც ერთი ჩვენთაგანი.“
დაბადება 3.22

ბაბილონის გოდოლს ერთი ქვაღა აკლდა. ყველაზე მაღალი შენობის წინ ცეცხლისფერთმიანი კაცი იდგა. აღელვებისგან ქშენდა და მკლავებზე ძარღვები ებერებოდა. ეს არ ჰგავდა იმ გრძნობას, როდესაც რაღაც მნიშვნელოვანს მთელი გულით დაწერ, მაგრამ წაკითხვა აღარ გინდა. პირიქით, ახლა იწყებოდა ყველაზე რთული ეტაპი. ეყოფოდა კი ძალა ასასვლელად? უნდა ჰყოფნოდა, აუცილებლად უნდა ჰყოფნოდა, ამდენად აბსურდულიც ხომ არ არის სამყარო?!

ცეცხლისფერთმიანი გოდოლის პირველი მშენებლობის მონაწილეც იყო. ამბობდა, ის იმიტომ დაინგრა, რომ ადამიანებს თავიდანვე არ ესმოდათ ერთმანეთისო, ამიტომ გადაწყვიტა, მარტოს შეექმნა ისეთი შენობა, რომელიც მართლაც მისწვდებოდა ცას.

პირველი რამდენიმე საფეხური ფრთხილად აიარა. ქვა დანარჩენებთან შედარებით მსუბუქი იყო, ამიტომ ატანა არ უჭირდა. სიმაღლის მატებას გემო გაუგო. შემდეგ ნაბიჯს აუჩქარა. სწრაფად მიდიოდა და ყოველი საფეხურის აშენების დროს ნაგრძნობ ტანჯვებზე იმარჯვებდა. იმარჯვებდა იმიტომ, რომ ხვდებოდა, არცერთი მათგანი არ იყო ტყუილ-უბრალო. სისწრაფისგან ფეხი აებნა და ერთ-ერთ საფეხურზე მენჯით დაეცა. რამდენიმე მეტრით ჩამოსრიალდა, ფრჩხილებით ჩამოხოკა ქვის ზედაპირი. ეჩქარებოდა. ფიქრობდა — აშენებულზე ასვლა რომ ვერ მოვასწრო და გზაში რაიმე დამემართოს, სასოწარკვეთილებისთვისაც აღარ დამრჩება დროო. წამოდგა. საბედნიეროდ, ქვა შორს არ ჩავარდნილა. ყველაზე ნაკლებად გაჯანჯლება მოუხდებოდა ამ მომენტს. ცოტათი სტკიოდა ბარძაყი, მაგრამ სურვილი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. გზა გაგრძელა. კიდემდე ცოტა ხნით შეისვენა. ირგვლივ არ იყურებოდა. თითოეულ საფეხურს ასობდა მზერას. ბოლო საფეხურზე მაინც ქოშინით ავიდა. მზემ უფრო აუგიზგიზა თმა. ზემოთ ახედვამდე ქვემოთ ჩამოიხედა და თვალი მოავლო დედამინას, რათა შემდეგ უკვე სამყაროსთვის შეეხედა თვალებში. ბოლო ქვა დადო, ზედ ავიდა, წვერზე შედგა, გაიმართა და ხელი მაღლა ასწია. ცივი ზედაპირი იგრძნო. ცივი და მკვრივი. თითი დაუსვა, ღრუბელი მოაშორა და ნაცნობი ხმა მოესმა. შემდეგ სული შეუბერა, მაგრამ არაფერი შეიცვალა. შემდეგ თბილი ჰაერი ამოუშვა ფილტვებიდან. ცივი ზედაპირი დაიორთქლა. თითი გადაუსვა, გადაწმინდა, ნაცნობი ხმა აღარ მოესმა. ახლა ბოლომდე დარწმუნდა სარკის არსებობაში. ზედაპირზე ზუსტად იმას ხედავდა, რაც ქვემოთ იყო. მის მზერას სასონარკვეთა დაეტყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მიხვდა, რატომ დაანგრია პირველი გოდოლი ღმერთმა, ფილტვებიდან კი გაურკვეველი ბგერები ამოუშვა. მხოლოდ თვითონ მიხვდა, რომ თქვა — „არ ვჩანვარ; რატომ?“

თავისუფალი ვარდნა

ვვარდები და ჩემი სხეულის სიმძიმის მეშინია. მეშინია ყველა მოლეკულის, რომელიც მასას მიზრდის და სიჩქარეს მმატებს. მეშინია, მიზიდულობავ. მიწა მიზიდავს, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურად. მიწა მყარია და ძლიერი. მიწას რომ შევერწყმები, იქნებ მეც ასე ვიგრძნო თავი. წვეთი ხომ ოკეანეში ჩავარდნისას თავის თავს ოკეანედ განიცდის. თუმცაღა იმიტომ, რომ თვითონ ქრება. მეც გავქრები, მაგრამ ჯერ — არა. ჯერ არ დავცემულვარ. ეს დაცემა იქნება სამუდამო, რადგან მის მერე ველარაფერს შევიგრძნობ. ეს იქნება მუდმივი, რადგან იქნება ბოლო. მეშინია, მიზიდულობავ. მეშინია შენი, მიზიდულობავ, რადგან ხიდიდან გადავარდნილი ქალი აუცილებლად ჩავარდება მდინარეში. სხვას კი მხოლოდ ორი არჩევანი აქვს, გადაარჩინოს ის, ან — არა და ესეც იქნება მარადიული, ისეთივე მარადიული, როგორიც ჩემი დაცემა. ისეთივე მარადიული, როგორიც გოდოლის დანგრევა. მე ვვარდები და ველარ გამიგია, რას ვგრძნობ, რადგან სიხარულსაც ვარდნის შეგრძნების სუნი უდის. მე კი არ მიხარია. ალბათ, არ მიხარია. იმედია, არ მიხარია.

სუნი. იქნებ სუნით მივხვდე, რას ვგრძნობ?! ჰაერში მძიმე სუნია, ეს სიმძიმეც ემატება ჩემი სხეულის წონას. ეს მოლოდინის სიმძიმეა. ისეთი მოლოდინისა, როცა მაყურებელი ბოლო წამს ელოდება, ხელის გულებით თანამედროვე დაფდაფი რომ ააჟღეროს. მაყურებელი აპლოდისმენტებს გაიგდებს საჯიჯგნად და ამყაყებული, ტაშის ბგერათაშორისი სიჩუმე გაგილაწუნებს. ეს სიმძიმე, რომელიც ახლა ჰაერში სუნად დგას, ცხვირის ნესტოებს მიწვავს. ისევე მიწვავს, როგორც დედის ძუძუზე წასმული ძუძუსგადასაჩვევი წიწაკა მიწვავდა ენას. ოჰ, მათ უნდათ, რომ ჰაერს გადამაჩვიონ. ეს ცხვირის წვა სხვა სუნის შეგრძნების შანსს მართმევს. შეგრძნება მერთმევა, ალბათ ახლოს ვარ. ყურში კი მხოლოდ მდუღარე ჩასუნთქვის ხმა ჩამესმის და ჰაერის წუილი. ჩემი სიმძიმით ჰაერთან ხახუნის ჰანგები და ჩემი მოლეკულების ცახცახით გამოწვეული არაპოლიფონიურობა. ვცახცახებ, რადგან მეშინია, მეშინია, მიზიდულობავ. შენ არ იდარდო, არ იდარდო, მწვანე მუხლუხოვ. ჩემს შიგნით დაიმალე, დაიმალე, ჩემი კედლებით დაგიცავ, რომ ჩემი დაცემის შემდეგ გამოცოცდე და სხვას შეუჩნდე. მათაც რაიმე ხომ უნდა ჰქონდეთ გადასარჩენი. შენ — მიზიდულობავ, შენ — პუბლიკავ, შენ — მიწავ, შენ — ფესვო, შენ — მთვარევ და შენ არა ღამევ, თქვენ არაფერი ხართ. მხოლოდ დარდში ნაპოვნო სიხარულო, სევდანარევო სითბოვ, შენ ხარ რაღაც, რაღაც, რაც ჩემგან გამოხოხდება. შენ კი, ვინც თანამიგრძნობ და ამ თანაგრძნობით გამოწვეული ხიჭვის მოშორების ეგოისტური სურვილი გკლავს, ანუ შენ, ვისაც ჩემი დახმარება გინდა, არ ვიცი, რით დაგეხმარო. არ ვიცი, რა უნდა გააკეთო ამისთვის, მაგრამ ვიცი, რაც არ უნდა გააკეთო. ტაში არ დაუკრა. ტაში არ დაუკრა. ვვარდები. ტაში არ დაუკრა. ოჰ, მიზიდულობავ. ტაში არ დაუკრა. მიწავ. ტაში არ დაუკრა. მთვარევ. ტაში არ დაუკრა. შენ არა — ღამევ. ტაში არ დაუკრა; ტაშს ხომ არ დაუკრავ?!

ამაზე პასუხი ვერასოდეს გაიგო ვაშლმა, რომელიც ხეს მოსწყდა და არავის დასცემია. მიწას დაენარცხა და დაცემისგან გამოწვეულმა უკუძალამ შთააგონა, რომ თვითონ კი არ დაეცა მიწას, არამედ — პირიქით.

მაგიდა

სხვენზე ოთხ წელზე მეტხანს ვიყავი. მტვერში ვიხრჩობოდი. თოვლივით მედო სამ სანტიმეტრიანი ჭუჭყი. გამიხსენეს, როგორც იქნა. მომძებნეს, ჩამომიტანეს, გამწმინდეს, გამაპრიალეს. სპეციალური კრემიც კი წამისვეს, რომ მეტი მბზინვარება მიმეღო. ძალიან გავლამაზდი. დავმშვენდი.

სასტუმრო ოთახის შუაგულში მიმიჩინეს ადგილი. თეთრი ფერის ახალთახალი, უცხოდ ნაქარგი სუფრა გადამაფარეს. სკამები შემომიწყვეს. კარგები იყვნენ. თავიდანვე მოგვეწონა ერთმანეთი.

დამაწყვეს უამრავი ჭურჭელი: მინა, ფაიფური, კერამიკა, ლითონი. მოზიდეს აურაცხელი საჭმელი (ცილა, ცხიმი, ნახშირწყალი, სახამებელი) და სასმელი — ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო. ისე დამტვირთეს, ზურგი ჩამეზნიქა. ამას, დედას გეფიცებით, სხვენში უსაქმოდ დგომა მერჩივნა! იმედია, მშიერი ხალხი მოვა, ბევრს შეჭამენ და დალევენ, თორემ ამ სიმძიმეს დიდხანს ვერ გაუძლებს ჩემი სუსტი წელი. მე ხომ ძალიან ფაქიზი ვარ.

სტუმრები მალე მოვიდნენ, თუმცა ჩემთან მოახლოება არ უჩქარიათ. დიდხანს ბაასობდნენ. ნარდსა და ჭადრაკს თამაშობდნენ, კარტსაც. დიასახლისი კი კვლავ აგრძელებდა საჭმლის მოტანას და უკვე მეოთხე სართულად მაწყობდა თავზე. ბოლოს, როგორც იქნა, შემომისხდნენ გარშემო. მარტოსულად უკვე აღარ ვგრძნობდი თავს.

ფრიად საინტერესო ამბები მოვისმინე. თამადა განათლებული და ენაწყლიანი ტიპი აღმოჩნდა. ბევრი იხუმრა, სადღეგრძელოებიც ორიგინალური თქვა. ხალხს ოსტატურად აძალებდა და სასმელს ბოლომდე ასმევდა. ჭამითაც გვარიანად ჭამეს, იცოცხლე! უცებ ვიგრძენი სიმსუბუქე. ამოვისუნთქე. იმედი მომეცა. არც ისე რთული ყოფილა ეს საქმე, ტყუილად მეშინოდა და განვიცდიდი.

კარგადაც მღეროდნენ. მშვენიერი სუფრული სიმღერები სცოდნიათ. მეამა.

ცოტა ხანში მივხვდი, რომ ამაოდ მიხაროდა. ხალხი რომ დათვრა, მერე დაიწყო თუ დაიწყო პრობლემები.

ერთმა ალკოჰოლით მოწამლულმა წითელი ღვინო დამასხა თავზე. თეთრი ნაჭრის ქვემოთ გამოჟონა დიდმა სველმა ლაქამ. ასპროცენტიანი დამაჩნდება, ვიცი და სუფრაზე დაყრილი მარილიც რომ ვერ მიშველის, ეგეც ვიცი.

ბახუსის მეორე მძევალმა რატომღაც დოლად მიმიჩნია და გიტარისტის აკომპანირების მიზნით თითქმის ნახევარი საათი მიბრახუნა და მიტყაპუნა ბანჯგვლიანი კოტიტა თითები.

ორმა ცალტვინამ თავი დამადო და დაიძინა. საწოლსა და ბალიშში ავერიე საწყლებს.

ერთი საიდუმლოც შევიტყვე ძალაუნებურად. ლამაზი შუახნის ქალი თავისზე ბევრად ახალგაზრდა მამაკაცს სხვებისგან ფარულად ეფერებოდა. ფეხებით ეხებოდნენ და ხელებს უფათურებდნენ ერთმანეთს. ერთ ამბავში იყვნენ. ქალბატონის ქვედა საცვლის ფერიც კი დავინახე, მაგრამ არ გეტყვით.

შებინდებისას სტუმრებმა რაღაც უცნაური თამაში დაიწყეს, წაგებულები ჩემ ქვეშ აძრომიალეს. თითქმის ყველა მათგანს მოუწია იატაკზე ხოხვამ. ჰა, ჰა, ჰა — ბევრი ვიმხიარულე. რამდენიმე სტუმარს განსაკუთრებით არ გაუმართლა. ჩემს ფეხებთან დაჩოქილი ერთი მამალივით აყივლეს, მეორე ძაღლივით აყეფეს, მესამე კი „ვირი ვარ და ვყვირივარო“, გაიძახოდა საბრალო.

შუაღამეზე მუსიკა ჩართეს და ცეკვა გააჩაღეს. ცოტა მოვისვენე. თქვენ წარმოიდგინეთ, ხმაურის მიუხედავად, ჩამეძინა კიდეც. თუმცა, რად გინდა, ერთმა არანორმალურმა ჩემზე მოინდომა მაინცა და მაინც სტეპის ცეკვა. მერე რივერ დენსზე გადავიდა. იმდენი იხტუნა და იგიჟა, სანამ წელში არ გადამტეხა. მთელი ჭურჭელი დალეწა და საჭმელები პარკეტს ჩაახუტა. ვაი, ვაი, როგორ მეტკინა, ახლაც რომ ვიხსენებ, ცუდად ვხდები...

დროებით ხის ჯოხი შემიბჯინეს ყავარჯნად. იოლად მაინც არ დაიშალნენ. სულ არ ადარდებდათ ჩემი ტკივილი, დარდი და ვარამი...

გამთენიისას ძლივს გაიხიკნენ. ნეტავ, ამ ხალხს სახლი არა აქვს?!

წასვლის წინ ერთ-ერთმა ჩაძინებულმა გაღვიძებისთანავე კაი გვარიანი „ჩანჩქერო იმღერა“ ჩემზე. კიდევ ერთი მოუშორებელი ლაქა დამემატა, ამის დედა ვატირე!

მეორე დღეს ექიმი მოიყვანეს. კაი კაცი აღმოჩნდა. ოქროს ხელები ჰქონდა დალოცვილს. ზურგი მომირჩინა. ფეხზე დამაყენა, როგორც იტყვიან. ვენაცვალე მაგას.

კარგად კი მიმკურნალეს, მაგრამ შუა ოთახში აღარ დამტოვეს და კვლავ სხვენში დამაბრუნეს. სიმართლე გითხრათ, არ მწყენია, პირიქით — გამიხარდა.

განშორების ტკივილი

მანამდეც მიყვარდი, მაგრამ შენდამი ნამდვილ გრძნობებში მხოლოდ შემდგომ დავრწმუნდი... ალბათ, განშორების ტკივილმა იმოქმედა... მე საბრალოს მეგონა, რომ უსასრულოდ გაგრძელდებოდა ჩვენი ბედნიერება, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდა, მწარედ შევცდი... საუბედუროდ, ფუჭი იყო ჩემი იმედი...

მსურდა, ხშირად გვენახა ერთმანეთი, მაგრამ, საუბედუროდ, ასე არ ხდებოდა... ყოველი შეხვედრა შენთან დაუვიწყარი სიხარული იყო ჩემთვის... თუმცა შენ იშვიათად მოდიოდი... წელიწადში სულ რაღაც სამჯერ თუ ოთხჯერ... ვიცი, უფროსები არ გიშვებდნენ, ძალიან გიფრთხილდებოდნენ... ყოველი პაემანი არაჩვეულებრივად დასამახსოვრებელი და განსაკუთრებულად აღსანიშნი გვქონდა.

შენ ყველას უყვარხარ, შენ შეგწევს საოცარი უნარი, ყველა გააბედნიერო — კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა... მე, სხვათა შორის, ამის გამო არასდროს მიეჭვიანია, რადგანაც ვიცოდი, რომ ასეც უნდა ყოფილიყო... უბრალოდ, სხვანაირად ვერ იქნებოდა და იმიტომ...

გეტყვი, რომ სრულიად გამორჩეული ვინმე ხარ, ჩემო ძვირფასო! შენ მე მუდამ გვერდში მედექი და მეხმარებოდი! შენ ჩემს გვერდით იყავ ჭირშიც და ლხინშიც... ჭეშმარიტი მეგობრობა ხომ სწორედ ესაა! ამან განაპირობა შემდგომ ჩემი ძლიერი გრძნობა შენდამი...

დეტალურად მახსოვს ჩემს სამსახურში შენი ყოველი სტუმრობა — უკლებლივ ყველას უბედნიერი სახე ჰქონდა, გაცისკროვნებული დაიარებოდნენ, შუქიც რომ ჩამქრალიყო, სიბნელე არ იქნებოდა, რადგან მხოლოდ მათი სახეები გაანათებდნენ ყველაფერს!

ვიცი, რომ შენ არ მიგიტოვებივარ, ჩვენი განშორება მხოლოდ ავბედით გარემოებათა წყეული ჯაჭვის ბრალია...

ახლა უკვე აღარც გელი... ბოლო პერიოდში საბოლოოდ გადამეწურა შენთან შეხვედრის საბოლოო იმედი, რადგან გამოგვიცხადეს, რომ აღარასოდეს მოხვალ... დარწმუნებული ვარ, რომ ვერასდროს დაგივიწყებ...

და ბოლოს... წერილის დასასრულს მინდა, ვთქვა, რომ მუდამ მეყვარები, ჩემო დაკარგულო სიყვარულო, ხელფასის დამატებით მიღებულო ფულადო ანაზღაურებავ, ჩემო პრემიავ...

ვისი გორისა ხარ

იდგა 1993 წლის ზამთარი — იანვარი თუ თებერვალი. გახსოვთ ალბათ ის ავბედითი დრო, თბილისი საღამოს ექვს საათზე სრულად რომ ცარიელდებოდა და ქუჩაში მხოლოდ სხვადასხვა სამხედრო ფორმირების გვარდიელები რომ დასეირნობდნენ და მრავალნაირ „მუსიკალურ ნაწარმოებს“ ასრულებდნენ ავტომატებზე.

მაშინ 17 წლისა ვიყავი და თსუ-ს საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მეორე კურსზე ვსწავლობდი. მე და ჩემი ჯგუფელი დათო ქალაქის გარეუბანში ერთ ქალბატონს დავეძებდით, რომლის შესახებაც ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვებოდა. მისი არც სახელი ვიცოდით და არც გვარი. მისამართიც, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, არ გვქონდა მთლად ზუსტი. ერთადერთი, რაც დანამდვილებით იყო ჩვენთვის ცნობილი, იყო ის, რომ ეს ქალბატონი გარკვეული საზღაურის ფასად გარკვეული სახის მომსახურეობას ეწეოდა... კერძოდ, ნახაზებს ხაზავდა და, რაც მთავარია, იაფად.

მივაგენით, როგორც იქნა, მაგრამ, სამწუხაროდ, სახლში არ დაგვიხვდა. საღამოს ცხრა საათი იყო დაწყებული, როცა მეტრომდე მივაღწიეთ და ჟეტონების ასაღებად სალაროს მივადექით. ამ დროს ორი შეიარაღებული ფორმიანი მამაკაცი მოგვიახლოვდა და „ჩქარა წამოდითო“, უხეშად მოგვახალა. ჩვენც წავყევით და ნახევრად ბნელ ოთახში შევედით, სადაც სამი მამაკაცი დაგვხვდა — ორი ფორმიანი და ერთი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული.

„ამოალაგეთ ჯიბეები!“ — მოგვმართა პირველმა სამხედრომ.

„სტუდენტები ხართ?“ — დაინტერესდა მეორე ფორმიანი.

„დიახ“ — ვუპასუხეთ ერთხმად, მაგრამ ნივთების ამოწყობა არ გვიჩქარია.

„ამოალაგეთ ჯიბეები და ყველაფერი მაგიდაზე დააწყვეთ“ — ამოიდგა ხმა მაგიდასთან მჯდომმა შავკოსტუმიანმა, რომელსაც ძალზე გაფითრებული მოგრძო სახე და ღრმად ჩამჯდარი შავი თვალები ჰქონდა.

მართალია, არაფერი საგანგაშო თან არ მქონდა, მაგრამ მაინც არ მესიამოვნა. თუმცა არ შევწინააღმდეგებივარ.

დათომაც იგივე გაიმეორა. დამხვდურებმა ჩვენს ავლა-დიდებას თვალი გადააავლეს და ჩემი ჯგუფელისადმი ინტერესი მომენტალურად დაკარგეს, რადგანაც მას მხოლოდ ხურდები აღმოაჩნდა.

დათო გარეთ გაუშვეს, ჩემთან კი დაწყებული „გულითადი“ საუბრის გაგრძელება მოინდომეს — მაგიდაზე ხომ მამაჩემის მოცემული (და მხაზველი ქალისთვის განკუთვნილი) 300 რუბლი იდო.

„რა გვარი ხარ?“ — მკითხა პირველმა ფორმიანმა.

„ცხვედიანი“ — ვუპასუხე.

„სვანი?“ — ჩამეკითხა შავკოსტუმიანი და ნათლად შევატყვე, როგორ მოეღრიცა სახე ჩემი პასუხის მოლოდინში.

„კი“ — ვუპასუხე მოჭრილად და დოინჯი შემოვიწყვე. ამ დროს ჩვენი გვარი რაჭული შტოდან მოდის, მამაჩემი ამბროლაურის რაიონის სოფელ ქვიშარში დაიბადა და გაიზარდა, მე კიდევ ნაღდი თბილისელი ვარ.

მეორე სამხედრომ ჩემი სტუდბილეთი გახსნა და გვარი გადაამონმა.

„თბილისელი ხარ?“ — ხავსის ბოლო ნარჩენებს მოებღაუჭა შავკოსტუმიანი.

„არა. სოფლიდან“ — ვთქვი და შევეცადე, სვანური ინტონაცია დამეჭირა.

„მესტია?“ — ინერციით აგრძელებდა დაკითხვას პირველი ფორმიანი, მაგრამ ეტყობოდა, რომ მასაც აღარ ჰქონდა ძველი ხალისი.

„ლენტეხი, სოფელი რცხმელური“ — დავუსვი ბეჭედი. გაგონილი მქონდა, რომ ჩვენი მოგვარეები სადღაც იქ ცხოვრობდნენ.

„სტუდსაცხოვრებელში ცხოვრობ?“ — ჯიუტად არ ცხრებოდა პირველი სამხედრო.

„არა, ძმებთან გლდანში“ — ახლა უკვე მეც დავიჯერე, რომ სვანეთის ამაყი შვილი ვიყავი.

ხანგრძლივი პაუზა ჩამოწვა. უხერხულობის დასაფარად საუბარში კვლავ შავკოსტუმიანი ჩაერთო:

„რამდენნი ხართ?“

„შვიდნი“ — ჯმუხად ვუპასუხე, კოპები შევყარე და შავი შალის „ნიკოლსონა“ ქუდი შუბლზე კიდევ უფრო ჩამოვიფხატე. სინამდვილეში მხოლოდ ერთი ძმა მყავს და ისიც, ჩემი არ იყოს, სვანეთში ერთხელაც არ არის ნამყოფი.

დამხვდურები მიხვდნენ, რომ აღარაფერი გამოუვიდოდათ და ერთი ბოთლი არყის კისრება მთხოვეს. ვიმეორებ — მთხოვეს, მაგრამ ამაზეც მკვახე უარი ვტკიცე — დედაჩემს წამალი უნდა ვუყიდო და სოფელში გავუგზავნო-მეთქი, მივუგე... თუ თამაში იყო, ბოლომდე უნდა მეთამაშა.

„კარგი, წადი“ — დაღვრემილებმა მითხრეს და მეც დინჯად გამოვედი.

გარეთ გამოსულმა დათო ვეღარსად ვიპოვე.

ექსკალატორით ბაქანზე ჩასულს მატარებელი უკვე მოსული დამხვდა. ვაგონები თითქმის ცარიელი იყო.

სკამზე ვიჯექი, ჩემს წინ მდგომ ბოშა ქალსა და მის ტურტლიან ბავშვს თვალს არ ვაშორებდი, ჯიბეში არსებულ ფულს თითებით ვეხებოდი და უნებურად მეღიმებოდა...

კრიტიკოსი

წვეულებაზე საუბრობს ორი მამაკაცი:

— თქვენ, თუ არ ვცდები, დრამატურგი ბრძანდებით, არა?

— დიახ, გახლავართ. თუმცა ჯერ მხოლოდ ერთის შექმნა მოვასწარი.

— მე წაკითხული მაქვს თქვენი პიესა.

— მართლა? ძალიან სასიამოვნოა!

— სიმართლე გითხრათ... საშინლად არ მომეწონა.

— ...

— სიუჟეტი ძალზედ გაცვეთილი და ბანალურია, ხასიათები უფერული და სწორხაზოვანი; დიალოგები დაუხვეწავი და რეალობას მოკლებული.

— თქვენ გინდათ, თქვათ, რომ საერთოდ არაფერმა დაგაინტერესათ?

— იცით, რა... მე იმას გეუბნებით, რასაც ვფიქრობ.

— გულახდილობისთვის გმადლობ, მაგრამ თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით თუ საიდუმლო არაა?

— პროფესიონალი კრიტიკოსობა სულაც არ არის საჭირო, მიხვდე, რამდენად არარეალურია პიესაში აღწერილი ციხის ყოფა.

— რისი? რომელი ციხის?! ციხეზე არასდროს დამიწერია!

— როგორ, კალიმას ზონაში ცალთვალა ქურდი ზედმეტსახელად კაენი ებრაელ სტუდენტს, აბელს, რომ კლავს, თქვენ პიესაში არ არის?

— არა, ბატონო! გეშლებათ, დამერწმუნეთ!

— ა, უკაცრავად, ბატონო. მაპატიეთ. გულში ნუ ჩაიდებთ, ძალიან გთხოვთ...

* * *

— აბა, თქვენ რა თემაზე გაქვს დაწერილი, იქნებ მითხრათ?

— პიესის მოქმედება უზარმაზარ გემზე ხდება...

— ბრიტანიკზე?!

— დიახ, გამოიცანით.

— დაუჯერებელია! ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ასეთი კრეტინიზმი ცხოვრებაში არ წამიკითხავს, ამასთან შედარებით ციხეზე პიესა შექსპირის დრამატურგიაა!



უცნაური უსტარი

ზღაპარსა გავს, ამ ქვეყნად,
რა არ ხდება, ძამო!..
სასწაული, ნამდვილი,
როგორ არ ვიწამო?!

დაბზრიალობს თუ არა,
სულ მის ბედზე ვწუხდი;
გაოცდებით — ფრთებს, თავ-ყელს,
აკრავს რა ზურმუხტი.

ხოჭო, გვირგვინოსანი,
თვით ხელმწიფე მწერთა,
ჩემგან ბევრჯერ ქებული,
ამას წინათ მწერდა:

„სიკეთეთა, უზღვავთა,
აღარც მახსოვს რიცხვნი;
მაქვს რწმუნება, ჩვენს მფარველს
სამადლობელს გიძღვნი.

გულით მინდა ვემთხვიო
შენი გულის ფიცარს;
ათასი ხიფათისგან
უმწეოებს გვიცავ.

გაკვირდები შორიდან,
მარტოსულად ცხოვრობ,
ვერც ჩამოვთვლი, იმდენი
დამრჩა სამახსოვრო.

ისევ ცის გაქვს იმედი,
იმზირები ზევით;
მკვიდრნი ჩემი სამეფოს
გიყვარს გამორჩევით.

ვერც მე ვიტან მავნეებს:
რწყილს, ბაღლინჯოს, კოღოს...
ვინც რო არას აშავებს,
იფრინოს, ილოღოს.

ვიცი, ჭიანჭველისთვის
არ დაგიდგამს ფეხი;
გაფუფუნდა მრავალი
კისერმოსაგრეხი.

მითხრეს შენზე, ბოლო ჟამს,
უჭირს ყოფნა მანდო,
რა მოხდება, წუხილი,
მწარე რომ გამანდო!

შესაზიზღი, მზაკვრული,
ყველა საზღვარს გაცდა;
რა ხეირს დაგაყრიდა
პირშავობა კაცთა?!

ჩვენთან გირჩევ გადმოსვლას,
ნახავ ზიმზიმს ფერთა;
ღამე გამოვიშლებით,
ფრთებსაც გავშლით ერთად.

გწერს მეფე ხოჭანჭური,
ჭიაფერას წვენით.
ხელისგულზე დაგისვამთ,
კვალიც გაქრეს წყენის,
გელის სიამტკბილობა,
ვერსათქმელი ენით,
ისეთ პატივს გპირდებით,
ღმერთებს რომ შეშვენით!“

მშობლის ამაგს რა ვუყო,
მინა მზრდიდა უყი;
ვწუხვარ, მსურველს კეთილის,
გავცე რა პასუხი?!

უხერხულიც კი არის,
იმას ერქვას მწერი;
მიდევს სახელმოხვეჭილ
ხოჭოს მონაწერი.

ვიჯახირებ, სანამდე
გამწყრომია ზენა;
მეეჭვება, დიდი ხნით
ღირდეს აქ დარჩენა.

მზე მინაზე
გათენების წუთები

ძველ ჩარჩოში ჩასმული,
არის ერთი ციდა;
მზემ, დილისამ, ჩემს სარკმელს,
ცეცხლი წაუკიდა.

ვბორგავ, მაბორიალებს —
ფანჯრის მინა მცირე;
ბროლად აბრიალებულ
ხილვას შევეწირე.

ლაპლაპს, არამქვეყნიურს,
გამახსენებ ნუღარ;
მზერა ვერ გავუსწორე —
ბაჯაღლოს გავს, მდუღარს.

ვიწყებ წრიალს, წარმართი,
და ხელების სავსავს;
იგივე მზე შეენთო
ხის საწოლის თავსაც.

ლამობს, არანაკლები
ცეცხლი წამიკიდოს,
თვით სიცოცხლის ფასი აქვს
ოქროს თავთავს, თითოს.

ბოლავს, მივჩერებივარ
მოკრიალე სარკმელს;
ამას ვერანაირი
აირეკლავს სარკე.

სული, ანცი, წანწალმა,
ჯერეთ ვერ მოქანცა;
არა განძში არ გავცვლი
მოგიზგიზე ხანძარს.

სასწაულის, გაშლილის,
არ მოვიშლი ხატვას;
დავუკოცნი, რომც დამწვას,
მზეს, აშვებულს, ცხრა თვალს.

იბრიალოს, იგრგვინოს,
ასე, კიდით-კიდე...
ჩემს ავარდნას ვაბრალებ —
მზეს, სისხლივით წითელს.

ღამე

ვინ იტყვის, ღამეს ძირში რა უდევს,
ძნელად ასახსნელ ხილვებს მოდენის,
იდუმალების იგია ბუდე,
არავინ იცის ღამისოდენი.

ფერით, ლანდებით ჩამოგავს ჰადესს,
რამდენადაც გსურს, მისდექ, დაყავი...
სად არ დააფენს შრიალა ბადეს,
ყოვლის დამბადი და ჩამსახავი.

თვალდაუწვდენელ ქვესკნელში მძირავს,
რა მექნა მეტი, უნდა მეთია;
ასეთი აზრიც მომსვლია ხშირად —
ქაოსის დედა და ნაფლეთია.

გავხედავ, გაღმით, მახათას ბექობს,
მიაპობს ჰაერს ხმა თვითმფრინავთა;
ზრიალი ფანჯრებს ეხლება ექოდ,
წუხელაც მათი შუქი ბრწყინავდა.

ვიცით, ნებაა ვისი და რომლის...
ლაჟვარდი ბინდმა თუ არ გამურა,
სხვაგვარად ვერ აენთება ხომლი,
უღიმღამოა ცა უღამურად.

არიგებს — სასოწარკვეთას, იმედს,
გარეთ გამოაქვს, თუ რამ გვებადა...
შეყვარებულთა იგია მღვიმე,
თავშესაფარიც — ბოროტებათა.

თვით დასეტყვილი, სიტყვას ტყავს ვაძრობ,
ველური ჟინი როცა ამიტანს;
დახედონ, ჩუმად აწყვია, რაც რო
გამომიწურავს ბნელი ღამიდან.

ქვესკნელის მონახულება
ჩამუქებული სურათები

ბებერ ხსოვნაში ჩაჯდა, ჩარჩა.
ეს იყო, თუ არ ვცდები, შარშან,
შავი ღრუბლების ყომრალ ფონზე,
გორაკებს მახვედრებდი შავ-შავს,
მკერდი, შიშველი, რომ დამეცვა.
რკინისას, არ ვეძებდი ჯავშანს.

შემაშფოთები იმაზედაც,
ბნელი მიცდიდა დაბლა, ხევი,
გამეტებული, აღერღილი,
ღორღიან დაღმართს დავუყევი,
სადღაც ნანახი, ფარღალალა,
ვიცან ფიცრული, ნაყანევი,
არ ღირდა მეტი დაყოვნება,
ვთქვი გულში, რა დავტოვე ზევით?!

მოქანცულს შავად დაცვარული,
შუბლიდან ოფლი მომწვეთავდა,
ჯგროდ გამოშლილი, არ მეშლება,
სხვა იყო ბზინვა ფერთა, შავთა,
დაშვავებული გზის ნაპირზე,
ხორბალი შავს მიწვდიდა თავთავს,
მეჩხერ კენჭებზე მოჩხრიალე,
წყალიც, აქაურ წყალს არა გავდა.

ჩალმეგის ეპოქა

პირქუში, მოგვითხრობენ საგები,
უშიშარ ზღვაოსნებად ნაქები,
ჩრდილოეთიდან დაძრულნი, გუნდად,
რა აფრებს შლიდნენ ვარიაგები.

დაიხა ძველთა ტოგა, მანტია,
ბოსფორზე სულ სხვა ცეცხლი ანთია;
ნეტარ დროს, ჩვენიც რომ იყო ზურგი,
სადღაა, გაქრა ის ბიზანტია.

წონასწორობაზე

მეტყობოდა ადრევე,
მიჭირს თავის ფლობა;
სულზე დამდებს ეს ჩვევა —
შეუთავსებლობა.

ასე რაც მეძალება,
ვერ ამოვდებ აღვირს;
ნდომას სინატიფის და
ქროლვას, წარმოსახვის.

წამით წარმოიდგინეთ —
მზე მწველი და ჩერო;
ვწვალობ, ორთა ჭიდილი,
როგორ შევაჯერო.

ნიშანს მაწვდის წადილი,
მწედ გადიქცეს ნაკლი;
ტოტს მოებას ნაყოფი,
მწიფე, შენაფაკლი.

ავიცილე რამდენი —
ორმო, მახე, ბადე;
სხვა რა უნდა მეღონა —
ურჩმა, ჩემი ვცადე.

გულმა უგრძნო

ქარი გლეჯდა დარაბებს,
დარი აღარ დარობდა,
სიკვდილს მიახლებული,
მამაჩემი ჩქარობდა —

დაექანა ბოლოსკენ
წმინდა დასაწყისიდან...
ფერეთაში წავედით,
ინახულა მისი და.

საითაც კი გასწია,
ყველგან კუდში მოვები;
ბოლოსწინა ზაფხული
გახდა გამოთხოვების.

დამიტოვა ტკივილად
მწუხარება ულევი...
სიხარულზე, ხალისზე,
დავალ ნამარხულევი.

ერთ კევრში ხართ შებმული,
ლაჩარო და მამაცო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთქვამთ, ვერ დაეწევი,
ჩაიქროლა რამაცო.

სვანეთის ასული
ესმა

ის იშვა, ღმერთო მაღალო,
სადიდებლად შენდა,
თვალს ძნელად გაუსწორებდი,
ირგვლივ სხვა ნათელს ფენდა.

ამაყად ყელმოღერილი,
გაუთხოვრობა მისი —
ენთო, ფეთქავდა, ვერავინ
გამოჩნდა საკადრისი.

შრიალში ეჯიბრებოდა
გიშრის თმას გიშრის მძივი,
ტბის გაშლილ შროშანს უგავდა
ღიმილი, ღვთაებრივი.

ცრემლებს აღვრიდა, მდუღარეს,
ახსენდებოდა საცა,
იმ ერთ ბიჭს, ბეჭებგანიერს,
ვინაც ზღვამ მიიტაცა —

თავფარავნელი ჭაბუკის
ჟინი ბოჭავდა ვისაც,
გასხლტა, გაშორდა სამზეოს,
სულ ოცდაექვსი წლისა.

დაჯდა მხატვარი, მელექსე,
გლოვის მდინარის პირას,
ფშაველ ქალს შეშურდებოდა,
იმგვარად დაიტირა.

დალის კვალდაკვალ მავალმა,
თქვენ შემოგხედათ, მთებო,
კეთილი, ყოვლისდამტევი
გული რომ გადაეპო.

დაცილება

არ მინახავს იმათი
ხუთვა, აგონია,
ცეცხლს რომ ყრიდნენ ბიჭები,
მკვდარი არ მგონია.

არ აწუხებთ ქარ-ყინვა,
სიცხეც გაგანია...
შენკიპული, სასროლად,
ვისი ნაგანია?!

უსშველო, რამაც რო
სული ამომხადა,
სიშორეა ნაპირთა,
გაღმა-გამოღმათა.

ის დრო დადგა, მორევში
თავით გადეშვები,
დამფეთები, ფრთაშავი,
მთოშავს გათიშვები.

ვაება წამხდარ დროში

ბევრნი, ორფეხთაგანი, იქცნენ ნადირებად,
იოლია იოლზე ჩემი ატირება.

რა იქნება, აკეთონ, თითომ — მადლი თითო,
არ ვაპირებ იმის თქმას, მე გამიფრთხილდითო.

არაერთხელ დავიბი თავი სასაბლეთი;
არ გამწირა, მიძლებდა გული, დასაფლეთი.

ტანჯულს, ყელის ძარღვებიც ბევრჯერ დამებერა;
ვლამობ, რაც დამიბარეს, შევძლო რამეფერად.

* * *

არასდროს მიწუხნია —
ვინ მძალავდა, მჯობნიდა;
ხშირად ვცდილობ, თავს, ჩემსას,
ვუმზირო არყოფნიდან.

გამოჩნდება უფრორე,
საჭირო ვარ თუ რისი;
ჭურში ჩასაყრელია
ამდენი საჭურისი.

რა სიკეთეს მოიტანს
გარჯილობა ეგეთი,
არაქათგამოცლილი,
არც მე ვარ ბერექეთი.

წამში შენაღამებო,
ხატად დამრჩი შენაღა...
მოგიზგიზე სამზეო
ნეტა სულ არ მენახა.

დიდხანს ვაკვირდებოდი

სასაფლაოს გალავანთან
ძლივს დაჰქონდათ ტანი;
გატიკნულან კრაზანები,
ყვითელმუცელანი.

მოყავისფრო თავსა და ფრთებს
შვენი, შავო ზოლო,
მკუთავი და გაბურთული,
ოქროდ უჩანთ ბოლო.

სულის მოსათქმელი ჩრდილი
იცი, ცაცხვის ძირო!..
გროვდებიან — ოთხნი, ხუთნი,
რა აქვთ სათათბირო?!

ერთი, ზორბა, დანარჩენებს,
ტუქსავს, ცაცებს უქნევს...
მოკლე-მოკლე მანძილებზე
უყვართ ფრენა მსუქნებს.

გამახარეს, ზედმეტია
აღტაცება, ტაში...
რა საყვარლად ფუსფუსობენ,
მინდა სწორედ მაშინ,
გადავეშვა, გავერიო
იმათ მარაქაში.

დამწყებ დიასახლისთა საყურადღებოდ

დროზე, სანამ ზაფხულიც
მიილია, მიდნა!..
ტყემალს — ქინძი, ომბალო,
ნადუღს მისცხეთ პიტნა.

წამლად გამოიყენებ
ჟოლოს, კილოს ორ-სამს;
წითლად ღუის, მოხარშვა
უნდა პამიდორსაც.

დამჟავებაც ოქროდ ღირს
კიტრისა და ნივრის;
გირჩევთ, როდის ვყოფილვარ
მთქმელი მე საჩივრის.

დატრიალდით, გაშლილა
ასპარეზი ფართე;
დღესვე, ზამთრის მარაგზე,
ფართი-ფურთი გმართებთ.

რაღა დამრჩა სათქმელი
ანუ მოსაყოლი;
მოუაროს, მიხედოს —
კაცს ჭირდება ცოლი.

ვერავის შევეხიდები

რა გაუძლებს — ჯოჯოხეთს, ნამდვილს, ვხედავ აქედან,
მე რას ავუთავდები, უფლისგან მისახედარს,
შევიშლები ამდენის მომსწრე და გადამტანი,
შველას ელის, შვარშვალებს ოკეანე სახეთა.

ვიტყვი — გამოსაჩენი, ამ ჯგლეთაში, რითა ვარ,
მგლეჯელთან, მისნაირთან, ჩემმა მტერმა იდავა,
ცეცხლში განზავებული, უმალ განზე გავდგები,
სატანჯველის, ამგვარის, ვერ ვივარგებ მზიდავად.

ჯურღმულში ვზი, დამიხსენ, წმინდავ და უებარო,
გაიხსენო ეგების დღე, გასმინე ქება რო,
მწადს გაწვდინო ვედრება: გამაქანე უკანვე,
მეხდახლილი, დაღლილი, მინდა, შენვე გებარო.

ქება კვიპაროსს

ვუმზერ გვირგვინს, ძეწნის წვრილმა
ტოტებმა რომ დაწნეს;
კვიპაროსო, ქარიანი
ამინდის ხარ მაცნე.

ისრის დარად ატყორცნილო,
ლაღი გიყვარს რხევა;
შეღამებას უფრო შვენი,
ამბობ — გლოვის ხე ვარ.

გრიგალს მკერდით ეგებები,
ტანს დაიქნევ მსწრაფლად;
გეცოდება, ჩემი შვილის
არ შორდები საფლავს.

ვეფერები შენს დაკროლილ,
მკვრივად შეკრულ გირჩებს;
შუქმთოვარო, მთავარია,
ფესვი გადაგირჩეს.

მძლავრობ, ცაში გიცემს გული,
ზამთარ-ზაფხულ მწვანე;
ვიყავი და სულ ვიქნები
შენი მოთაყვანე.

არაფერი იცვლება

მიჭენაობს ეს ცხოვრება,
ბევრისათვის მუქთა,
ჭაპანწყვეტაც... როგორ ვიტყვი —
ტვირთი შემსუბუქდა,
ზოგთა მსგავსად, არ მჩვევია —
აყენება ბუქთა.

ჩალის ფასიც აღარ შერჩა
მტვრიან გზებზე ჩანჩალს,
სად დაეშვას, თუ კალიას
მოაგლიჯე კანჭა!..
აქ ნამყოფი, მეტ-ნაკლებად,
ყველა დაიტანჯა.

შვილიშვილის მონატრება

ვწუხვარ პინა სასწორის
სევდას დაუყანთრია;
როდის ჩამეხუტება
წვრილკისერა ანდრია.

დამირეკეს — აგვიკლო,
გოჭისა აქვს მადაო,
ხტუნაობას, ცელქობას
უფრო მოუმატაო.

არ მეყოფა მარტოდენ
მობილურში ყურება;
აქედან რაც წავიდა,
სამი თვე იწურება.

მზეჭაბუკად იზრდება,
არ დამწამონ — გაბუქა!
შემოევლოს, შორიდან,
მოწყენილი ბაბუკა.

დამაბრმავა

იქროლებ, არსად შეგხვდება
ვარსკვლავი, მოხამხამე,
ყველაზე საშინელია —
ღამის იქითა ღამე.

არას იტყოდი, მცირედიც
რომ ჭიატებდეს სხივი,
აგიზგიზებულ ცეცხლისაც
ვერ გაიგონებ შხივილს.

წინასწარ იცი, სატანჯველს
რომ არ ექნება ბოლო,
დაფლეთილს, მოუსავლეთში,
რა გინდა, გაიყოლო.

ასაქცევ-გასაქცეველი,
არ მეგულება სხვა მე;
ვის გაუკვეთავს ღამეზე
წაფარებული ღამე.

წკიპზე ვიმყოფები

წახვალ, უნდა დატოვო —
რა მოყვრები, რა მტრები!..
ურცხვად ჩასაფრებული,
ბოლოს მიღებს ზამთრები.

მზე ფლიდობს, იმალება,
მომლოდინე ქართა ვარ...
ბევრი — გარდასულია,
ბევრი კიდევ — გარდავა,
რა ვიღონო, არც ვიცი,
მუხლის გასამართავად.

ჩემი დღე და მოსწრება
ნაღველში რამ წარია?!
არაფრით არ მეთმობა,
სული მართლაც მწარეა.

ტყვედ ჩავარდნილს, ვინ მეტყვის,
გულს რა ჯავრი დანაღმავს...
სულ ზამთარი რო მედგეს,
იმაზეც ვარ თანახმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათამაშო

ანა გელაშვილი

როგორც კი სახლიდან გამოვიდოდა მეგი და საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი სამსახურისკენ მიმავალ გზას დაადგებოდა, დარდი გულიდან კისრისკენ ამოიწვერებოდა, აქეთ-იქით გადაიზრდებოდა, გაღვივდებოდა, დამძიმდებოდა და მხრებზე ლოდივით დააწვებოდა...

მისი ცხოვრების ბილიკზე მორიგმა დაბრკოლებამ მაშინ იჩინა თავი, როცა ტესტმა ფეხმძიმობა დაუდასტურა.

დილემის წინაშე იდგა — ან ჩუმად უნდა მოეშალა მუცელი, ან ორი გოგოს შემდეგ ბიჭის მომლოდინე ქმრისთვის ეთქვა სიმართლე და მასთან რუდუნებით დალაგებული ურთიერთობა ერთი ხელის მოსმით დაენგრია.

ყველაზე უკეთ დარდის დაფარვა გამოსდიოდა. სევდამორეულსაც შეეძლო გაღიმება.

სხვა გზა არც ჰქონდა, თავიდანვე გააფრთხილა უფროსმა, რომ დამსვენებლებთან კეთილგანწყობა გამოეჩინა.

ასეც იყო, სახეზეღიმილაკრული იდგა ბართან და სტუმრებს ჩაითა და ყავით უმასპინძლდებოდა; თავისუფალ დროს კი თანამშრომელ ნაზისაც ეხმარებოდა სასტუმროს უშველებელი ფოიეს მოწესრიგებაში, სადაც განუწყვეტლივ ვიღაც მიმოდიოდა, ყვიროდა, თამაშობდა, ჩხუბობდა, მაგრამ ყველას ერთად ხუთი წლის სესილი უდრიდა, რომელსაც უშრეტი ენერგიის წყალობით დღეში მხოლოდ რამდენიმე საათს ნახავდით კნუტივით გატრუნულს, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა კომპიუტერში „გოჭი პეპას“ ან „ემილიას“ უყურებდა; დანარჩენი დრო კი ფოიეში დარბოდა ასკინკილით და, მიუხედავად იმისა, რომ ხელში მხოლოდ ერთი პლასტმასის სათამაშო მინიონი ეჭირა, უხვად ყრიდა ძირს კბილის საჩხრეკ ჩხირებსა და პურის ნამცეცებს; ნაზიც ფეხდაფეხ დასდევდა მტვერსასრუტით და შიგადაშიგ მეგისთან იოხებდა ხოლმე გულს:

„დღეს სესილის კუდაბზიკა დედამ გულს ვარდი მომფინა, კიდევ ორი კვირა ვრჩებითო და მერე ისევ ოთახში აუბრძანა ქმარს საჭმელი, სულ მაგის გაზულუქებულია. კაცს კი არ უნდა ელოლიავო, სხვანაირად უნდა მიუდგე. უნდა მივიდეს და გადაჭრით უთხრას, რომ სირცხვილია ოთახში სადილობა და სასადილოში უნდა ინებოს ჩამოსვლა!“

ასეთ დროს მეგი შეფარვით დაიდებდა ხოლმე მუცელზე ხელს და გაიფიქრებდა: „ამაღამ მივალ სახლში, ჩემს ქმარს დავიმარტოხელებ და ვეტყვი — ფეხმძიმედ ვარ გოგოზე და უნდა გავაჩინო!“

მერე სესილიზე გადაიტანდა მზერას, რომელიც მრგვალ, კამკამა თვალებს წამდაუწუმ აფახურებდა.

რომელიმე რიცხვს ჩაიფიქრებდა და თუ არჩეულ რიცხვზე სესილი თვალებს დაახამხამებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბავშვი უნდა გაეჩინა, ხოლო თუ ასე არ მოხდებოდა, ქმრისგან მალულად მოეშალა მუცელი. თუმცა რა რიცხვიც არ უნდა ჩაეთქვა მეგის, სესილი დარიგებულივით იმ რიცხვზე ახამხამებდა თვალებს.

* * *

სასტუმროს ფოიეში დიდი ჟრიამული იყო...

ყველა ცდილობდა, მხიარულად გაესტუმრებინა პატარა სესილი მშობლებთან ერთად, გულის სიღრმეში კი გული სწყდებოდათ, თავად ნაზისაც კი.

მეგი იქვე იდგა, არეული, ფერმკრთალი, მხოლოდ გარეგნულად უერთდებოდა საერთო ჟრიამულს და კვლავ იმაზე ფიქრობდა, ეთქვა თუ არა ქმრისთვის სიმართლე.

სესილი ზოგს კისერზე ჩამოეკიდა, ზოგსაც წელზე შემოეხვია.

რამდენჯერმე შემობრუნდა და ჰაეროვანი კოცნებით ხელახლა დაემშვიდობა ყველას.

— მგონი, აღარ მობრუნდება, — წყენაშეპარვით გადაულაპარაკა ნაზიმ მეგის.

„თუ ახლა სესილი მობრუნდება, ბავშვს გავაჩენ“ — გაიფიქრა მეგიმ და თვალები დახუჭა.

„ვაითუ, არ მობრუნდეს?“ — გულში გაელვებული შიში უეცრად ატეხილმა ხმაურმა დაუხშო მეგის.

სესილი მის წინ იდგა და კამკამა თვალებით შესცქეროდა, მერე თავისი სათამაშო მინიონი გაუწოდა და კრიალა ხმით უთხრა — შენს შვილს წაუღე ჩემგან საჩუქრადო და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

მეგი აქეთ-იქით ბალახამოწვერილ ბილიკს გაუყვა.

ჩანთიდან მობილური ამოიღო და ქმარს დაურეკა:

— ბავშვს ველოდები... გოგოს... და უნდა გავაჩინო! — დაძაბულმა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მაგრამ ოდნავ სიმკაცრეგარეული ხმით უთხრა.

— კარგად არ ისმის, რას ელოდები?! — ქმრის ხმამაღალმა უხეშმა ტონმა აზროვნებისა და მეტყველების უნარი დაუხშო.

ის-ის იყო ქმართან სატელეფონო საუბრის გამთიშველ წითელ ღილაკთან მიიტანა ცერა თითი მეგიმ, უეცრად ჩანთიდან გადმოვარდნილმა სესილის ნაჩუქარი სათამაშოს ძირს დავარდნის ხმამ თითი ჰაერში გაუშეშა.

— სათამაშო... — შეცბა და ხმამაღლა შეიცხადა მეგიმ.

— რა სათამაშო? რას ამბობდი?

— იმას გეუბნებოდი, რომ ფეხმძიმედ ვარ... გოგოზე... და უნდა გავაჩინო! — ერთი ამოსუნთქვით უთხრა მეგიმ ქმარს და მობილური გაუთიშავად ჩააგდო ჩანთაში.

მერე სათამაშო ორივე ხელისგულში მოიქცია, ნისლჩამოწოლილ გორაკს გახედა და ღიმილმორეულმა თქვა: „სესილის დავარქმევ!“

გვიან გადადგმული ნაბიჯი

დილაადრიან დგება ღვთისო — ცეცხლს აგიზგიზებს, განიავებულ ოთახს ათბობს, მერე აივანზე გადის და საღამომდე გაფუჭებული ხელსაწყოების ნაწილებს ჩაჰკირკიტებს.

კარის მეზობელი დაცინვით ეუბნება ხოლმე: რაღად ანთებ ამ ცეცხლს — შეშას შეშად წვავ, მაინც მთელი დღე გარეთ ხარო.

აბა, რა იცოდა იმან, რა დი(ა)დი მიზეზი ჰქონდა ღვთისოს გარეთ ყოფნის? როგორც კი მისკენ მიმავალ ცისიას დაინახავდა, მაშინვე ყმაწვილური ენერგიით წამოხტებოდა ფეხზე, შევარდებოდა სახლში, მიმქრალ ცეცხლს გააღვივებდა, ოთახს ხელს შეავლებდა, უსარგებლო თუ რამ ეგდო, ლოგინის ქვეშ შეჩურთავდა, მძაფრ სურნელოვან ოდეკოლონს აპკურებდა ოთახში — არეულობამ და სიცივემ არ დააფრთხოს ქალიო —შიშობდა.

ერთი ეგ იყო, დინარას გარეშე არ მიდიოდა მასთან ცისია — სირცხვილია, ხალხი რას იტყვისო — ფიქრობდა.

დინარას კიდევ მაშინ უჩნდებოდა ღვთისოსთან სტუმრობის სურვილი, როცა უბანში საკბილო აღარაფერი იყო, ეს კი იშვიათად ხდებოდა.

ოღონდ ცისიას გარეშე არაფრის დიდებით არ წავიდოდა — გამოდი ახლა და ბარემ დარჩი იმასთან, ისიც მარტოა და შენცო — ეტყოდა ხოლმე და დასაკლავი ცხვარივით გაიგდებდა წინ, ისიც მორჩილად მიჰყვებოდა და გულზე მიბჯენილ სიხარულს, რომელიც თვალებში გამოსჭვივოდა, სახეზე ჩამოყრილ თმებში მალავდა.

მზის ჩასვლამდე ელოდა ხოლმე ღვთისო ცისიას გამოჩენას. იმედი რომ გადაეწურებოდა, ხელებს უღონოდ ჩამოჰყრიდა და სიცივეჩასახლებულ სახლში ისე შეძვრებოდა, როგორც მინდვრის მარტოხელა თაგვი სოროში.

აღარ მოგყავს ცოლიო, რომ ჰკითხავდნენ, ნაღველს ამოაყოლებდა ხოლმე სიტყვებს — აბა, რაღა დროს ჩემი ცოლია, ეს ოხერი ღვიძლი როდის დამეშლება, ღმერთმა არ უწყისო.

ღვთისოსა და ცისიას მარტო დარჩენის შიშმაც კი ვერ გადაადგმევინა ერთმანეთისკენ ნაბიჯი.

მხოლოდ გასულ ზაფხულს ცისია ფრიად შეაშინა დინარას ნათქვამმა: ღვთისოს დისშვილი უცხოეთში უპირებს წაყვანასო. ღვთისოს დაკარგვის შიშმა სხვა ყველა დანარჩენი მიზეზ(ებ)ი გადაფარა, რაც აქამდე ხელს უშლიდა მასთან მისასვლელად და დღისით-მზისით, ყველას დასანახად, მიადგა ღვთისოს; ხან რა უთხრა, ხან — რა, ღობე-ყორეს მიედო, ვერ მოაბა თავი სათქმელს, თუმცა უთქმელადაც კი მიხვდა ღვთისო მისი სტუმრობის მიზეზს...

მეორე დღეს, მზემ რომ ფეხის წვერებზე აიწია და ჩვენსას ჩამოიხედა, დინარას ნაბოლარა გოგომ ცისიას ამბავი მიუტანა: ღვთისო მომკვდარა, წუხელ ძილში გაპარულაო.

ანცი და ონავარი ბავშვია ანიტა, ნამდვილად მომატყუა, გამამასხარავა ალბათო — უშედეგოდ ჩაეჭიდა ხავსს ცისია და ღვთისოს სახლის წინ შეკრებილ კაცებს მიუახლოვდა.

წუხელ საღამოს უცნაურად უელავდა თვალები, აივანზე იჯდა და ღიღინებდა, იქიდან გადმომძახა — ხვალ ეზოში ჯართი მომაგროვებინე, როდემდე უნდა მეყაროს ასეო... — ღვთისოს კარის მეზობელი ეუბნებოდა დანარჩენებს.

აურზაურში ცისიას რომ ფეხი მოეკვეთა და ღობეს მიყრდნობილს მწარე ქვითინი აუტყდა, არავის დაუნახავს...

ქრისტესისხლები

პატარა, ხის მოაჯირიანი სახლის წინ თითქმის ჭიშკრამდე გაშენებული ქრისტესისხლები მეზობლებში უკმაყოფილების მიზეზს იწვევდა — უხსენებელი არ იყოს დაბუდებულიო — ამბობდნენ და თავს არიდებდნენ იქაურობას.

სახლის დიასახლისი მართა კი სულაც არ ფიქრობდა ასე — პირიქით, ღრმად სწამდა, რომ ქრისტესისხლა წმინდა, ზეციური მცენარე იყო, ამიტომაც დაიდგამდა ხოლმე მათ წინ პატარა სკამს, კარტოფილით სავსე ჯამს კალთაში ჩაიდგამდა და აუჩქარებლად თლიდა, შიგადაშიგ კი ქრისტესისხლების სიფრიფანა ფოთლების ციაგს იმედიანად შეავლებდა თვალს და ბუტბუტით ავედრებდა ერთადერთი ქალიშვილის თავს.

საღამოობით კი, როცა ყოველდღიურ საქმეს უკან ჩამოიტოვებდა, ქრისტესისხლას პრიალა, მოშავო-ყავისფერი თესლის პაწაწუნა ბურთულებს ხელისგულზე დაიყრიდა, ცერა თითს მათ ზედაპირზე დაათამაშებდა და შვილის მზითევზე ფიქრობდა.

ბევრი რამ ჰქონდა მისთვის გადანახული — საბნები თავისი ჩითის კონვერტით, ზეწარითა და ბალიშის პირებით; ჯამ-ჭურჭელი; დანა-ჩანგლის ნაკრები და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი საოჯახო ნივთი.

მხოლოდ საწოლის გვერდით დასადგამი პატარა ტუმბოების შეძენა ჰქონდა ოცნებად ქცეული.

სკოლის დამთავრებამდე ორი წელი დარჩენოდა შვილს.

მანამდე მათ ყიდვას როგორ ვერ შევძლებო? — თავს იმხნევებდა.

ხშირად საქმეში გართულს შვილის სკოლიდან დაბრუნების დრო ხელად მოეპარებოდა ხოლმე და ელდანაცემივით გარბოდა მაღაზიაში პურის მოსატანად, უმამობა არ იგრძნოსო, შიშობდა.

* * *

სკოლაში, ბიჭების თქმით, გოგოს წელისა და თავის გარშემოწერილობა ერთი ზომის უნდა ჰქონოდა, ასეთ იდეალურ გოგოდ კი მხოლოდ ლიზა მიიჩნეოდა.

ლიზაზე არავინ იტყოდა, დაბალია ან მაღალიო. ამბობდნენ — გოგო სწორედ იმ სიმაღლის უნდა იყოს, როგორიც მართას გოგო ლიზააო.

რამდენადაც გოგოები გაურბოდნენ ლიზასთან მეგობრობას, იმდენად ეტანებოდნენ ბიჭები და ვაჟის დედები.

იმ დღის მერე კი აღარავის უსურვებია ლიზას რძლობა...

საღამო ხანი იქნებოდა, მეზობლებს მართას სახლიდან გამოსულმა ხმაურმა მშვიდი ყოფა რომ დაუფრთხო.

საწოლის კიდეზე იჯდა მართა, რამდენიმე მეზობელი გულის დამამშვიდებელ წამლებს სთავაზობდა; ლიზა იქვე იდგა — კედელთან ატუზული, თავდახრილი, გულისპირთან კაბაშემოხეული, შიშჩამდგარი თვალებით და ხელები უცახცახებდა.

ახლადმისულ მეზობლებს დამხვდურნი ჩუმი ბუტბუტით ეუბნებოდნენ: ლიზა თავის სკოლელ უფროსკლასელ ბიჭს შეუცდენიაო...

იმ დღის მერე ლიზა აღარ წასულა სკოლაში და აღარც მართა უნახავს ვინმეს ქრისტესისხლების სიახლოვეს.

* * *

არავინ იცის სინამდვილეში სად მიდის, ვისთან მიდის, ან რამდენთან მიდის.

ფრთხილად მიხურავს ზურგს უკან კარს, ცოტა ხანს შედგება, კარის ღრიჭოში გამოჭრილ დედის ყრუ ამოოხვრას მიუყურადებს, მერე ფანჯარაში შეიჭვრიტება, იქით გაიხედება, სადაც საბანში გახვეული ანემიით დაავადებული დედა წევს, გულისპირთან მიაშტერდება საბანს, იქამდე უყურებს, სანამ დედის ამოსუნთქვა საბანს არ გაატოკებს.

დედაზე ფიქრიც იქამდე მიჰყვება, სანამ დანიშნულ ადგილზე მივა, მერე გონებაში სხვა რამ უტრიალებს — დედას წამალი უნდა უყიდოს; მერე, ნელ-ნელა ისიც გამოკეთდება, მაჯებზე ხორცი შეემატება, ხმა, ფერი და ძალა მოუვა და ძველებურად სახლიდან გასულ შვილს პირჯვარს გადაწერს, მერე შეიძლება აღარც წავიდეს იქ, სადაც ახლაა, მაგრამ ამას აზრი აღარ აქვს, იქ არის და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, დედას ის ყველაფერი დაუბრუნოს, რაც უნებურად წაართვა — გულში იმედი, თვალებში კი — სიხარული.

* * *

სოფლის სალაყბოზე გრგვინვასავით გავარდა ხმა — მართა მომკვდარაო და ყველა დაზეპირებულივით ერთსა და იმავეს გაიძახოდა — სულ მისი გოგოს

ბრალია მაგის სიკვდილიო.

დედის სიკვდილის შემდეგ ლიზა უძრავად იჯდა ქრისტესისხლებთან, ვისაც არ უნდა დაეძახა, რაც უნდა ეთქვა, არ შეტოკდებოდა.

თვალები ერთ წერტილზე ჰქონდა მიპყრობილი და ოდნავ, სულ ოდნავ, აქეთ-იქით ირწეოდა.

მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, მეზობლების ლაპარაკი რომ მოესმა — ახლა მაინც დაადგება საშველი ამ ქრისტესისხლების გადაშენებას, მეტი საქმე არ აქვს ლიზას, ბალახს დაუწყოს მოვლაო.

დარდისაგან რობოტადქცეულმა ლიზამ იგრძნო, როგორ დაუბრუნდა მკლავებში ძალა, თმა გადაისწორა, ჩაახველა, თითქოს გონზე მოსვლას ცდილობსო, მერე ადგა, სახლში შევიდა, იოდიანი წყლით სავსე ჭიქას ხელი დაავლო და სწრაფად გადაღვარა ნიჟარაში.

ზეგედა

ახლადშეწვერილი ყმაწვილები ჭირივით შეუჩნდებიან ხოლმე ზებედას:

— ნიავს თუ ადევნებიხარ, ზებედ? — სიცილით ეკითხებიან და თვითონვე სცემენ ერთმანეთს პასუხს.

— ეგ ვის არ ადევნებია, ნიავი რა მოსატანია?

— ნიავს კი არა, გამგებლის ცოლს, კირას, აჰკიდებია იმ დღეს.

— უი, მასწავლებელი რომაა?

— მასწავლებელი კი არა, პედაგოგი!

— ხო, რაცაა. რაო, მერე იმისთვის რაღა უთქვამს?

— სკოლინდელი ამბები მოუყოლია, იმისთანა მოსწავლე ვიყავი, მთელს სკოლაში ერთიც არ გეყოლებათ ჩემნაირიო.

— ერიჰაااااა... ბებიაჩემს ადევნებია იმ დღეს, ბაღამდე მიჰყოლია, თავის ცოლზე მოუყოლია, იმისთანა ლამაზი ცოლი მყავდა, იმისთანა, რომ ქალს თუ კაცს ყველას იმაზე რჩებოდა თვალიო.

— ეგ კი არა, პატარძალი გადაურევია იმ დღეს. ეზოში ყოფილა საწყალი გოგო, პირს იბანდა თურმე, მიდგომია ეს, ღობეზე შემოუწყვია მკლავები, გადაუყვია თავი და ა, კიდო გამოუკითხავს ყველაფერი. მერე უთქვამს, ჩემი ცოლიც შენი სოფლიდან იყოო.

— კაცმა რომ კითხოს, ქალაქელი ცოლი ჰყავდა.

— მაგისას რას გაიგებ...

— ზებედ, ზებედ, შენი შვილი ვნახე იმ დღეს, — ირონიაშეპარვით უთხრა ერთერთმა.

— რომელი? — ულვაშზე ხელის ჩამოსმით იკითხა ზებედამ.

— უფროსი.

— მერე, რაო?

— რაო და მამაჩემს უთხარით და სიგარეტის ფულს მოგცემთო.

— ხელფასს ავიღებ და მერე მოგცემთ, — მარჯვენა ფეხი განზე გადგა ზებედამ და გზის მეორე მხარეს მიმავალ კაცს სტვენით ანიშნა, დამელოდეო.

ხელფასიო, სინამდვილეში კი პენსიას გულისხმობდა.

ზებედა ის კაცი არ იყო, გული გაეტეხა ან კიდევ თავისი მარტოობა შეემჩნია. ცხოვრება გამოუცდელ ლაწირაკებს აეგდოთ მასხრად, თორემ კაცი არ იყო, ზებედას მისამართით მადლიერებით არ ეთქვა:

„ისე გავთოხნე ბაღი ზებედასთან ლაპარაკში, ვერაფერი გავიგეო“ ან კიდევ „მარტო წასვლა მეზარებოდა და ზებედა დამემგზავრაო.“

ზედმეტად არავის აწუხებდა — ამბავს გამოჰკითხავდა, თვითონაც რამდენიმე სიტყვას თუ ჩააკვეხებდა თავის არარსებულ ცოლ-შვილზე, ეგ იყო და ეგ.

ერთი ძაღლის, როქსის, მეტი არავინ გააჩნდა ზებედას.

ზოგი ამბობდა ხოლმე როქსიზე — ძაღლიც პატრონს ჰგავს, ისიც მასავით ღობე-ყორეს არის მოდებული და ყველას კუდში დასდევსო.

* * *

ჩვეულებისამებრ, დიდი ნაბიჯებითა და ხელების ქნევით დაუყვა ზებედა გზას და სოფლის სამარშრუტო ტაქსიში ავიდა.

დაჯდა თუ არა, უკნიდან ირონიით გადმოსძახა ვიღაცამ:

— ზებედ, ცოლ-შვილი როგორ გყავს?

— არაუშავთ რა, — მშვიდად გაეპასუხა და გვერდით მჯდომ ქალს გადაულაპარაკა. ახლა წინიდან მოისმა ხმა ზებედას მისამართით: „ვის გვერდითაც ამას არ გაუვლია და ვისი ამბავიც ამან არ იცისო.“

სამარშრუტო ტაქსიში უცნობი მამაკაცი ავიდა. არ ეცნო ზებედას და ჩუმად შეათვალიერა.

— შეხე, რა კაცია, ნეტავ, ვინაა? — გვერდით მჯდომმა ქალმა გადაულაპარაკა ზებედას, — შეხე, შეხე, როგორ სუფთად აცვია, უპატრონო კაცს ვინ ჩააცვამს, ვინ მოუვლის ასე, შეხედავ თუ არა პატრონი ეტყობა.

გულში ბრაზი მოუვიდა ზებედას — ეტყობა და ეტყობოდესო, გაიფიქრა და ისე ჩავიდა, ძველებურად მგზავრებისთვის ომახიანად აღარ უთქვამს, აბა, კარგად დარჩითო. არც ქუჩაში ადევნებია ვინმეს და „ხელფასის“ რიგშიც არავის გამოლაპარაკებია.

ყველა ერთიმეორეს ეკითხებოდა, რა ჭირს ზებედასო.

ზებედა კი თავის ფიქრს მისცემოდა და ნერვიულად წრიალებდა.

საღამოს ზებედას სიგარეტის ფულზე მიადგნენ ბიჭები.

ზებედას დიდი სპილენძის ტაშტი გამოეტანა ეზოში, შიგ როქსი ჩაესვა და მიმხმარ ტალახს აცლიდა, როქსი წამდაუწუმ თავ-ტანის ქნევით საპნიანი წყლის წვეთების მოცილებას ლამობდა და შესაბრალად წკმუტუნებდა.

— რას შვები, კაცო, რას დატანჯე ძაღლი, — სასაცილოდ არ ეყოთ ბიჭებს.

— დავტანჯე რას ჰქვია, უპატრონო ხომ არაა, ასე ჭუჭყიანმა რატომ უნდა იაროს, პატრონი ხომ უნდა ეტყობოდეს, — მხრები აიჩეჩა ზებედამ და როქსის წითელი საყელო შეაბა.

დღესაც მგზავრმა უბნის თავში ზებედა თუ შენიშნა ვინმეს გვერდით, უბნის ბოლოს უცილობლად როქსისაც გადააწყდება...

ეჰ, ზებედამ იკითხოს, თორემ როქსის რა ენაღვლება, პატრონიც ჰყავს და ეტყობა კიდეც ხორცშევსილ ფერდებზე.



გურანდა ბერია

გზაჯვარედინზე

სემი

უცნაურად დაიწყო ჩემი დილა. იმდენად ადრე გავიღვიძე და ვერაფრით შევიბრუნე ძილი, დრო რომ გამეყვანა, დოკუმენტური ფილმი ვნახე ერთ ჩინელ გოგოზე, რომელიც მივარდნილ სოფელში გადავიდა საცხოვრებლად. მას ლი ჰქვია. მთელი დღე იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ შეეძლო ამ თითისტოლა გოგოს ნედლი ხისგან თავად შეექმნა ქაღალდი.

ლი რამდენიმე დღე იცდიდა, სანამ გამოშრებოდა ხის გული, სანამ მდინარის კალთა არ დაალბობდა მას და სანამ ნიორივით არ დანაყავდა დიდ სანაყში, რომ კიდევ რამდენიმე დღე ეცადა. ეცადა, რათა ნედლი ხის დანაყული გული ქაღალდად ექცია და ლის გულის ლექსები ეწერა.

სანამ ქაღალდზე რამეს დავხატავდე, ჩვეულებრივი ქაღალდია, უტყვი, უბრალო და თეთრი. მაგრამ მჯერა, რომ ლის ქაღალდები მანამდეც არ იყვნენ უბრალონი, სანამ მათზე ლექსებს დაწერდა. ნეტავ, მცოდნოდა რას წერდა ლი, რა აზრები იმალებოდა ლამაზად გამოყვანილი იეროგლიფების მიღმა...

ისეთი ცხოვრებით ცხოვრობდა, რომელზეც მუდამ ვოცნებობდი. ჰქონდა მცირე მეურნეობა, მოჰყავდა ხილი, ბოსტნეული და სხვადასხვა პროდუქტი, რომელსაც გემრიელ და ჯანსაღ საჭმელად აქცევდა და რომლის ანტიკური სურნელს თითქოს აქედანაც ვგრძნობდი. როცა ლის ვუყურებდი, მეგონა, რომ მთელი ის დრო მასთან ერთად ვიცხოვრე ხელშეუხებელ, დაუმახინჯებელ ბუნების წიაღში. თითქოს მასთან ერთად ვთევზაობდი, ვაგროვებდი სოკოს, ვანთებდი ცეცხლს და ჩვენი და ცეცხლის ხმა ჰარმონიულად ერწყმოდა ბუნების ხმებს.

დიდხანს ვიდექი გაჩერებაზე, სანამ ავტობუსმა არ გამოიარა. ერთი ქალი ჩამოვიდა. ჩანს, იმ წინა ადგილზე იჯდა, რომელიც ასვლისას თავისუფალი დამხვდა და რომლის დაკავებასაც არც არავინ აპირებდა. სასწრაფოდ დავჯექი, ფანქარი და თაბახის ფურცელი ამოვიღე და ხატვა განვაგრძე.

აქამდე არასდროს დამიხატავს ადამიანის ხელისგულზე დასვენებული ხე, ამიტომ იყო, ეს საქმე ბოლოსთვის რომ შემოვიტოვე. ხე ლის გაწვდენილ ხელებში უნდა ჩამეხატა, როგორც ეს დილით ვნახე. მთელი გზა ვხატავდი და თითქმის დასრულებული მქონდა, ჩემს მარცხენა მკლავთან ადამიანის ჩრდილი რომ დავლანდე. ახალგაზრდა გოგო იყო. შევამჩნიე, მისი მზერა ჩემს თითებსა და ნახატს რომ გადაწვდა. ადგილი დავუთმე და ის იყო, ქაღალდები უნდა შემენახა, ნახატის ჩვენება მთხოვა. ახლა უფრო ნათლად ვხედავი მის პროფილს. უთუოდ ლამაზი იყო, ჩემს ნახატს ისეთი ინტერესით ათვალიერებდა, მომინდა, ჩავხუტებოდი.

ორიოდე წუთს ასე უყურებდა ნახატს. მე კი ამასობაში ჩემს გაჩერებას ვუახლოვდებოდი. ისეთი გოგოა და ისე უყურებს ამ ნახატს, აუცილებლად ვაჩუქებ-მეთქი, ვიფიქრე. ამიტომ დანარჩენი ქაღალდების დასტის (რომელიც ისევ ხელში მეჭირა) ჩალაგება დავიწყე. სწორედ ამ დროს მოხდა ძლიერი შეჯახება. მხოლოდ ის მახსოვს, როგორ გადავვარდი უკან.

სუზანი

ჩემს სოფელში ერთი მარტოხელა ქალი ცხოვრობდა. პატარა რომ ვიყავი, ხშირად მივდიოდი მასთან, რომ ჩემთვის წიგნები ეკითხა. როდესაც გავიზარდე, უკვე მე თვითონ ვკითხულობდი, ოღონდ მხოლოდ იმ წიგნებს, რომლებსაც თვითონ მირჩევდა.

ერთხელ, როდესაც მასთან მივედი, ერთ სქელკანიან წიგნს კითხულობდა. ვკითხე ავტორიც და სათაურიც, რომელსაც შინ მისვლამდე მთელი გზა ვიმეორებდი. ახლაც ვცდილობ, გავიხსენო, რა ერქვა იმ წიგნს, ასე სასოებით რომ ინახავდა, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე. ისიც კი არ ვიცი, ამ სიტყვებს რამდენად თანმიმდევრულად და ზუსტად ვამბობ, მაგრამ აზრი, რომელიც მათშია, იმდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის, შეუძლებელია, დამავიწყდეს. მით უმეტეს, რომ უკვე რამდენიმე წელია, მეც ყოველ დილით ამ იმედით ვიღვიძებ — სანამ ცოცხალი ხარ, სანამ ჯერ კიდევ გიდგას სული, არასდროს დანებდე, არასდროს ჩაიქნიო ხელი მარადიულ სიყვარულზე, რადგან შესაძლებელია, რომ სწორედ დღეს იპოვნო ის, ვინც ცხოვრებას გაგიფერადებს. ხოლო თუ ეს დღეს არ მოხდება, აუცილებლად მოხდება ხვალ, ზეგ... ერთი კვირის, ან თვის, იქნებ ერთი წლის შემდეგ. მაგრამ უსათუოდ მოხდება და შეხვდები. მთავარია, ეს ორივემ იგრძნოთო.

ჩემს ცხოვრებაში კი, მგონი, დღეს გამოჩნდა ის, ვისაც ველოდი დღეს, გუშინ, ერთი კვირის, თვის, ან იქნებ წლების წინაც. სანამ ავტობუსში ავიდოდი, გაჩერებიდან შევნიშნე, თავი ძირს ჰქონდა დახრილი. მეგონა, კითხულობდა, მაგრამ რომ ავედი, დავინახე — ხატავდა. გამიკვირდა კიდეც, როგორ შეეძლო ავტობუსის მოძრაობაში ეხატა. როგორ შეეძლო, მუხლებზე ასე სათუთად დებოდა თაბახის ფურცლების მთელი შეკვრა და ასე ზუსტად ეხატა. თანაც იცით, რა? ისეთი უცნაური ნახატი იყო...

მიხვდა, რომ ვაკვირდებოდი და სანამ ავტობუსი დაიძვრებოდა, წამოდგა:

— დაბრძანდით, — მითხრა და ხელით მიმანიშნა იმ ადგილზე, რომელზეც თავად იჯდა ამ რამდენიმე წამის წინ.

— გმადლობ, მაგრამ დახატვას რომ ვეღარ შეძლებთ? — მერჩივნა, ვმდგარიყავი და ისე მეთვალთვალა მისი თითების მოძრაობისთვის.

— არაფერია, თითქმის დავასრულე.

— გმადლობ, — დავჯექი და იქვე გავუგრძელე, — თუ შეიძლება, უფრო ახლოდან შევხედავ თქვენს ნახატს...

არაფერი უთქვამს, ქაღალდთა დასტიდან გამოაძვრინა მისი ნამუშევარი და გადმომცა. ისეთი თითები ჰქონდა, ისეთი, უსათუოდ უნდა ეხატათ. ან ლექსები ეწერათ; შესაძლოა, როიალზე დაეკრათ კიდეც. მაგრამ სხვა ყველა სამუშაო შეუფერებელი იქნებოდა მათთვის.

ნამდვილად უცნაური ნახატი იყო. ბამბუკების ჩრდილში ქალი იდგა. მიუხედავად იმისა, რომ სახით პირდაპირ იდგა, მის სახეს ვერაფრით გაარჩევდით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩალის ქუდი ეხურა და მეორეც — თავი დახრილი ჰქონდა და საკუთარ ხელებს ჩასჩერებოდა. ხელში კი იცით, რა ეჭირა? ხე. ტოტი კი არა, ხე. ოღონდაც ნორჩი. ფესვების გადგმას რომ ნელ-ნელა იწყებს და სულ მთლად ქორფა რომ არის.

ნეტავ, რატომ დგას ეს გოგო (თუ ქალი) ბამბუკების ჯარში, ხელში კი ნორჩი ხე უჭირავს? რატომ აცლის კანს? მინდოდა, ეს ყველაფერი მისთვის მეკითხა, მაგრამ მთელი სხეული ამტკივდა. წამის უსწრაფესად ჩაიარეს ადამიანებმა და ხეებმა. სანამ თვალს დავხუჭავდი, დავინახე, როგორ დასერა მინების ნამსხვრევებმა ნახატი. თითქოს ყველა ხე ერთიანად გადაჩეხესო.

საინფორმაციო გამოშვება:

დღეს საღამოს ჰირამის გზაჯვარედინზე უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპულია ორი ადამიანი. ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მსუბუქი ავტომობილის მძღოლი დაეჯახა ავტობუსს, რის შედეგადაც ადგილზე დაიღუპა აღნიშნული ავტომობილის მძღოლი და 25-27 წლის გოგო, რომელიც ფანჯრის იმ მხარეს იჯდა, რომელსაც მანქანა შეეჯახა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დაშავებულია ოთხი ადამიანი. მათი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა საბაშვილი

ჩათქმა

იდუმალმა ხმამ
სულს თავიდან ჩაუთქვა:
„თქვი ისეთი რამ,
რაც არავის არ უთქვამს!

ბევრი არის ცის
ქვიშით გადასილული,
დაინახე ის,
რაც არ არის ხილული!

მოაფინე გზებს
შორეული ნობათი,
შეიგრძენი მზე,
დღემდე შეუგრძნობადი!

მკვეთრი ფერი ბაცს
ყველგან შეუღებია,
მას შეეხე, რაც
ჯერ ხელშეუხებია!

შეგძენს გრძნებებს მჭევრს
ია და ფურისულა,
მიდი, სადაც ჯერ
არავინ არ მისულა!

აღავლინე ცად,
რაც მიწაზე ეგულვით,
შეახვედრე გზად
ერთურთს დაშორებულნი!

გამოსტაცე მითს
მოწმე უცნობ არენის:
მარადიულ მზით
დაბინდული მხარენი“.

უმიზეზო ქმნილებები

მომიახლოვდა უეცრად მზისებრ
აზრი, საოცრად კენტი, ეული:
დიდია ის, რაც არსებობს ისე —
არაფრით არის გამოწვეული.

ზეცის სანთლები (აზრი ამესხა!)
დგანან უცვლელად, თუმც კი იწვიან,
მაგრამ ჩაქრება ის, რაც რამე სხვამ,
თუგინდ დიადმა გამოიწვია.

ფიქრო, ამჯერად ერთ წამს შედექი
და მიჰყევ სათქმელს სულ სხვა ბოლოდან:
ის, რაც რაღაცის არის შედეგი,
ჟამს შესაძლოა არც მოჰყოლოდა.

ამგვარ ქმნილებას, გარდუვალ ბოლოდ,
არ გააჩნია არსი ზენარი,
იგი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ
უთვალავიდან ერთი სცენარით.

თუმც სივრცემ უხვად შემოასია,
ისე, ვით მინდვრებს აპრილმა ყანა,
ყველა მათგანი ერთი კლასია —
შემთხვევითობათ კასკადზე დგანან.

მე ვერ მოვიცლი მათი მკობისთვის,
მე მიყვარს (ან რა გასაკვირია!)
გაუქრობელი არსებობისთვის
რასაც მიზეზი სულ არ სჭირია!..

ლექსის დაწერის შესახებ

მე ახლა ხელში ავიღებ კალამს,
ქაღალდის ფურცელს დავიდებ წინ,
მოვახდენ გონების კონცენტრირებას,
მოვიხმობ სიტყვებს, თემებს და ფიქრებს
და შევეცდები ახალი მოგზაურობისთვის
შევარჩიო საწყისი ბილიკი.
მაგრამ შეგროვილი სიტყვები განიფანტება,
მოხმობილი თემები აქროლდება,
ბილიკი ნელ-ნელა შეერევა მინდორს,
ყველაფერი გაუფერულდება
და ჩაიშლება წმინდა განზრახვა —
დავწერო ლექსი.
არა იმიტომ, რომ ვერ შევძლებდი
ერთმანეთთან შემეწყვილებინა სიტყვები რითმებად,
ან გადამება აზრები აზრებთან,
ან შემეხამებინა ფერები ფერებისთვის,
ან დამეწნა ახალი მეტაფორები,
ან ამეწყო ახალი სიუჟეტი,
ან მომეძია ახალი მუსიკა,
ან აღმომეჩინა ახალი აზრი,
ან მიმეკვლია ახალი ფორმისთვის,
ან შემეჯვარებინა ხმოვნები თანხმოვნებთან,
ან დამელანდა საგანთ ზუსტი ანარეკლები,
ან ჩამენიშნა დღეების ძგერა,
ან მომეხილა სამყაროს კიდე,
ან მომემწყვდია თეთრ ბადეში ყოფის მუსიკა —
არამედ მიტომ, რომ დროსა და სივრცის
ყველა, ოთხივე განზომილებამ
ოდესღაც ყველგან წინასწარვე გამოაცხადა,
რომ რაგინდ დიდი ძალისხმევის გამოყენებით,
რაგინდ მსურდეს და რაგინდ ვეცადო,
დღეს ლექსს ვერ დავწერ. ხოლო სამყარო
მხოლოდ და მხოლოდ მისთვის არსებობს,
რომ ის, რაც წესით არ უნდა მოხდეს,
მართლაც არ მოხდეს სინამდვილეში.
სხვა აზრის ძებნას მასში, რაც აქ ვთქვი,
არ ექნებოდა გამართლება არავისაგან.

ქუხილი დარშიც

სად რითმათა კარნიზია,
ვერ მომგვრიან ქარნი ზიანს.

არ მჭირდება კვირის თევა
პწკართა მოსაგვირისტებლად.

პოეზიის მეხს ეული
შუქი სწყდება მეყსეული.

ჰქმნის კოშკისგან წამი ნანგრევს,
მერე სხვა კოშკს ამინანქრებს.

არრა მრჩება უხილველი,
მზიან დარშიც ქუხილს ველი.

სად რითმათა კარნიზია,
სხვა ცის მხდიან პწკარნი ზიარს.

გადართვა შორზე

მე ყველა დროში ვიარე მზე-მზე,
ვეფუძნებოდი დიადს და მარადს,
მაგრამ ცხოვრების უგრძელეს გზებზე
მრავალი ბიჯი გადავდგი მცდარად.

ხან წმინდა სილად ჩავთვალე ხრეში,
ხანაც ვუწოდე მდაბალს ხატება,
რამდენჯერ შევცდი, როცა ვინმეში
მსურდა ზომაზე მეტის ჩატევა.

როდესაც ხიდებს ჰაერზე გადებ,
ეს ხედვის კარგვას ეძმობილება,
ბევრჯერ ბევრისთვის ამაოდ ვცადე
მისთვის უგრძნობის შეგრძნობინება.

შორი გრიგალი სივრცეს მახლიდა
და უხვი მსხვერპლი ბევრგან დახვავდა,
ბევრს ვესაუბრე იმ სიმაღლიდან,
რომელსაც ის ვერ დაინახავდა.

არ ვანაცვალე მდაბალთა კივილს
თუმცა მიზნები დასახულები,
ბევრს არ გავაწან სიტყვათა მწკრივი,
რომ ეკუთვნოდა დამსახურებით.

ჩემს წარმოსახვებს ასე ენებათ —
მათგან ზღაპრები წარმოედინა,
ბევრს მივიჩნევდი ისეთ მშვენებად,
სიზმარშიც რომ ვერ წარმოედგინათ.

მქონდა წყურვილი შეგრძნების მძაფრის,
თუმც სულში ხელებს მიფათურებდით,
და მე ვცდებოდი მხოლოდ ყველაფრის
ზეამაღლების მიმართულებით.

მაგრამ ამაზე არ ვნაღვლობ ახლაც,
როს ბევრნი შორეთს გადაგებულან:
ჯობდა მიმეღო მცირენი მაღლად,
ვიდრე მაღალნი დამდაბლებულად.

რაც აქ შორი და უცნაურია,
ჩემი სულისას შეადგენს პწკარედს,
ჭეშმარიტია, რაც მე მწყურია,
და არა ის, რაც გაშლილა გარეთ.

მე აღწერათა უზუსტეს გვერდებს
მერჩივნა ცეცხლის ხილვა ღადართან,
მრავალნი ისეც ახლოთი ძგერდნენ,
მე მსურდა მათი შორზე გადართვა...

ორი ბოლო

როს ლექსში გრძნობათ ფენებს შლი
წყებად, ჯგუფად თუ ჯგროებად,
აელვარდება მსმენელშიც
ტოლფარდი უსაზღვროება.

როს უცნობ ხმათა მოსევა
ზეიმობს ურიცხვ ფერებით,
მკითხველიც შეიმოსება
იმავე მშვენიერებით.

თუ ანთებს არსი მრავალი
პოეტში სხივებს შემცისკვრელს,
რაგინდ დაბლობზე მავალი
მკითხველიც წავა ზეცისკენ.

სიცოცხლის გამაბრწყინარე
შუქი – მძაფრი და ულევი
პოეტისაგან მდინარებს
მკითხველის მიმართულებით.

ამ ორი სულის ტოლობა
მრავალჯერ განვაცხადენით,
ისინი ორი ბოლოა
ერთსადაიმავ სადენის.

დასასრულ-დასაწყისივით
ნუსხავენ ქარის შებერვებს,
უერთმანეთოდ ისინი
ვერასდროს იარსებებენ.

ახალ ზეგანზე

მომწყინდა, აღარ მჭირდება
ცაზე ცურავდეს ლეგა მზე,
უნდა ავაგო მსოფლიო
სრულიად ახალ ზეგანზე.

ახალ ფერთა და ფორმათა
ვიქნები მიმმატებელი,
რომ არსნი დავაკავშირო
ახალი მიმართებებით.

გაისმას საგანთ რხევანი
ჰანგწარმტაც შარიშურებად,
დე, შეიძინოს ყოველმა
ახალი დანიშნულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრად ჭეშმარიტთან

ჭეშმარიტების
რარიგ ბევრჯერ
მიველ კარებთან,
მიმიშვა ახლოს
მან, რაც არვის
არ იკარებდა,
და ნეტარებით
გაოცებულ
მზერის წინაშე
უცხო სინათლე
ცვრის წვეთებად
მოწანწკარებდა.

მაგრამ ყოველთვის
სიცოცხლის გზა
ძალიან მალე
უხვევდა სხვაგან —
ამოვარდნილ
მღვრიე ქარებთან,
რადგან მუდმივად
ჭეშმარიტის
მიდევნის სურვილს
ყოფიერება
თავის თავში
არ ატარებდა.

ძველი კანდელი

ორმოცდაექვსი წლის წინანდელი
ისევ ანთია გულში კანდელი,
გადასწევ ფარდას — შემოგასკდება
ის მწველი თრთოლა და ჟრუანტელი.

მაშინაც ზეცა ასე წვებოდა,
ფიფქთა ლეგიონს ძირს მოჰყვებოდა,
და სიყვარულით ანთებულ გულის
ოცნების ხატად გვესახებოდა.

მაშინ ჩვიდმეტის მხოლოდ წლისანი
ვიყავით ყველა. მზე გულთმისანი
აღმოხდებოდა ყოველდღე ცაზე,
რომ ემცნო გზანი მომავლისანი.

იმ დღიდან დღემდე ბევრი ვერსი დევს,
შემდეგ მომხდარიც ურიცხვ ფერს იტევს,
მაგრამ რა დასთმობს ლექციებს, მერხებს,
სტუდენტთა ქალაქს, უნივერსიტეტს?

ყოველი დილა — გულის ჩქროლება,
ღამე — ცა, ურიცხვვარსკვლავზოლება,
იმ გრძელ საუბრებს, იმ წრფელ მოლოდინს
სხვა რა სიმაღლე შეეტოლება?

მოხიბვლა ოქროს კულულთა ცქერით,
სევდა, ნახატი სტრიქონთა ჩქერით,
რომც დამევიწყნა, იმ ზღვა სიხარულს
მისი ტოლფასით შევცვლიდი მე რით?

ნეტავ რა ძალამ შეაძლებინა
დღეებს, რომლებიც ირგვლივ ეფინა,
ჩარჩენილიყვნენ უქრობად გულში,
რომ მერეც მარად ენათებინათ?

ვინც იქ არ იყო, შეიგრძნოს მანაც –
ის წლები ოქროს სვეტებად დგანან,
ეს იყო უწყვეტ ბედნიერების,
თავდავიწყების და ტრფობის ხანა.

ორმოცდაექვსი წლის წინანდელი
მარად ენთება გულში კანდელი,
დახუჭავ თვალებს — იელვებს სხივი,
თრთოლა, ფეთება და ჟრუანტელი.

ნაფლეთები

ცას მზე ჩაუკონია —
მისნობს;
რამდენ ვინმეს ჰგონია —
მიცნობს.

გაამკრთალა იგავი
ვადამ.
რამდენ ხნის წინ იყავი,
ადამ?

შემოსული ველიდან
რუც ხომ
არის აუხსნელი და
უცხო!

ეპოქათა კასკადი
ქმნის ცრემლს.
გასაოცარ გზას გადის
სივრცე.

გრძელი მწკრივი ტარიგთა.
ვწუხვართ.
ოცნებანი დარიგდა
უხვად.

გახსენება რაღაცის;
ელი...
უცებ ფიქრი დაგაწვიმს
მხსნელი.

სული ყოველთვის ბრწყინავდა

მახსოვს, შორეთის ცისკრები
რა მძაფრად შევიყვარეთ,
მუდამ დიოდნენ ფიქრები
დასაშვებ ფარგლებს გარეთ.

შორ სიმხურვალეს ვიწოვდი
შუქთა მიღმიერ სვეტის,
მუდამ, ყოველთვის ვიცოდი
შესაძლებელზე მეტი.

ხოტბა არ უნდა შესხმოდა
მზეს ვინმე ავსულისგან,
მუდამ აშკარად მესმოდა,
სად უნდა წავსულიყავ.

უხვად ათბობდა მზე ბინას
გულების გასახარად,
რა უნდა მეშენებინა –
ნათელი იყო მარად.

გარიჟრაჟების მინანქარს
არარა ენაკლისა,
სული ყოველთვის ბრწყინავდა
სამყაროს შესატყვისად.

უცნაური ქარგები

როცა კოსმოსით ვითვრები, ვაწვდი მსოფლიო ბაზრებს
უუცნაურეს რითმებით უუცნაურეს აზრებს.

როს ჩემთან არავინაა, ტკბობას ვისრუტავ ორმაგს;
უუცნაურეს შინაარსს და ზეუცნაურ ფორმას.

თითქოს სკივრს თავი ახადეს —
უცქერს სამყარო მუნჯი
წარმოუდგენელ ნახატებს წარმოუდგენელ ფუნჯის.

რაგინდ მისტიკამ იმატოს, ზღუდეს არ შემოვავლებ,
ფიქრს, არავისკენ მიმართულს, ყველას წინაშე ვავლენ.

ბრწყინავენ შორი ნაშთებით აზრები ჩაუქები,
იმდენად აკაშკაშდები — მაცქერლებს ჩაუქრები.

იქცევა სივრცის კარნახი წვდომათა გამძაფრებად,
ეს არის სხვისგან არნახულ წყაროზე დაწაფება.

ხდება, რაც ერთხელ ეძლევა
რაგინდ უმაღლეს ზრახვას:
შეუგრძნებელის შეგრძნება, დაუნახველის ნახვა.

იდუმალს მივესწრაფებით და წამი მზერას არგებს
უუცნაურეს ძაფებით უუცნაურეს ქარგებს.

გრიგალი

რაგინდ მცირე იგავიც ბოლოს ყველგან განიბრძნობა,
უმძაფრესი გრიგალიც დასაწყისში არ იგრძნობა.

სანამ იგი ადგება, საშიში და ღირსეული,
ჯერ ყველას ყურადღება სხვაგანაა მიქცეული.

მაგრამ ბოლოს ცა-მიწამ იწყოს მზერის მიერთება
იმისადმი, წამიწამ მრისხანედ რომ ძლიერდება!

ჩვენ გრიგალის ბავშვობას
ჯერ არაფრით დავახსოვდით,
რომ გვეცადა ჩახშობაც, უცილობლად ჩავახშობდით.

არც არვინ იფიქრებდა, რომ დასჭექდა ზარის ხმებით,
ის კი ძალებს იკრებდა გასაოცარ ძალისხმევით.

წამითაც არ გაბაცდა – სანამ ფუნჯით გამოსახეს,
ის უეცრად გადასცდა ყოველნაირ წარმოსახვებს.

ახლა იგი გრუხუნებს წამლეკავად ყურთასმენის,
ვერც ფერებს გაუხუნებთ,
ვერც გათოკავთ ყრუ თასმებით.

ყველა ეტლს თუ კარეტას, ყველა გემთა იალქანებს
მოხვევია გარედან და თავის გზით მიაქანებს.

ჩვენც მის რკალში გავებით, ცაო, ჟამით აღმავსებო,
მისი შემაკავები ძალა ქვეყნად არ არსებობს,

ფრთები ფრთებზე გადიდო ძლევის განსახიერებად,
დაგვრჩა მხოლოდ — ვადიდოთ მისი შორი ძლიერება.

მიხვედრაა ძნელი და ახლა მაინც დაგვახსოვდეს:
რაც გასხლტება ხელიდან, არ ბრუნდება არასოდეს;

რაგინდ მცირე იგავიც სამყაროზე განიბრძნობა,
უმძლავრესი გრიგალი დასაწყისში არ იგრძნობა.

ხილვები წარსულიდან

განტოტვანი მცირე რუსი
ზუსტად წარმოვისახე,
მიჰქრის მიკროავტობუსი
ჩემი ბავშვობისაკენ.
ისევ აღდგა უცხო გრძნება,
თვალებდამასველები,
გავცდით ლილოს, შეგვეგება
თოვლიანი ველები.
მგზავრი არ ჩანს — მძღოლს, ჩვენს გარდა,
ერთი-ორი სხვა უზის,
მოგონებით აელვარდა
ივრის მთელი აუზი.
სავსე ნისლთა ხშირი ფენით
ცა გაზაფხულს არ ეძებს,
წყნარად დგანან თოვლში ხენი
გზის ორივე მხარეზე.
გავიარეთ სართიჭალა,
მარცხნივ ხაშმის გზა მიდის,
გული თრთოლით განიმსჭვალა,
უკან მისდევს ჟამის ტივს.
გავიხსენებ რამდენ ბილიკს,
ჩაძინებელს ხავსივით,
მელის ეზო, დედის რბილი
ნაბიჯებით ავსილი.
გული შესძრა ძველმა ნანამ,
სახლს ხილვები სწვევია,
მინდა თვალი ვკიდო, სანამ
ისევ განიბნევიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიუტი



ნათია ჩხაიძე

ჰარი

პირველად რომ ითოვა, ჰარი მაშინ მოვიდა. უკვე ვგრძნობდი, ვცარიელდებოდი და ვინმეს უნდა ამოვევსე. დიდი ზურგჩანთა რომ კართან დადო და სპორტული ფეხსაცმელებიც ჩემი ფეხსაცმელების გვერდით მიაწყო, გამეღიმა. ხმა არცერთს ამოგვიღია. უხმოდ მივეწებეთ იმ ღამეს ერთმანეთს და დავიძინეთ. მაშინ გაჩნდა ნდობა.

ბევრი არაფერი გვქონდა. რიგრიგობით ვადულებდით ჩაის და ორთქლზე ვითბობდით ხელებს. იატაკზე ვსხდებოდით, კედლებზე ახოხოლიკებული წიგნებიდან რომელიმე წიგნს ავიღებდით, თვალებდახუჭული ვშლიდით და ხმამაღლა მიკითხავდა შემთხვევით არჩეულ ეპიზოდებს. მუხლებზე ვუდებდი თავს და ვფიქრობდი, რომ მისი ოდნავ ჩახრინწული ხმა ყველაზე სასიამოვნოდ ჟღერდა თითქმის ცარიელ სახლში. მაშინ გაჩნდა სიმშვიდე.

როცა ძალიან აცივდა და ფანჯრებმა ველარ შეაკავეს ჩაის ორთქლის სითბო, ჩვენი ჯემპრები დავარღვიე და ფარდები მოვქსოვე. ჭრელი გამოვიდა და ჰარიმ მითხრა, რომ ყველაზე ლამაზი შემოდგომა გვქონდა ზამთარში. მაშინ პირველად მომეხვია ისე, რომ კანქვეშ ფიქრები აფათურდნენ. ტკბილი კანი ჰქონდა. ვნებები რომ ვერ მოვთოკეთ, დავნებდით. მაშინ გავჩნდით ქალი და მამაკაცი.

— უნდა გავგრძელდეთ! — ვთქვი მე.

ვეცადეთ. ველოდეთ. როცა თეთრხალათიანმა ფურცლების დასტა დაგვიდო წინ და თავი უარის ნიშნად გადაიქნია, ჰარიმ საფეთქლები დამიკოცნა. მერე თოვლში ჩავწექით და ამბები მოვიგონეთ, რომ ორნი ვკმაროდით სამყაროს. და დავიჯერეთ. მაშინ გაჩნდა ბედისწერა.

სხვა ზამთარს, როცა არც თოვდა და გაზაფხულამდეც ჯერ კიდევ შორი იყო, ფანჯრები ფართოდ გავაღე და ცივი ჰაერი ხარბად შევისუნთქე. გზის მეორე მხარეს ჰარიმ ჩაიარა. სხვის ფანჯრებს გახედა და კიბის საფეხურებს უხმოდ აუყვა. თვალები ამომიშრა. ვგრძნობდი, რომ სარკეებად გადამექცეოდნენ გუგები. თავს ვუშველე და თვალები დავითხარე. დაბრუნდა ჰარი და ვერ შეამჩნია. მაშინ გაჩნდა წყვდიადი.

— ჩემს პერანგზე ლაქებია! — დამიყვირა ჰარიმ და პერანგი მესროლა.

მე ჭიქა ვესროლე. ჰარის ასცდა. კედელს — არა. მერე ყველაფერი ვისროლე, რაც ხელში მომყვა. კარი გაიჯახუნა და წავიდა. ნამსხვრევებზე ფეხები გადამეხლიჩა, მაგრამ არ მტკიოდა. სისხლიანი ფეხებით შევწექი ლოგინში და თავზე საბანი წავიფარე. სიზმრებიდან შეხებამ გამომაღვიძა. ჰარის ხელისგულებში მოექცია ჩემი ვაშლისხელა ძუძუები, ზურგზე მომწებებოდა და კისერს მიკოცნიდა. ვფიქრობდი, რომ გადასარჩენად სიტყვებს მოვიშველიებდით. მერე ფიქრიც შევწყვიტე. მაშინ გაჩნდა სიჩუმე.

— დავბერდით! — ვუთხარი ჰარის და მისი დაკოჟრილი ხელის ძებნა დავიწყე. ვაფათურე წვდიადში და ვერ ვიპოვე.

— ჰარი! — ცარიელმა ოთახებმა გამომძახეს ექოდ მილეული ხმა. ვგრძნობდი, ისევ ვცარიელდებოდი. მაშინ გაჩნდა მონატრება, მაგრამ მე და ჰარი გავქრით.

ეშმაკისეული

— ეშმაკისეული მომკვდარა, — ჯერ ისევ მეძინა, რომ დამირეკა. ინსტინქტურად მივიდე ყურზე ტელეფონი და პასუხის ნიშნად ზმუილისმაგვარი ხმა გამოვეცი, — ხო გახსოვს ეშმაკისეული? თეთრ თეთრეულს რომ ფენდა „სუშილკაში“. რამსიგრძე თმა ჰქონდა, გახსოვს? წელამდე და რაღაცნაირი, მოჟანგისფრო ოქროსფერი. ჩვენ რომ მიგვრეკავდნენ კუთხეში, მაგ ალქაჯს არ გაეკაროთო... ის ქალიც თუ გახსოვს, კოჭლი ქმარი რომ ჰყავდა? სოხუმში ნაომარი. და ეგ ქალი რომ დაეტაკა ეშმაკისეულს — ჩემი ქმარი შეაცდინეო. კაცები რომ ამბობდნენ მერე, მარტო ველაპარაკებითო, დარდებს ვიქარვებთო. დღესაა გასვენება და წამო, წავიდეთ. მინდვრის ყვავილებს ახლა მაინც მივუტანთ.

ბნელი წლები რომ გვქონდა, მაშინ გადმოვიდა ეშმაკისეული ჩვენს საერთო საცხოვრებელში. ქმარ-შვილი აფხაზეთში დატოვა თუ დაკარგა. ორი დიდი ჩანთით მოვიდა და ერთში სულ თეთრეული ჰქონდა. პირველსავე შაბათ-კვირას საშრობში სარეცხის გაფენის მისი ჯერი რომ დადგა, გამოვიდა და თოვლივით ქათქათა თეთრეული გაფინა. მგონი, მაშინ აითვალწუნეს ქალებმა, კაცები კიდევ მოიხიბლნენ და ბავშვებიც შევუჩნდით.

ლაპარაკით არ ლაპარაკობდა. სულ ფანჯარასთან იდგა. იშვიათად გამოდიოდა თავისი ოთახიდან და მაშინაც სულ ღიღინებდა, სულ ერთსა და იმავეს. ეშმაკისეული იქნებაო — ერთხელ თქვეს ქალებმა და შერჩა კიდეც მეტსახელად. თუ რამე დაიკარგებოდა, ყველაფერს მაგას აბრალებდნენ. თუ ვინმეს ქმარი ღამე შინ არ მივიდოდა, ეშმაკისეულთან იქნებაო, იტყოდნენ, მაგრამ გადამოწმებისგან თავს იკავებდნენ, სანამ ერთხელ მისი ოთახიდან მართლაც არ გამოვიდა ერთ-ერთი ქალის ქმარი. მაშინ კი დააწიეს ერთი ამბავი, რა აღარ უძახეს, თუმცა დამცველად თავიანთივე კაცები გამოუჩნდნენ: ჩვენი მოსმენა მარტო მაგას შეუძლია, მარტო მაგას ესმის ჩვენი, ამ კარს არავინ მიეკაროსო! — ერთ-ერთის ქმარმა, სოხუმში ნაომარმა, დაიღრიალა და ყველა კაცის სათქმელიც თქვა. მას შემდეგ პირდაპირ ველარ უბედავდნენ და ზურგსუკან წყევლიდნენ კაცების ცოლები.

ერთხელ ბავშვები სპექტაკლს ვდგამდით. ფარდები გვინდოდა სცენისთვის. ერთმა ეშმაკისეულის თეთრეული ჩამოხსნა საშრობიდან და ვერავინ რომ ვერ მიმხვდარიყო, ვისიც იყო, მელნით მიახატა ყვავილები. ქალები სეირის მოლოდინში გაიყურსნენ, ეშმაკისეული კი იდგა „კულისებში“ და ბედნიერებისგან ტაშს უკრავდა — ეგ რა კარგად მოგიფიქრებიათ, რა ყოჩაღები ყოფილხართო. სპექტაკლის მერე ფრთხილად ჩამოხსნა ზეწრები, სახლში წაიღო და ფარდებად დაკიდა. შემდეგ ის ბავშვი ნახა, რომელმაც თეთრეული ჩამოუხსნა და თავზე ხელი გადაუსვა — რა მაგრად მოიფიქრეო. და ბავშვიც დაპირდა — ნამდვილ ყვავილებს მოგიტანთ ერთხელო. როდის მომიტანო? — სიცილით ჰკითხა ეშმაკისეულმა. რომ მოკვდები, ყველაზე დიდ თაიგულს მე მოგიტან, მინდვრის ყვავილების თაიგულსო — უთხრა ბავშვმა. და მაშინ გულში ჩაიხუტა და ტირილით დაუკოცნა სახე ეშმაკისეულმა.

მას შემდეგ ათასმა წელმა ჩაიარა. დროც შეიცვალა და ცხოვრებაც. ვიღას ახსოვდა ეშმაკისეული. თვითონაც აღარ ჩანდა ხოლმე ფანჯარასთან. ამბობდნენ, ლოგინადაა ჩავარდნილი, ნათესავი გამოუჩნდა და ის უვლისო...

ოთახში რომ შევედით, მილეული ბებერი ქალი იწვა კუბოში და ზედ გახუნებული ზეწარი ეფარა, რომელზეც ძლივსღა მოჩანდა მელნით მიხატული ყვავილები... და ბავშვმა გულზე დაადო დაპირებული მინდვრის ყვავილების თაიგული.

ხელისგულისხელა

ხელისგულისხელა შვილი გაგვიჩნდა ძველ ფიცრულში, როცა მინდვრიდან მომავალს გზაში ავდარი წამომეწია და თავი შევაფარე. არ ველოდი. არც ნიშნები მქონდა, არც მუცელი გამზრდია. მხოლოდ ხანდახან იყო, ჩემი კაცის ყელის სუნი შორიდან რომ მეცემოდა. მანამ თვითონ აღმართს ამოათავებდა, ოფლში ვიწურებოდი, ისე მინდოდა, ყელზე ტუჩები მიმეწებებინა. რომ მოვიდოდა, კარს უკან დაალაგებდა ტალახიან ჩექმებს, თოფს იმ კედელზე დაკიდებდა, ძველი, ალაგ-ალაგ ჩრჩილისგან შეჭმული ორნამენტებიანი ხალიჩა რომ ეკიდა. ნანადირევს გადმომაბარებდა, მერე გახდაში მიმიხმარებდა. ღამით რომ საბნის ქვეშ უპერანგოდ შევუწვებოდი და ყელისკენ გავიწევდი, კოცნის სურვილი მიქრებოდა. გადავტრიალდებოდი და ვიძინებდი. მაშინ უნდა მეეჭვა, რომ ორი სულით ვიყავი.

ხელისგულისხელა შვილი გაგვიჩნდა ძველ ფიცრულში და სიბარულით ვტიროდი და ცრემლით ბალახის ღერებს ვრეცხავდი, ჭიპლარი რომ გადამეკვანძა. თავსახვევში გავახვიე და სახლში წავიყვანე. ჩემი კაცი ვერ მიეკარა. ბუხრის გვერდით დადგა გაშეშებული და იქამდე იდგა, ვიდრე უცებ არ გაიქცა გარეთ და თოფი სამჯერ ზედიზედ არ ისროლა. სამი დღე ღვინის თასი და ღიმილი არ მოუშორებია პირიდან.

ხელისგულისხელა შვილი გაგვიჩნდა ძველ ფიცრულში და იმ დღიდან ჩვენი შვილი ხელისგულზე მეტად აღარ გაზრდილა. ჩამოიარეს სოფლის ქალებმა და ეს რანაირი შვილი გაგიჩენიათ, საერთოდ არ გაგეჩინათ, ჩვენს შვილებს როგორ გავაკარებთო — დამაყარეს ცივცივი და ეკლიანი სიტყვები. არცერთი არ ამცდა. იმ კაცმა, ჩემმა კაცმა, თოფი ჩამოიღო ალაგ-ალაგ ჩრჩილისგან ამოჭმული, კედელზე გაკრული ორნამენტებიანი ხალიჩიდან და სამჯერ ზედიზედ ისროლა სიბრაზისგან. სამი დღე ღვინო და კრიჭაშეკრულობა არ მოუშორებია პირიდან.

ხელისგულისხელა შვილი გაგვიჩნდა ძველ ფიცრულში. მერე იმ ფიცრულში მე გადავსახლდი და ღრიჭოებიდან ჩვენი სახლის ხელისგულისხელა ეზოს ვუყურებდი. სირცხვილის გრძნობას ვყავდი დამარტოხელებული, გარეთ არაფრით მიშვებდა. ჩემი კაცი გამოიყვანდა ჩვენ ხელისგულისხელა შვილს, შემოსვამდა ხარის თავზე და სიმღერით ავლებდნენ ხნულებს. ჩამოივლიდნენ სოფლის ქალები და ესროდნენ ეკლიან სიტყვებს, ესენი კიდევ სიმღერას უმატებდნენ და ყველა სიტყვას იცილებდნენ. ერთ დღეს, თოფი რომ ჩამოხსნეს სულ მთლად დაჩრჩილული ხალიჩაგაკრული კედლიდან და ტყისკენ წავიდნენ, გულმა ვერ მომითმინა და უკან გავყევი. სამი დღე ვსდიე, სამი დღე ვპოულობდი და ვკარგავდი მათ კვალს. ძალა რომ გამომელია, ერთ ხის ძირში თვალებშიც ჩამომიბნელდა. თვითონ მიპოვნეს. სამი ღამე მასხამდა ოფლი, სამი ღამე მადებდა სველ ტილოს ხელისგულებით ხელისგულისხელა შვილი, სანამ სირცხვილის გრძნობა მთლიანად არ ჩამომეწურა.

ხელისგულისხელა შვილი გაგვიჩნდა მე და ჩემ კაცს და ჩაიარა მის მერე ბევრმა წელმა. კიდევ ბევრჯერ შევუწექი უპერანგოდ საბნის ქვეშ, კიდევ ბევრჯერ მივაწებე ყელზე ტუჩები, მაგრამ შორიდან მეტჯერ ვეღარ ვიგრძენი ყელის სუნი. მეტჯერ აღარ მქონია ორი სული.

ხელისგულისხელები გავხდით ბოლოს მე და ჩემი კაცი. დაშალა ჩვენმა ხელისგულისხელა შვილმა ძველი ფიცრული და ფიცრები სახლის გვერდით ააყუდა. კედელზე გაკრული ხალიჩაც საბოლოოდ შეჭამა ჩრჩილმა. სამი ღამე ვიბრძოლეთ მე და ჩემმა კაცმა სიცოცხლისთვის და სამი ღამე სახე გვისველდებოდა ჩვენი შვილის ცრემლებით. როცა მინდვრების მხრიდან ავდარი წამოვიდა, ხელისგულისხელა შვილი დავუტოვეთ მე და ჩემმა კაცმა სამყაროს ხელის გულში. იმ ღამეს უკანასკნელად გავარდა ჩემი კაცის თოფიდან სამი ტყვია ზედიზედ.



გული და გონება

ვარსკვლავები ისევ არ ჩანან. ან როგორ უნდა ჩანდნენ, როცა ჯერ კიდევ დღეა?..

დღის ხუთ საათს გადაცდა, მხოლოდ ხუთს, ისიც მხოლოდ რამდენიმე წუთით... მხოლოდ რამდენიმე წუთით, მაგრამ ყველაფერი არეულადაა, თითქოს ხუთმა საუკუნემ გაირბინა ამ ხუთ წუთში... თითქოს ცხოვრება ხელიდან გამისხლტდა, თითქოს გონებამ გადააფასა გასული დრო, ძალიან მოკლე, მაგრამ გრძელი...

ისევ მეფიქრება ცხოვრებაზე, ოღონდ ყველაზე ვიწრო და თან ყველაზე ფართო გაგებით...

მახსენდება... მახსენდება... როგორ მეგონა, ყველაფერი უკეთესობისკენ აიღებდა გეზს... როგორ მჯეროდა უსაზღვროების...

ქუჩებთან ერთად ავტობიოგრაფიული ფილმი კადრებად იჭრება გულიდან გონებაში, შემდეგ ქრება... და ასე გრძელდება ძალიან დიდხანს...

დიდხანს, სანამ დროის, როგორც ყველაზე განყენებულის და, ამავდროულად, კონკრეტული სიდიდის, წინაშე არ ვდგები, სანამ ძლიერად არ ექაჩება მარცხენა ხელით გულს, მარჯვენათი კი — გონებას...

— ნუთუ ვერასდროს გაიზრდები?

— გაჩერდი!

— ბავშვივით იქცევი. მეტიც, ბავშვზე უარესად! — ხმას უწევს გონება.

— შენ ხარ პრინციპული სულელი, ულოგიკო პრინციპული! — ხმას უწევს გული.

ხმას უწევს. მე კი ლამისაა ერთიც მოვიშორო და მეორეც... ასეც მოვიქცეოდი, რომ შემეძლოს...

იცით, კიდევ რას გავაკეთებდი, რომ შემეძლოს?

უბრალოდ ყველაფერს გავაჩერებდი, სტატიკურ სამყაროში გადავინაცვლებდი და მხოლოდ იმას გავაკეთებდი, რაც მომწონს, რომ ესეც მომბეზრდეს, მომბეზრდეს და იქნებ... იქნებ შემდგომ ყველაფერი გამარტივდეს...

— გეუბნებოდი! — გული ტაშს კრავს.

— შანსი არაა! — გონება დამარცხების პირველ ნიშანს გრძნობს.

მეღიმება, რეალურად კი არ ვიცი, რა მოხდება.

მინდა, გავიქცე, მაგრამ არ ვიცი, სად... მინდა, ვერაფერს ვგრძნობდე, მაგრამ არ ვიცი, რატომ... მინდა, სამყარო გაჩერდეს, ოღონდ იმ მომენტის გარეშეც, როცა პირველად დაილექე გულში და გონებასაც მოედე, მოედე მომაკვდინებელი ყვავილივით, მოედე გაუკურნებლად, ახლა კი უბრალოდ ყველაფერი ძალიან საშიშია...

გზა მიდის, თან არ მიიწევს წინ...

უკვე ვგრძნობ სტატიკურობის შიშს...

ინერციით თენდება და ბნელდება...

თითქოს ყველაფერი — მაგრამ არც არაფერი...

გაყინული გული და გაშეშებული სხეული... ფიქრებდაცლილი გონება და უსულო არსებობა, არსებობა, რომელსაც დაუკმაყოფილებელი დავარქვი და არსებობა, რომელიც ჩვენი ისტორიის პირველ ფურცლად იქცა, შემდეგ კი ბოლოდ, თუმცა არა — უკანასკნელად...

მალე ერთი წელი გავა... თითქოს ერთი საუკუნე, რაც დავიწყე ახალი „მეს“ ძიება... რაც დავინახე, რომ თითქმის არ ვიცნობდი საკუთარ თავს... ზუსტად ერთი წელი, რაც გონება და გული ერთმანეთს შეეჯახა... და მას შემდეგ ასე აგრძელებს გაუჩერებელ ბრძოლას...

გახსოვს, მითხარი, ერთ დღეს ყველაზე ძლიერად გამოანათებს მზეო... მაშინ თვალები გიბრწყინავდა და მეც მიბრწყინავდა... მიბრწყინავდა მანამ, სანამ სამყაროს მეორე, მეტად რთული მხრიდან, არ შევხედე... სანამ არ დავინახე ღრმა ქვესკნელი, რომლისკენაც ერთად მივექანებოდით...

მივექანებოდით, მაგრამ ერთ დღეს მივხვდით, რომ მზე ისევ თავიდან იწყებდა ამოსვლას ჩვენს თაღზე...

მივხვდით და უბრალოდ გაგვეღიმა, მაგრამ შემდეგ ეს ღიმილიც შეწყდა, შეწყდა სამუდამოდ... გაქრა ის გულწრფელი ღიმილი, რომელზეც ერთ დროს მხოლოდ ოცნება შემეძლო...

ასე ხდება ხოლმე... ძლიერ სიხარულს ძლიერი მწუხარებაც მოსდევს... შემდეგ კი ძლიერ მწუხარებას ძლიერი სიხარულიც...

— მესმის! მესმის! მაგრამ სადამდე?! — გული კიდეებს ასკდება.

— არ ვიცი! — გონება ეჭვობს...

— ასე რა აზრი აქვს?! — გული კრთება, კრთება ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელი შიშისგან, თითქოს უკვე გრძნობს, რა იქნება ხვალ, ზეგ, მაზეგ...

რის გარეშეც ყველაფერი აზრს კარგავს

ღრმა ბავშვობიდან მაფიქრებს, რა არის ის, რის გარეშეც ყველა და ყველაფერი აზრს დაკარგავდა. უცნაურია, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი მუდმივად ცვალებადია. შეიძლება, ვიფიქრო, ღირებულებათა უქონლობის ბრალია, ან კი უბრალოდ სამყაროსავით ცვალებადი ბუნების.

იმ დღეს, როცა პირველად დავფიქრდი, საიდან, როგორ მოვედი დღემდე, მაშინაც წვიმდა, წვიმდა ისე, თითქოს უკანასკნელი დღე ყოფილიყო; მაგრამ ეს არ მაშინებდა, რადგან ბავშვი ვიყავი და ჩემთვის სიტყვა „ღირებულება“ სათამაშოებს და ავადმყოფობას ვერ ცდებოდა. ერთ დღეს კი, მიუხედავად ყველაფრისა, დადგა დრო, როცა სამყაროს პირისპირ მარტო აღმოვჩნდი.

მართალია, დიდი მონდომებით ვცდილობდი მის გაგებას, მისი რიტმისთვის მიყოლას, ცხოვრებისთვის დაწევას და შემდგომ გასწრებასაც კი, თუმცა არც ისე მარტივი აღმოჩნდა...

თითქოს ყველას ვუყვარდი, მაფასებდა ყველა, გვერდში მედგნენ ახლობლები, თუმცა ვგრძნობდი, რომ მაინც მარტო ვიყავი. ჩემს ცხოვრებაში არ იყო დღე, როცა ამ უცნაურსა და სიტყვებით აღუწერელს ვერ ვგრძნობდი...

თენდებოდა თუ ღამდებოდა, ვგრძნობდი, რომ ამ უკიდეგანო სამყაროში მარტო ვიყავი.

ვცდილობდი საკუთარ შეცდომათა სხვათა ანგარიშზე გადატანას.

ვცდილობდი სიცრუესაც, ილუზიაში შეჭრასაც...

როცა ძალიან მომწყინდებოდა დედამიწაზე, როცა ვგრძნობდი, რომ სუნთქვისთვისაც არ მყოფნიდა ადგილი, მაშინვე მივიდოდი ფანჯარასთან, ვაკვირდებოდი ჯერ ცას, მერე — მიწას და ვფიქრობდი, როგორ შეიძლებოდა სამყაროს შეცვლა...

თუმცა ამ შემთხვევაშიც არ ემთხვეოდა ფიქრი რეალობას...

მე ცალკე ვიყავი, ჩემი იდეალური სამყარო — ცალკე...

ზაფხულიც შემოიჭრა — იმდენად შემოიჭრა, რომ დილის ცხრა საათზე უკვე ძლიერად აჭერდა ჩემს ფანჯარას მზე, ზოგჯერ გაწვიმდებოდა კიდეც, თუმცა ძალიან ხშირად ამასაც ვერ ვგრძნობდი, უბრალოდ ვერ ვგრძნობდი და ვაგრძელებდი ფიქრს... ფიქრს იმაზე, თუ რის გარეშე დაკარგავდა ყველაფერი აზრს...

მერე უეცრად ჩვენი გზებიც გადაიკვეთა... ერთი კვირა არ იყო გასული, რაც ვფიქრობდი, რომ შენს გარეშე უბრალოდ ყველაფერი შავ-თეთრად შეიღებებოდა...

დღე დღეს ისე მისდევდა, თითქოს საუკუნის მოგონებები შემომკედლებოდნენ...

ორ კვირაში უკვე სამყაროს ვხედავდი შენს თვალებში, სადაც დატოტვილ ხეთა მსგავსად მოჩანდა ჩვენი მომავალი... მომავალი, რომლის წაკითხვასაც დიდხანს ვცდილობდი, ვცდილობდი და დღითიდღე საკუთარ თავში უცნობ მხარეებს ვპოულობდი.

ორ ათეულ დღეში ერთმანეთის გარეშე უკვე ცხოვრება ვეღარ წარმოგვედგინა; არ ჰქონდა მნიშვნელობა, დღე იყო თუ ღამე, წვიმიანი ამინდი თუ მზიანი, არსებობდა დღე-ღამის მხოლოდ ორი პერიოდი — შენთან ერთად და უშენოდ.

ნელ-ნელა სამყაროს სხვა ფერებში დანახვა დავიწყე, იმდენად გავიცანი, მისადმი შიშიც გაქრა...

თვალებს დავხუჭავდი თუ არა, მხოლოდ ერთი გამოსახულება მედგა თვალწინ, ფერადი და მრავლისმთქმელი. მართალია, ბევრს ვერაფერს ვიგებდი, თუმცა მაინც მიხაროდა, მიხაროდა, მაგრამ ამ სიხარულს სახელს ვერ ვარქმევდი.

გხედავდი, გრძნობდი, აღგიქვამდი, მაგრამ სიტყვები თითქოს თავისით მეფანტებოდნენ.

მხოლოდ ფიქრებში თუ შემეძლო, ამ ყველაფრისთვის სახელი დამერქმია.

შენ კი ძალიან ხშირად მიმეორებდი, მიმეორებდი, რომ გიყვარდი...

მიმეორებდი, რომ შენთვის სამყარო ვიყავი...

მე კი უბრალოდ სიტყვები მარცვლებად მექცეოდნენ ისე, რომ ბაგემდეც ვერ აღწევდნენ.

საერთოდ გამქრალიყო რომანტიკული ოცნება...

უბრალოდ ვიყავით მე და შენ!

ყოველგვარი შელამაზებისა და გაფორმებების გარეშე — მე და შენ...

მაგრამ არსებობდა ერთი რამ, რაც უბრალოდ არ შემეძლო — სიტყვები, ყველაზე რთული, ამოუცნობი და ყოველივე ღირებულების საძირკველი...

სიტყვები, რომელსაც ასე ელოდი... ელოდი დიდხანს, მოთმინებით, მოწიწებით...

ეს დღეც დადგა...

დადგა და მას მერე დავიწყე ცხოვრებისთვის ახალი საძირკვლის ძიება...

საძირკვლის, რომელსაც დღემდე ვეძებ...

ვეძებ და ვეძებ პასუხს...

რა არის ის, რის გარეშეც უბრალოდ ყველაფერი შეწყდებოდა...

ვეძებ, მაგრამ დღემდე ვერ მიმიგნია.

ვერ მიპოვნია ციური, ამოუცნობი ანგელოზი, რომელიც ჩვენ შორის ჩადგა და ჩვენ ორ შორის აღმოაჩინა მესამე — გრძნობა — დიადი და შორეული...

ველოდები და საბოლოოდ მაინც შენგან ველი პასუხს...

დამსხვრეული ჩვენ

გითხარი, როგორც დამსხვრეული ჭიქა, დამსხვრეული „ჩვენ“ ვერ აღდგებამეთქი... შენ კი უბრალოდ არ გესმოდა, ან არ გინდოდა რეალობისთვის თვალის გასწორება.

დამცინოდი, როცა გეუბნებოდი, ერთსა და იმავე დინებაში მერამდენეჯერ უნდა შევცუროთ-მეთქი...

შენ არ გესმოდა ჩემი ირიბი გამონათქვამები, ისევ ბავშვურად აგრძელებდი ყველაფერში საკუთარი თავის დადანაშაულებას და დღითიდღე თავიდან მეფიცებოდი სიყვარულს...

იცი, მეც მჯეროდა...

ყველაფრის მიუხედავად, მჯეროდა, რომ გავიდოდით ნაპირზე და ცხოვრების ძლიერი ტალღები არ წაგვლეკავდა... მჯეროდა და ყველანაირად ვცდილობდი, „ჩვენ“ გადამერჩინა...

ვცდილობდი... ვცდილობდი განუწყვეტლივ... სანამ „ჩვენი“ სიმბოლო, გულთა შერწყმის სიმბოლო, ბუნკერში არ მოვისროლე და წინ არ დავიწყე ყურება...

ყველაფერი იქ დასრულდა, სადაც დაიწყო...

თუმცა მთლად ასეც არაა...

ძირეული გრძნობები, თუნდაც გარდასულნი და სამყაროს მეორე კიდეში გადახვეწილნი, მარადიულ კვალს ტოვებენ; ჩვენ ხომ ის აღარ ვართ, რაც იმ 330 თუ 335 დღის წინათ ვიყავით, როცა პირველად დავინახე, როგორ გაგიცისკროვნდა თაფლისფერი თვალები და როგორ შეგიკრთა სახე...

მახსოვს, რა მითხარი უკანასკნელად — ყველაფერი მაპატიეო — და მეც მინდა, სწორედ იგივე გთხოვო...

რადგან უკვალოდ არარა ქრება,
რადგან ნაკვალევს ტოვებს ყოველი,
გთხოვ, მაპატიო გაცნობის დღე და
თან შემისრულო ერთი სურვილი,
რომ დამივიწყო სამარადჟამოდ
და გააგრძელო წუთისოფელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

ქუნარეშის საიდუმლოს ძიებაში

წესით მოულოდნელი სულაც არ უნდა ყოფილიყო მინიატურების კრებულის საერთო სახელწოდებად ამ სიტყვის შერჩევა: „ქუნარეშ“ — მაგრამ იმდენი რამ ინავლება ჩვენს თვალწინ ძვირფასი და სანუკვარი, იმდენი რამ გვეკარგება თუ მკრთალ ფრაგმენტებადღა შევყურებთ და ვეღარა გაგვიგია რა მისი დანიშნულებისა, უკვე რა გასაკვირია, თუ ვეღარც ეს სიტყვა გვიცვნია და აღარც იმ ტრადიციისა გვესმის, ამ სიტყვას რომ უნდა მოჰქონდეს.

მაინც რას ნიშნავს ქუნარეში და:

სულთა სტუმრობის კვირეულს.

კიდევ კარგი სვანებს მაინც შემოუნახავთ ეს ტრადიცია და ყოფით რეალობაშიც ინარჩუნებენ, არამცთუ ცნობიერება ირეკლავდეს მის ხსოვნას საუკუნეობრივი გადმოცემების შემწეობით.

აწ უკვე ლიტერატურულ მიმოქცევაშიც ძალუმად დატრიალდება ქუნარეშის რიტუალი და შეგვიტოკებს სულის ყველაზე ფარულ, ყველაზე ფაქიზ სიმებს, იდუმალებასთან წილნაყარს, რომ ვწყდებით და ვერც ვწყდებით... ვგრძნობთ და ვეღარც ვგრძნობთ... ვიჯერებთ და ვეღარც ვიჯერებთ...

სოსო მეშველიანისათვის ცოცხალ განცდაში შენივთებულა სულთა სტუმრობის კვირეული — ნამდვილი ახალწლის ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე შემორკალური, კვლავ ერთად რომ შემოუსხდებიან გაშლილ სუფრას გარდაცვლილნი, და ისე უბრალოდ და ძალდაუტანებლად ნადიმობენ აქ მყოფთა თვალწინ, თითქოსდა მათ შორის ორი სამყაროს გამყოფ-გამთიშავი ზღვარი არც გავლებულიყოს.

ცოცხალი განცდა, ძალა ძველ რწმენა-წარმოდგენათა შენარჩუნებისა სწორედ ისაა, რომ ეს ზღვარი თუ ზღუდე მოშალოს და ეს ერთი კვირა აქციოს სულ სხვა განზომილებად, აჩრდილები სისხლხორცით რომ აღივსებიან და ყოფითი ცხოვრების უშუალო მონაწილენი ხდებიან, აქ დამხვდურნი რაღაც მიღმურის სუნთქვას თავისად რომ შეიგრძნობენ და კიდეც მონაწილეობენ მის ხილულად გაცხადებაში.

ცოცხალ განცდად შემოვიდოდა ეს რიტუალი სოსო მეშველიანის გულსა და გონებაში და შეუბღალავადაც დააბინავებდა მინიატურების ციკლში, რომლის სულისკვეთებაც ქუნარეშის საიდუმლოებრივ ტრადიციას უნდა განესაზღვრა და თავის ირგვლივ დაებრუნებინა ყოფითი სურათებიც და სიზმარეული მოლანდებანიც, ერთიერთმანეთზე ბუნებრივად გადაღვრილნი.

და აი ჩაესმის არაერთხელ, გულისფიცარზე აღბეჭდავს და ოდესმე ფურცელსაც მიანდობს, თუ როგორ ჩურჩულებს დიასახლისი ამ სტრიქონებს: ჩვენ არც წასვლას გთხოვთ, არც დარჩენას, ნება თქვენია, ბამბა გათოვდეთ, ზეთი გაწვიმდეთ, სულ კარგი ფეხი დაგეტოვოთ ჩვენთვის, ყველასთვის, სულ თაფლ-მზიანი გზებით გევლოთ, სულ თაფლ-მზიანიო... —როდესაც ძვირფასი მიცვალებულების მათთან სტუმრად მყოფ სულებს აცილებს ჭიშკრამდე, რატომღაც ჩქარი ნაბიჯებით, ხელში კი სამფეხა, დაგრეხილი სანთლით.

ხრიჭინებს ფეხქვეშ ყინვით გამომშრალი თოვლი, უცნაურად რომ მოძრაობს, ღამე — სანთლის შუქზე — უკვე ლანდად ქცეული.

შინ მყოფთ მხოლოდ მისი ფეხის ხმა ესმით, შუქჩამქრალ ბნელ ოთახში, დედისკენ ზურგშექცევით მდგომთ, იმის შიშით, რომ უნებურად თვალი არ გააყოლონ, რაც სასტიკად აკრძალულია.

ხოლო ტაბუს დარღვევას რაც მოსდევს, რარიგ ტრაგიკული შედეგი, კარგადაა ცნობილი მითებიდანაც, ზღაპრებიდანაც, ბიბლიიდანაც, ყოფით სინამდვილიდანაც.

დედამ სანთელი ჭიშკრის ბოძზე უნდა დაამაგროს და უკან გამობრუნდეს.

განცდა, რაც მაშინ ეუფლება, მისთვისაც გაუგებარი უნდა იყოს, აუხსნელი.

შინ შემოვიდეს, შუქი აანთოს და... ამით ერთკვირიანი ყოველდღიური რიტუალი კიდეც დასრულდეს.

მანამდე კი...

შვიდი დღის განმავლობაში დილა-საღამოს სულებისათვის საგანგებოდ უნდა გაიშალოს სუფრა და ზედ კი ის ელაგოს, რაც ხორციელად ოჯახში მყოფთ შინაურთათვის უცხო სამყაროში მოხვედრამდე უყვარდათ.

და ესეც სევდიანი სურათი:

მაგიდის ერთ მხარეს ჩიბუხი ან ანთებული სიგარეტი დევს, მეორე მხარეს — მანოვარაწამოცმული რძით სავსე შუშის ბოთლი...

სინათლე უნდა ჩაქრეს, მხოლოდ მოპარპალე სანთლის სუსტი შუქი ანათებდეს ოთახს, ისიც სანახევროდ.

და იმ უცნაურობის შემსწრენიც უნდა გახდნენ:

ყოფილა შემთხვევა, როცა ამ დროისთვის, მკაცრი ზამთრის მიუხედავად, ოთახში მალე წვრილი პეპლები გამოჩენილან საიდანღაც, შემომწკრივებულან საგანგებოდ ამ რიტუალისთვის გაწყობილ, ფქვილიან ჯამში ჩამაგრებულ თხილის წვრილ ტოტზე და გაუღვივებიათ მთხრობელის მბჟუტავი რწმენა ამ ყველაფრისადმი.

მოხდენილად აღწერილი ეთნოგრაფიული სურათია, თედო სახოკია ანდა გიორგი შატბერაშვილი რომ შეიტანდნენ თავთავის რომან-ლექსიკონებში („ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ იქნება თუ „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“) კრიალოსნის რგოლებად, ოღონდ რაკიღა



სოსო მეშველიანი მინიატურის მასალად თუ სიუჟეტურ ქარგად იყენებს, გაგრძელებაც შესაფერისი უნდა გაემოეძებნოს და ფინალური აკორდიც, ყველაზე უკეთ კონტრასტს რომ მოირგებს.

მბჟუტავი რწმენა ამ ყველაფრისადმიო...

ეს მთხრობელის პირადი დამოკიდებულებაცაა და ახალთაობათა საერთო განწყობილების გამოხატულებაც, ქუნარეშის ძველთაძველი ტრადიცია და რიტუალი ძლივძლიობითღა რომ ინარჩუნებს თავს, არსებობს და აღარც არსებობს... და მაინც ბჟუტავს, და მაინც ებღაუჭება და ეკოწიწება ადამიანი, რათა მის გაქრობასთან ერთად რაღაც დიდი არ შემოეფშხვნათ ხელში, საბოლოოდ არ ჩააკვდეთ და გაუქარწყლდეთ.

გიძნელდება მასთან ზიარება იმ რწმენით, შენი წინაპრები რასაც განიცდიდნენ და ახლა ოჯახის დიასახლისი ხელში ფეთქავს ჩიტის გულივით?

ამიტომაც უნდა შემოიჭრან საიდანღაც ძალზე წვრილი პეპლები და შემომწკრივდნენ არა თავიანთ ნებისად, არამედ საგანგებოდ ამ რიტუალისათვის გაწყობილ, ფქვილიან ჯამში ჩამაგრებულ თხილის წვრილ ტოტზე.

და კიდეც მიაბან და შეუკავშირონ ერთმანეთს თითქოსდა ზღუდით გამიჯნულ-დაშორებული, არადა ფარულად ერთიმეორეში გადაღვრილი ორი სამყარო — ჩვენთვის ხილული და ჩვენთვის უხილავი, თუმც არანაკლებ რეალური, ვიდრე ყოფითი სინამდვილეა, ის ყოფითი მდინარება ცხოვრებისა, რომელსაც გარდასულნი ახალწლის დამდეგს ხელშესახებად უნდა ესტუმრონ და მოითხოვონ თავიანთი კუთვნილი ჩიბუხიც, ანთებული სიგარეტიც, მანოვარაწამოცმული რძით სავსე ბოთლიც და... კიდევ რა აღარ, რაც კი იმიერსამყაროში გადასახლებამდე უყვარდათ.

და მთხრობელს მბჟუტავი რწმენა რომ უღვივდება, კიდეც უნდა ეცადოს იმ რთულ სამყაროში შეღწევას.

მაგრამ... ამაოდ?

არაფერი გამოსდის, და მხოლოდ გარშემო უვლის და აკვირდება ასე შორიდან?

თუმც ამაო მცდელობადაც არ ითქმის, რაკიღა გარშემო ტრიალისა და დაკვირვების წყალობით რაღაცნაირად მაინც ახერხებს ტკბობას ამ სრულყოფილი იდუმალებით.

მაგრამ... რაც მეტს უღრმავდება, ქუნარეშის რიტუალი კიდევ უფრო იდუმალი რომ ხდება?.. და დედის დაბნეული პასუხები ამ, ვაივაგლახით მოხელთებულ აზრსაც ხელიდან რომ აცლის?..

ეს ხომ ასეც უნდა იყოს — ანკი ვის შეუღწევია საიდუმლოების სიღრმეში, ვის აუხსნის რიტუალისა და ტრადიციის ფარული საზრისი და საწყისი?!.

გულით უნდა მიდიოდე მასთან და არა გონებით... და იკმარო განცდა და არა ახსნა, მარტოდენ მის გარშემო ტრიალი და შორიდან დაკვირვება.

ესეც ის ერთადერთი გზაბილიკი მასთან ზიარებისა.

და კვლავ და კვლავ იგივე უნდა განმეორდეს, რაკიღა ტრადიცია იმისაა, მარადიულ წრებრუნვაში იყოს ჩართული და ყოველწლიურად აღსრულდებოდეს ისე, როგორც პირველად — მითოსური სამყაროდან მომდინარე კვდომა-გაცოცხლების ერთ-ერთ გამოხატულებად და დასტურად.

იგივე განმეორდეს და...

და კვლავ იდგეს დედა გარშემომყოფთა წინ, ყველაზე ახლოს გაშლილ სუფრასთან და ჩვეულებისამებრ რაღაცას გაუგებრად ჩურჩულებდეს.

ხმაჩაკმენდილ ტელევიზორში კი ერთმანეთს ცვლიდნენ თავიანთი ყალბი პოზებითა და მიმიკებით რომელიღაც ლათინოამერიკული სერიალის გმირები.

ესეც ის კონტრასტი, რაღაც იმგვარი, ნაკადულის ხმა წარღვნის სუნს რომ შეგაგრძნობინებს შორეულად, შორეულზე შორეულად, მაგრამ არ განებებს მთელი არსებით მიენდო იდილიას. პოეტმა (თქვენითაც გაგახსენდებოდათ ბესიკ ხარანაულის ის ერთიბეწო ლექსი) უნდა მიგანიშნოს ნაკადულში დაფარულ წარღვნაზე, როგორც სოსო მეშველიანის ამ მინიატურის ფინალმა უნდა მოგალანდოს რაღაც საშიშროება იდუმალების კარიბჭის წინაშე მდგარს და ორი სამყაროს შერწყმა-შენივთების ხილვით განცვიფრებულს.

ტელევიზორი ჯერჯერობით ხმაჩაკმენდილია, მაგრამ ჩართვით მაინც ჩართულია, და თუმც იქ არეკლილი სიყალბე ვერა გწყვეტს დედის ჩურჩულსა და საიდანღაც მოვლენილ ძალზე წვრილ პეპლებს, მაგრამ... ხვალ შეიძლება ყალბ პოზებსა და მიმიკებს ყალბი ხმაც შემოერიოს და... კიდეც გადაფაროს დედის ჩურჩული... და მერე როგორღა გინდა იხილო პეპლების შემომწკრივება და... რაღამ უნდა გაგიღვივოს მბჟუტავი რწმენა ამ ყველაფრისადმი?!.

თითქოს წარღვნის სუნმა დაგკრაო...

აქ კარგიც იქნება, კონტრასტული ფონი, მინიატურის ფინალური აკორდი შენში ჩაბუდებულ შიშს თუ წამოაფრენს და მოგაბღაუჭებს იმ ჩურჩულს, რომელმაც უნდა გაგიწალდოს გზა ორი სამყაროს შეერთების სახილველად.

და მერე ეს რწმენა მინიატურების კრებულში დაგავანებინოს ამ წიგნის საიდუმლო სულად, მოხდენილად შედგენილი ანოტაციისა არ იყოს:

და მართლაც აქედან, ამ უხსოვარიდან და იდუმალიდან უნდა მომდინარეობდეს ყველა შემდგომი განწყობილება და შთაბეჭდილება, რაც პოეტს რომანივით საკითხავ, შფოთიან თავგადასავალში უნდა გადახდეს. პატრიარქალური სვანეთის სოფლიდან ესპანეთის ქალაქებამდე, ევროპის გავლით — ამ გეოგრაფიულ არეალში უნდა მოქცეულიყო ის დიდი ცხოვრება, პოეზიის გარდა მინიატურებად თუ ჩანაწერ-ჩანახატებად რომ უნდა გარდაესახა სოსო მეშველიანს.

ქუნარეშიდან უნდა გადებულიყო ხიდი კოხინჯრობამდე.

კატალონიიდან — სვანეთამდე, იმ პატარა, ზღვისპირა ქალაქიდან, სადაც ბევრ ტანჯვა-წამებაგამოვლილ ემიგრანტს ის დისკომფორტიც უნდა შექმნოდა, აქაურობა ტრანსების მსოფლიო ფესტივალს რომ მასპინძლობდა და ამის გამოისობით მთხრობელი მართლაც გამაოგნებელ ყოფაში აღმოჩენილიყო, თავი რომელიღაც ფანტასტიკურ თუ მისტიკურ სამყაროში რომ ეგონებოდა („კოხინჯრობა“).

ზოგჯერ ეჩვენებოდა, დროის შეგრძნებას ვკარგავო. ისეთი განცდა ეუფლებოდა — სულერთია ნიღბებით იქნებოდნენ თუ უნიღბოდ — თითქოს მის გარშემო „ბოსლას“ მსგავსი ზოომორფული არსებები დადიოდნენ, სიდჟესი კი რომელიღაც მითოსურ ქალაქად წარმოედგინა.

ყველაფერს ისინი მოსდებოდნენ, ლამის აწიოკებდნენ მთელ ქალაქს, ხმაური ღამითაც არ აძინებდა მთხრობელს, რაკიღა ძველისძველი შენობის კედლებში ჩვეულებრივად აღწევდა მთვრალი ადამიანების ყიჟინა. და შუაღამისას ძილგატეხილი და გაოფლიანებული უნდა წამომხტარიყო ხოლმე, და გახარებული, ყველაფერი სიზმარი ყოფილაო, გაცლოდა შიშისმომგვრელად გასუსულ ქალაქს და ყრუდ მოშრიალე ზღვასთან, ამოჩემებულ ადგილზე, პლაჟთან კი არა, ერთ ყრუ, ჭაობისბალახიან ადგილას, სადაც რომელიღაც პატარა მდინარე უერთდებოდა ზღვას, ჩამომჯდარიყო და ახალგაღვიძებულსა და ყნოსვაგაღიზიანებულს შეესუნთქა ველური ბალახის სურნელი.

ერთ უქმე დღეს „ატლანტიდაში“ უნდა შესულიყო. და ღამენათევი, მთვრალი ტრანსები რომ ვერც შეამჩნევდნენ, ამიტომ უფრო თავისუფლადაც მოახერხებდა მათზე დაკვირვებას. ისეთი აურზაური გაჰქონდათ, მათ შემყურეს ამასაც სხვა გზა არ დარჩებოდა, ზედიზედ უნდა გადაეკრა ოთხი ჭიქა „ხოტაბერი“ და ზედ სამი კათხა ლუდიც მიეყოლებინა. სასმელი რომ მოეკიდებოდა, სიგარეტსაც მოუკიდებდა, თუმც ჰაშიშის კვამლით გაჟღენთილ ჰაერნასუნთქი სიგარეტის ნაფაზებს გემოს ვეღარც ჩაატანდა.

ნატურალისტურ სურათს კვლავ კონტრასტული ფონისათვის დაისაჭიროებდა, რადგანაც სწორედ მაშინ უნდა აუზუზუნდეს ჯიბეში ტელეფონი და... დედის დამშვიდება მოუწიოს, ის რომ შემოსჩივლებდა: ცუდი სიზმრები მქონდა შენზეო. მერე კი შეახსენოს: ხვალ კოხინჯრობაა, უქმე დღეა და ეცადე არ იმუშაო.

და ეს რომ შეპირებით შეპირდებოდა, გულში უნდა გასცინებოდა, რადგანაც კოხინჯრობა კი არა, უკვე მეოთხე წელი იქნებოდა, რაც მისთვის აღარც შობა არსებობდა, აღარც ხარება და აღარც ამაღლება. აღდგომა კი უბრალოდ კვირადღე იყო და ამის გამო ახერხებდა დასვენებას.

კოხინჯრობა მაინც რა არის?

ძველთაძველი დღესასწაული სვანეთში, უფრო მამაკაცები რომ აღნიშნავენ. ერთგვარი ვედრება უზენაესისადმი: დაიცვას სეტყვისაგან ნათესები. რიტუალი აუცილებლად სოფლის მოშორებით, ტყეში ან მაღლობზე უნდა იმართებოდეს, რომ — რწმენა-წარმოდგენის თანახმად — იმის ქვემოთ სეტყვამ აღარ ჩამოაღწიოს.

დედასთან საუბრისას უნდა აშლოდა ფიქრი ამ ძველთაძველ დღესასწაულზე, მაგრამ უეცრად საშინელ ხმაურსა და აურზაურს უნდა დაეხშო მისთვის ყურთასმენა. შემობრუნდებოდა და... ორი შიშველი ტრანსი მაგიდაზე ასულიყო და გიჟურად ცეკვავდა, დანარჩენებს კი ერთი ამბავი აეტეხათ, კიოდნენ, ხარხარებდნენ, ტაშს უკრავდნენ.

ეს... ადგილზე უნდა შექანებულიყო და უკვე მართლაც დროის შეგრძნებადაკარგული მობილურს დაშტერებოდა.

იქიდან ჯერაც მოისმოდა დედის ყრუ, სუსტი ხმა.

დასასრული მე-14 გვერდზე

ნანა კუცია

იუველირის მოთმინება და პასუხისმგებლობა



თუ რითიმე შეუძლია ქართველს ეგზისტენციურ ძრწოლა-წნეხს გაუძლოს, სასო არ წარიკვეთოს (სასოწარმკვეთი კი ირგვლივ ბევრი რამაა — გლობალურიცა და ლოკალურიც), მსოფლიო პროცესების პერიფერიაზე, მის გულისგულში იგრძნოს თავი, ეს — ქართულ პოლიფონიასა და როკვით განფენილ ქართულ გენიასთან ერთად, უპირველესად, ქართულ მხატვრულ სიტყვაზეც ითქმის — ერის სულიერების, მისი იდენტობის უპირველეს ნიშატზე, დახვეწილზე, ზნეობრივზე, კულტურულზე, ინტელექტუალურზე, საუკუნეთა (თუ ათასწლეულთა არა) მანძილებსა და ბურუსს გამოღწეულზე, გურამ ასათიანის მოხდენილი განსაზღვრებით — „საღვთოს საერო ტრანსკრიფციაზე“.

ქართველი მკითხველი დასაბამიდანვეა განებივრებული უმაღლესი სინჯის მხატვრული ტექსტებით — ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული პირველივე ძეგლით დაწყებული, ვიდრე მწერლობის საუკეთესო თანამედროვე ნიმუშებამდე.

ზაალ სამადაშვილის მოთხრობების კრებული „სამოცი“ საუკეთესოთა შორისაც, ალბათ, გამორჩეულია — ეს არის ტექსტები, როგორსაც დაწერდა, ალბათ, ავთანდილის ტიპის ქართველი — ერთდროულად ზემგრძნობიარე და რაციონალური, ნატიფი და მკაცრი, ვისაც მიმადლებია გული გონიერი, ვისიც „გული, გრძნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია“, ვინც იცის სამშობლოს, თავისი ლიტერატურის, საერთოდ, ქვეყნის (ანუ მსოფლიოს) ლიტერატურის ისტორიაცა და მეტაფიზიკური ქარაგმებიც. იცის, რომ დიდი ლიტერატურა მხოლოდ მოვარვარე გულითა და ცივი გონებით იქმნება და იგივე ოქსიმორონი ესაძირკვლება მხატვრული სიტყვის უკვდავებას, უბრალო სიტყვას ლოგოსურის ტრანსკრიფციად გარდაქმნის.

სამადაშვილების გვარი განსაკუთრებულ ნიშას ქმნის ქართული მხატვრული სიტყვის სივრცეში: ნიკო სამადაშვილი, ზურაბ სამადაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, ზაალ სამადაშვილი ისეთი სიფაქიზითა და სიზუსტით აღწერენ ქართულ ფიზიკურ თუ მეტაფიზიკურ ლოკალს, ქრონოტოპოსს, თითქოს ნიკო სამადაშვილისავ იდუმალი, მისტიკური ფრაზით იყვნენ შთაგონებულნი: „ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს“ („ატენის სიონი“).

ეს ინტიმი, კამერულობა ყოველი (ეროვნებისა და ეპოქის მიუხედავად) დიდი მწერლის ტექსტების ენერგეტიკაა. ამ ტექსტებში „შინ“ ხარ, თითქოს ხატების კუთხესთან, მშვიდი, აუმღვრეველი, დაცული, სადაც და როდესაც არ უნდა ხდებოდეს მოქმედება — ბორხესის არგენტინაში თუ აკუტაგავას იაპონიაში, ჩეხოვის რუსეთში თუ ფოლკნერის ამერიკაში, ჯოისის ირლანდიაში თუ ვარგას ლიოსას პერუში, ფელინის იტალიაში თუ ინანიშვილის საქართველოში. ეს პროვიდენციის — საღმრთო კანონზომიერების — ენერგეტიკაა.

ზემოხსენებულ დიდ ხელოვანთა ტექსტებისა თუ კადრების ალუზია-რემინისცენციები ხშირია ზაალ სამადაშვილის დახვეწილ ნაწერებში — ყოველთვის უზუსტესად მორგებული ტექსტს, კონტექსტს, ქვეტექსტს (ეს, ალბათ, აზროვნების მათემატიკური ყაიდითაც განისაზღვრება) ასე ლაპიდარულად, უფაქიზესუზუსტესად წერდა ლუის კეროლიც — აქ „ნაქსოვის სილბოა და ნაჭედის სიმტკიცე“.

მწარეა მარკესის სიმართლე — „მარტოობის ასი წელი“ იმისთვის დავდე თაროზე, „პოლკოვნიკს არავინ სწერს“ რომ წაეკითხათო.

ზაალ სამადაშვილი ამ ლაპიდარულ, ტევად ციტატას თავისი ტექსტების ჟანრული არსის გასაცნობიერებლად სთავაზობს მკითხველს. იუველირის მოთმინებითა და პასუხისმგებლობით დაწახნაგებული ამბები, ბრილიანტივით პაწია, მაგრამ ბრილიანტივით ძვირფასი (ხან მინიატურის, ხან ნოველის, ხან ესკიზის, ხან მოთხრობის საფანელში გამოხვეული), სამუდამოდ რჩება გულსა და გონებაში მკითხველისა, რომელიც, ამ ნატიფი ნახევარტონებით, პასტელური მონასმებით ინსპირირებული, თავადვე ააწყობს უმშვენიერეს ლიტერატურულ „ფაზლს“ — საკუთარ გულსა და გონებაში გამოტარებულს.

ავტორი არ გეკეკლუცება, არ გექაჩება, გვერდიდან გვერდზე არ მიგათრევს, გენდობა და მიგინდობს. ეს მასის ბელეტრისტიკა არ არის, რაფინირებული საკითხავია. ამ ტექსტების იდუმალ სივრცეებში 80-იანების, 90-იანების, 2000-იანების (სწორედ ამ პირობით რკალებად ლაგდება მოთხრობები კრებულში „60“) კატასტროფების წინათმგრძნობ თუ ახდენის ამრეკლავ ამბებში ისეთ „ყუჩ სინათლეებსა“ და „წყნარ სახატეებს“ (როგორც ზაალ სამადაშვილის ერთი უსაყვარლეს ავტორთაგანი — რევაზ ინანიშვილი — იტყოდა) აღმოგაჩენინებს მწერალი, ბედნიერი და გულდაწყვეტილი ხურავ წიგნს და გრძნობ დიდი ლიტერატურის განმწმენდ ენერგეტიკას, იაზრებ მთავარს — არ (და ვერ) ირჩევ სიცოცხლის ხანგრძლივობას, ჟამსა და ლოკალს, მაგრამ ირჩევ სიცოცხლის ხარისხს: თუ ბუხარი ბორხესს გახსენებს (არა მხოლოდ სიტყვის აკუსტიკით), ქუჩის მუსიკოსების მელოდიაში სფეროთა მუსიკა გესმის, გამურულ შუშაში ალს ხედავ — ლამაზსა და უმწეოს — თოლიების დაპურება არ გეზარება და გეთაკილება, არც ატატებული კნუტით სიარული, ელიას კანეტიც შენიანია და „პაპილონეც“, თავისუფლების წამთა განსაცდელად რომ უკიდეგანო ოკეანეში გადაეშვება...

ისეთი ძაბვაა ამ ლაპიდარულ ამბებში, თითქოს გაშიშვლებული სადენისთვის წაგივლია ხელი. რომელ ციტატას ამოიწერ, რომელი ტექსტიდან, როცა ყველაფერი (ხაზგასმით ვამბობთ, ყველაფერი!) უმაღლესი სინჯის ლიტერატურაა?! „დანარჩენი ლიტერატურა“ კი არა — უნატიფესი პოეტური პროზა. ამ ტიპის პროზიდან ვერლიბრ-ვერბლანამდე ხან ნაბიჯია, ხანაც — სრულიად წანისლული მიჯნა.

„გარდაეცვალა მამიდა, გათხოვილი სოფლად ორმოცი წლის წინ. მისმა სიკვდილმა ორმაგად დასცა თავზარი — მამამისის ტყუპისცალი იყო, ტყუპისცალებზე კი ამბობენ, უერთმანეთოდ ძალიან უჭირთ ცხოვრებაო. მამამისი მეორე დღესვე გაემგზავრა სოფელში და ერთი ღამე გაათია იქ. რომ ჩამოვიდა, ცოტა ნასვამი იყო და ტიროდა — ლამაზად წევსო“. ეგზეგეტიკურ-განმარტებითი წიაღსვლები ამგვარ ტექსტებში, ალბათ, მკრეხელობაა, როგორც კლასიკურ მელოდიას ან საგალობელს ვერ გაწყვეტ ტაშით.

ეს ლირიკაა — სულის უფაქიზეს სიმთათვის...

მინიატურას „დარდიანი“ ჰქვია. მინიატურაში ჩაწნეხილი დარდი რომანის გრძელ დისტანციებს გასწვდება, აქ კი ორიოდ ფრაზაში შევიგრძნობთ გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის მისტიკას.

ეს თხრობის ის სტილია, ქართული პროზის განვითარების მაგისტრალურ ხაზად რომ გამოკვეთა გრიგოლ რობაქიძემ სინოპსისურ კვლევაში „ქართული პროზისათვის“: „თავი და თავი — აღნაგობა, სამკაული — მხოლოდ დეტალი“. მაღალი მოდერნიზმიის მეტრი აღნიშნავდა, რომ „ხორკლი და ხიჭვი, მეჭეჭი და ღვლარჭნილება“ (დეფინიციები რობაქიძისეულია), არაბუნებრივი ქართული თხრობის (თუ თხრობის ქართული) სტილისათვის უცხოურ ინვაზიათა ლექი იყო. საკუთრივ ქართული თხრობის მანერის ნიმუშად ცურტაველის, სულხან-საბას, ილიას გენიალურად სადა სტილს იდასტურებდა.

ვერცერთი ლიტერატურული კონოტაციით, ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინით ვერ აღადგენ ამ (ერთდროულად) ფაიფურივით მყიფე და ალმასივით მედეგი ტექსტების მხატვრულ ქსოვილს ლიტერატურულ რეცენზიებში, ვერც აქაური პერსონაჟების დახვეწილ (ან დაუხვეწავ, მაგრამ დაუვიწყარ) მანერებს, პერსონაჟებისა, ხან რეალურ, ხან წარმოსახულ ადამიანთა, ხანაც ლიტერატურულ გმირთა ანარეკლებად რომ აღიქმებიან. ისინი (ჩრდილების თეატრის გმირებივით) კონკრეტულნიც არიან და აბრისწანისლულნიც, წარსულიდან იმისთვის ამოჩნდებიან, აწმყო გაათბონ და გაალიცლიცონ, საზრისი განუსაზღვრონ მომავალს და მერამდენედ დაგვარწმუნონ: „იყო“ რომ არსებულიყო, ტკივილი და ტანჯვა არ იარსებებდა (უილიამ ფოლკნერი).

აქ მუდმივად იკვეთება ადამიანთა გზები, ერთმანეთში ირევა დროის ჰიპოსტასები, უმყიფესია ზღვარი სიზმარსა და ცხადს შორის და ჩვენი ყოფიერების უზუსტეს, უტრაგიკულეს ენიგმად აღიქმება „სწორხაზოვანი სიზმარი“.

ასეთი ზუსტი ენიგმა მხოლოდ ფელინის „რვა-ნახევრის“ უცნობილეს კადრებში — ჩაკეტილი მანქანის სალონიდან ამოფრენილი სულის ლივლივში ან პასტერნაკის „ექიმ ჟივაგოს“ ფინალურ პასაჟებში — გაჩერებული, მერე კვლავ დაძრული ტრამვაის გასწვრივ მიმავალი ბედისწერის პარადიგმად აღსაქმელი იისფერკაბიანი ქალის ხატებაში დაგვინახავს.

უსასოობის, ყოფიერების ლაბირინთულობის (ლაბირინთი — ბორხესის უსაყვარლესი ენიგმა) არსი ასე ლაკონიურად, ასე ლაპიდარულად მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებშიც ძვირად თუ დაიძებნება.

მწერალი თავიდანვე პოულობს გზას ლაბირინთიდან — კრებულში უამრავი მოთხრობაა, რომელთა სათაურებშიც გატანილია ყოვლად პროზაული სახელზმნა — „წასვლა“ („წიგნების გასაყიდად წასვლა“, „ფეხბურთის საყურებლად წასვლა“, „ფეხსაცმელების საყიდლად წასვლა“), მოგვაგონდება პოეტური პროზის მეტრის — რევაზ ინანიშვილის „ნისლების სანახავად წასვლაც.“

ბანალური „წასვლა“ რუტინული ჩვევის (თუ ჩვევის რუტინის) სივრცეებს სცდება და ტრაგიზმს უმაღლეს რეგისტრს აღწევს, მისი კონოტაცია კი (ერთდროულად) ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“-ს მეტაფორიკასა და გალაკტიონის „დაგვიწყია სვლა-წასვლა“-ს ქარაგმასაც გულისხმობს — ეს სულის მარადი გზაა, საყვარელი მისამართები, ინიციაციური პორტალები, სადაც სული ხან იყუჟება, ხან იწრთობა, ხან ნებდება, ხან იმარჯვებს, მაგრამ, რაც რეცენზიაში ასეთი მკვეთრი ზმნებით ფიქსირდება, ზაალ სამადაშვილთან — დახვეწილ ინტელექტუალთან — უაღრესად სადაა.

ეს მოალერსე ტექსტებია — მწერალი ხსოვნით ელაციცება წარსულს — იქნება ეს მივიწყებული ქალაქგარეთი თუ გიტარაზე ამოთქმული ხრინწიანი სიმღერა, ოქროსუბნის რუსული ეკლესია თუ ერთი დღის შთაბეჭდილებები ლურჯყდიანი რვეულისათვის, სწორხაზოვანი სიზმრები, თუ სიურეალისტთა ძველი თამაშები, სანდრო კანდელაკის ჩექმა თუ კინო „ოქტომბერი“, მოახლოებული ზამთარი თუ ავტოპორტრეტი წიგნების ფონზე...

ეს ულამაზეს ნოველა-მოთხრობა-ესკიზ-მინიატურათა მხოლოდ სათაურებია და სათაურებიც პარადიგმებია ზაალ სამადაშვილთან, თითქოს მინიატურისავ ანასხლეტი.

„რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა მშვენიერზე მშვენიერი კაროჟნაო“, უბის წიგნაკში ჩაუწერია გალაკტიონს. მხოლოდ დიდი მწერლების თვალი აღიქვამს „განწირულთა“ სასოწარმკვეთ მშვენიერებას და უკვდავებას ანიჭებს ტექსტში. რამდენი ასეთი „განწირულის მშვენიერებას“ ირეკლავს ზაალ სამადაშვილის ყუჩი ტექსტები... კატარინა გრამკოს პორტრეტიც იკმარებდა, ქეთი ნიჟარაძისა, რომლის „ავტოპორტრეტიც“, ნაირა გელაშვილის „დედის ოთახთან“ ერთად, თაობის უსაყვარლესი საკითხავი იყო ოთხმოციანების მიწურულს, დამდეგი ტრაგიკული ათწლეულების კვირაძალში.

ამ ტექსტებში ყველაფერი პერსონიფიცირებულია — ხის წითლადშეღებილი ტრამვაიცა და სათავგადასავლო წიგნებში ჩახატული ტავერნაც, აივნებდაბრეცილი სახლებიცა და იებით დაწინწკლული მდელოც.

ექიმმა ვერ გადაარჩინა პუდელი დეზი (როგორც ანა კორძაია-სამადაშვილს გამოსტყდომია ზაალ სამადაშვილი), მაგრამ, რაც არ შეუძლია ექიმს, შეუძლია სიტყვას და ამ მოთხრობებში იყურსებიან დეზიცა და ფისო ეუც, როგორც ათასი სხვა რამ სახსოვარი, ათასი პლეხანოვური ამბავი, ერთდროულად გულისმომწყვლელიცა და თვალისმომჭრელად ნათელიც.

„პლეხანოვი უბანს ერქვა“ — სევდიანია სათაური...

ლოკალური ამბების ზოგადსაკაცობრიო ენერგეტიკა სხვა მათემატიკოსის — პასკალის მაქსიმასაც მოგვაგონებს: „ყველგან ცენტრია და ყველგან — პერიფერია.“ ცენტრშიც პერიფერიაა და პერიფერიაშიც — ცენტრი, რადგან არ არსებობს უმნიშვნელო ამბები, მხოლოდ ცუდი და კარგი მთხრობელი არსებობს.

ზაალ სამადაშვილი უბრალოდ კარგი კი არა, დიდებული მთხრობელია, ასე დაძვირებული სრულიად სამყაროში, როცა თხრობას — დინჯს, ღრმას, დამაფიქრებელსა და განმწმენდს — ენაცვლება ინფორმაცია — ზედაპირული, ზერელე, ელვის სისწრაფით ცვალებადი და ამ მუდმივი ცვალებადობით შემაძრწუნებელი.

დასასრული მე-14 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუნარეშის საიდუმლოს ძიებაში

როსტომ ჩხეიძე

დასასრული

ეს გაშტერებული იდგებოდა და ეგონებოდა, რომ დედას კი არა, თავის ძალიან შორეულ წინაპარს ეხმიანებოდა საუკუნეთა მიღმიდან.

კვლავ დედის ჩურჩულმა უნდა მოშალოს ყოველგვარი ზღვარი და ერთმანეთს დაუკავშიროს წინაპარი და შთამომავალი, შეანივთოს იმქვეყნიური და ამქვეყნიური რეალობანი და ხელშესახებად და ძალუმად განაცდევინოს ის ტრადიცია თუ რიტუალი, რომელიც შვილს თითქოსდა გადავიწყებია, მაგრამ ერთბაშად უნდა აღდგეს მის არსებაში სრულყოფილი იდუმალებით.

თვით გნიასმა, თვით დაცემულმა ყოფამაც ვერ უნდა გააფერმკრთალოს ძველთაძველი დღესასწაულის ძალმოსილება, არამცთუ გაუქარწყლოს, და ეს იმიტომაც, ის ამოჩემებული ადგილი რომ უნარჩუნებდა სულიერ სიახლოვეს სვანურ გარემოსთან — ველური ბალახის სურნელი.

თურმე უბრალო კი არა, ჯადოსნური ბალახი ყოფილა.

და დედის ჩურჩულიც მისტიკური იერით იმოსება, არასდროს რომ აღარ დაეკარგება მთხრობელს ყურთასმენიდან და ყოველთვის მოაგონებს და განაცდევინებს ქუნარეშსაც, კოხინჯრობასაც... და ყველა იმ ტრადიციასა თუ რიტუალსაც, ზოგს მეტ-ნაკლებად რომ შეუნარჩუნებია სახე და არსი და ზოგიც ნამსხვრევებადღა შემორჩენილა.

ტყუილუბრალოდ ნუ შეეცდები მათ წიაღში შეღწევას, მხოლოდღა გარშემო უარე და დააკვირდი ასე შორიდან.

საიდუმლოებიდან მონაბერი სული შთაგბერავს იმ ძალას, სამშობლოდან გადაკარგულსაც რომ შეგანარჩუნებინებს ფესვებსაც და ტრადიციების გამძლეობის შეგრძნებასაც, სიზმარ-ცხადის მიჯნაზე ბორიალიც რომ უნდა შემოგეშველოს ამ მსოფლგანცდის განმტკიცებაში.

ესპანეთი, სადაც ემიგრანტის ტვირთი უნდა ეზიდა და სამსალა ესვა სოსო მეშველიანს, პირველად სწორედაც სიზმრებით უნდა შემოცურებულიყო მის არსებაში. და გასაკვირიც არ არის, რომ „დონ კიხოტის“ პირველად წაკითხვისთანავე ლამანჩელის ქვეყანა ზმანებებით ეხილა, ისე სასწაულად განეცადა სერვანტესის კალმის მადლი („ოთხმოცდაათიანების გამოძახილი“).

და შემდეგ, როცა ტოლედოში მოხვდებოდა, კუენკას მინდვრების გავლით, იცოდა, რომ აქ სადღაც ტობოსო მდებარეობდა, დულსინეას სოფელი. და ისეთი სევდა შემოაწვებოდა, ქვაზე ჩამოჯდებოდა და ატირდებოდა. მერე კი ერთ პატარა ლექსში ამ ტირილს დონ კიხოტს გადააბრალებდა: ყველას ღიმილს ჰგვრი, მე კი ვკვნესი, შენ რომ ტოლედოს ციხის ნაშალთან ჩამომჯდარი ბავშვივით ტირიო.

მინიატურებს მეორენაირად ლექსებსაც უწოდებენ პროზად, და რა გასაკვირია, თუკი პოეტის მინიატურებში პოეტური განწყობილებანი რაც შეიძლება მკვეთრი იქნება, ანდა ლირიკული სტრიქონებიც თუ შემოიჭრება — ან დაუწერელი ლექსების თავისებურ ფრაგმენტებად და ან ადრეული პოეტური ტაეპების გახსენებად. ხშირიც რომ იყოს, რა მოხდა განა?!. არც არაფერი, მაგრამ სოსო მეშველიანი ამჯობინებდა მინიატურებში ეპიკური მხარე უფრო გაემკვეთრებინა, ვიდრე ლირიკული, ლექსის ნატეხებს კი არ დამსგავსებოდა „ქუნარეშის“ ციკლი, არამედ ბელეტრისტიკის გამონათებებს: არა ლირიკულ დღიურად, არამედ პროზაულ ჩანახატებად.

მათგან „ავგიას თავლა“ სულაც ნოველისაკენ იჩენს მიდრეკილებას, თუ მთლად ნოველაც არ დაერქმევა — მწარე თავგადასავალი კაცისა, იშვიათი მოკრძალებითა და თავმდაბლობით რომ გამოირჩეოდა. პატიოსნებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო — ცოტა უწმაწურ ხუმრობაზეც ამხელა კაცი ბავშვივით წითლდებოდა.

და როგორ უნდა გამოიყვანო წყობიდან ასეთი ყოვლად უწყინარი ადამიანი, გაამხეცო და აზარტში შესულისათვის სისხლს უკვე აღარც სუნი ჰქონდეს, აღარც ფერი და აღარც გემო, პირდაღებულსა და დუჟმომდგარს პირში რომ უნდა ჩაეღვაროს... და როდესაც ხელ-ფეხს გადაუგრეხენ და წაათრევენ, კვლავაც მსხვერპლისაკენ იწევდეს, იწევდეს უკვე კარგა ხნის მკვდარი, თავგადაჩეჩქვილი, სისხლისაგან დაცლილი რუსი იგორასაკენ.

ხოლო განზრახ მკვლელობისათვის ოცწელს რომ მიუსჯიდნენ, იქ, ციხეში ზედამხედველი უნდა ეცემა და რამდენიმე წელიც დაემატებინათ.

თურმე როგორ შეიძლება შეტრიალდეს სულ სხვა ბუნებისა და ინტერესების ადამიანის ცხოვრება, როდესაც არ დაანებებ თავის ნებისად მიჰყვებოდეს წუთისოფლის გზებს და ძალით აქცევ მკვლელად.

და იშვიათად უნდა შემოჭრილიყო თხრობაში ადრინდელი სტრიქონები, გარდა დონ კიხოტთან გაზიარებული ტირილისა, დილისა და სათიბის მონატრებას რომ ვერ იკმარებდა, იმ გაუხუნარი განცდების აღდგენას შეეცდებოდა ფურცელზე, ნახევრად მძინარე რომ მიბარბაცებ და ამ დროს სულ სხვა გემო, ფერი და სურნელი დაჰკრავს სამყაროს. ჭრიჭინების გაუთავებელი ჭრიჭინი ჩიტების ჟღურტულმა რომ უნდა გადაფაროს, ჩიტების ჟღურტული კი აქა-იქ ერთმანეთს მიყოლებული მამლების ყივილმა. და ამ ჰარმონიაში თუ რაიმე უნდა შემოიჭრას უსიამოვნოდ, ცელის გამოკვერვა. ხევებიდან ამოვარდნილმა გრილმა ნიავმა მსუბუქი სილა რომ უნდა გაგაწნას სახეში, რათა საბოლოოდ გამოფხიზლდე, რაღაც ძალამ უნდა აგამჩატოს და ზეცისაკენ აგასწრაფოს, მაგრამ ცვრიანი ბალახით დასველებულმა შარვლის ტოტებმა ისე დაგამძიმოს, მიწაზე დაგტოვოს. უცნაურად გადაიხლართოს ერთმანეთში ფიქრები და... ახლა ერთი პატარა, მწვანე ქალაქი მოიგონო („დილა. სათიბი“).

რაღაც აკლდა სურათის სრულყოფილებას, ფინალურ აკორდს ამჯერად პროზაიკოსის მცდელობა ვერ გაწვდებოდა და ამიტომაც ლექსის სტრიქონებს უნდა შეეკრა და დაეგვირგვინებინა კომპოზიციური ქარგა: ჭრიჭინების ჭრიჭინშიც გაკრთება წრიპინა შუქნიშნების წრიპინი პატარა ქალაქის გარეუბნის შესასვლელთან, იქ, სადაც ბრმები გადადიან და კვეთენ ქუჩასო...

და კიდევ ერთხელაც უნდა ეჩინა თავი ლირიკულ სტრიქონებს მინიატურის დამაგვირგვინებლად, და ეს იმ უკიდურესად დაცემული, თავზარდამცემი რეალობის ფონზე, როდესაც ქმარი უსახლკარო კაცს, მათთან ცხოვრების ფასად, საკუთარ ცოლთან სექსზე უნდა გარიგებოდა — სამს გაეყოთ სარეცელი („მეგობრის მონათხრობი, რომელიც ძალიან ჰგავს ჩემსას“).

და ეს რაღაც გამონაკლისი კი არ არის, არამედ იმ დაცემული სინამდვილის განუყოფელი ნაწილი.

და უეცრად უნდა აღმოაჩინო, რომ ბედისწერა დაგცინის, თორემ სხვაგვარად როგორ გინდა ახსნა: ხან წარმართულ რიტუალს რომ ესწრები, ხან ტრანსების ზეიმს, ხან ხარაჩოზე დგახარ, ხან სცენაზე, ხან ღია ცისქვეშ ათევ ღამეს, ხან ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, ხან კამერის კედლებს ათვალიერებ და ხანაც სალვადორე დალის მუზეუმს...

ეს ყოველივე კი გულისშემძვრელად უნდა შეჰკრას სამად სამმა, ოღონდ ბევრისდამტევმა სტრიქონმა:

შენ სასტუმროში ათევ ღამეს,
მე — ღია ცისქვეშ.
რა თავი მოგაქვს ხუთი ვარსკვლავით.

ხოლო სიზმრებში დედამაც უნდა შემოაშუქოს, კერიასთან მიმჯდარმა და შუაცეცხლის კვამლში გახვეულმა („აულ-მაული“).

სწორედაც ტრადიციულ გარემოში უნდა ამოჩნდეს მისი სახება, და კვლავდაკვლავ ძველთაძველი რიტუალის შემახსენებლად.

მთხრობელი გაოგნებული უნდა დარჩეს მისი ხილვით, ძველ, ობმოკიდებულ პურს რომ ჭამდა, იქვე ტაბლაზე კი ცხელი, ნაცრიანი პურები უნდა ყოფილიყო დალაგებული. ოღონდ შვილი რომ დაწვდებოდა ორთქლიან, გვერდებშებრაწულ პურს, ის შეხებისთანავე უნდა გაციებულიყო, ხელებშივე დაძველებულიყო, გატეხავდი და... ობიანი უნდა აღმოჩენილიყო... ასევე მეორეც, მესამეც, მეოთხეც...

ამდენი პური დღესასწაულის გამო დაეცხო დედას.

და... მაინც რომელი დღესასწაულის?

აულ-მაულის.

ეს რიტუალი რაღას ნიშნავდა და:

როგორ დაგვეცვა შინაური ფრინველები მელიებისა და ქორებისაგან.

აღსრულებით კი ასე აღსრულდებოდა:

დიასახლისი ახალგამომცხვარ ხაჭაპურებს მაგიდაზე დაალაგებდა, სახლის კარი ნახევრად ღია უნდა ყოფილიყო, ღუმელსა ან ბუხარში, ისე რომ ხელის მოსაკიდი დარჩენილიყო, სანახევროდ შენთებული, აალებული მუგუზალი უნდა გამზადებულიყო. შვილი სწრაფად უნდა დაწვდომოდა მაგიდაზე დადებულ პურს და კარში გავარდნილიყო. დედას ის აგიზგიზებული შეშა უნდა ესროლა მისთვის, ცხადია არ დაემიზნებინა, რათა მაინცდამაინც მოერტყა, უბრალოდ ესროდა. თუმც მომხდარა ცოტა ტრაგიკული შემთხვევაც. შვილი გაასწრებდა და სირბილით დატოვებდა ეზო-გარემოს, გადაირბენდა და იძახებდა:

— აულ-მაულ! აულ-მაულ!

ასევე უნდა გამოცვენილიყვნენ სხვა სახლებიდანაც და ერთმანეთისათვის შეეწყოთ შეძახილი:

— აულ-მაულ! აულ-მაულ!

სოფლის განაპირას უზარმაზარი კოცონი დაენთოთ, თემებად დაყოფილ სოფელში ყველა თემი ცალ-ცალკე შეკრებილიყო, ესვათ, ეჭამათ, ემხიარულათ, ერთმანეთისათვის გადაეძახათ, ერთმანეთისაკენ გაერეკათ ქორები და მელიები.

შემდეგ გადაწეულიყვნენ, შერეოდნენ ერთმანეთს და შეჯიბრიც გაემართათ კოცონზე ხტომაში.

მოწყვეტილიყო ესპანეთში გადაკარგული მთხრობელი იმ გარემოს, სადაც ეს ხდებოდა?

მაგრამ სიზმარი მაინც არ დაანებებდა მოწყვეტას და არც დედის სახება, ესპანეთსა და სვანეთის მხარეს შორის რომ გაბამდა იდუმალ ძაფს და შვილს თვალნათლივ აღუდგენდა ცნობიერებაში რიტუალის მსვლელობას თავიდან ბოლომდე. და სულიერად, მაგრამ ხომ მაინც ჩართავდა ტრადიციის აღსრულებაში.

დედის მოლანდებაც კი ინარჩუნებდა რწმენას ძველი წარმოდგენებისა.

რწმენა ინარჩუნებდა რიტუალების აღსრულების გარდუვალობას, მითოსისათვის ნიშანდობლივ ციკლურ პროცესს.

მაგრამ... ულმობელი დრო ავად რომ შეხლია ამ რწმენას?

და ინავლება, იბჟუტება რიტუალები, ღამის მთლადაც გაგიცამტვერდეს თვალსადახელშუა...

თუმც საიდანღაც უნდა მოგევლინონ ძალზე წვრილი პეპლები და კიდეც შემომწკრივდნენ საგანგებოდ ქუნარეშის რიტუალისათვის გაწყობილ, ფქვილიან ჯამში ჩამაგრებულ თხილის წვრილ ტოტზე...

ნანა კუცია

იუველირის მოთმინება...

დასასრული

ნეორეალისტური ფილმებივით გულისმომწყვლელია ამ ტექსტების ანტურაჟიც, ფერიც, ქსოვილიც. წარმავლობის, „კვლავ ვერაფრით ამის ვერნახვის მსუბუქ თავბრუსთან“ (ესმა ონიანი) ერთად, წიგნს იმედი მსჭვალავს: სანამ ჭრაქის (თუ — მითუფრო ჭრაქის) შუქზე, სახეებ და სახელებწანისლულ სივრცეში კითხულობენ კუნდერასა და ბორხესს, „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერებასა“ და „პოლკოვნიკს არავინ სწერს“, სანამ ჟანგიან სანოლებზე მითვლემილთ მთის ნისლი ეზმანებათ, სანამ დიდი მწერლები „ნეკერჩხლებსა და მწყერჩიტებზე წერენ“, მისი უდიდებულესობა ლიტერატურა თავისას იტყვის — მანუგეშებელს, გამაძლიერებელს, მარადიულს, დროთა კავშირის აღმდგენს.

„დროთა კავშირზე“ გაგვახსენდება — წიგნს მიძღვნა უძღვის — „შვილიშვილებს — სალომესა და ანას“ — პირველივე მოთხრობა კი ასე იწყება: „იცით, როგორი პაპა მყავდა?“

სულ ესაა ყოფიერების წამიერი სივრცეც — პაპიდან შვილიშვილამდის და პირუკუ — ხსოვნა, მეხსიერება, ყოფიერების ენიგმურობის, ფიზიკურის მეტაფიზიკურობის განაზრება და განაზრება მთავრისა: „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“ (მოთა რუსთველი) — ყველაფრის, ყველა სიძნელის მიუხედავად.

ბავშვობისდროინდელი, „დღევანდელთან შედარებით სამჯერ პატარა თბილისის“ ამბებს ისე ჰყვება ზაალ სამადაშვილი, როგორც მოდიანო — პარიზისას, ფამუქი — სტამბოლისას... დღევანდელი თბილისის ამბებსაც.

ეს ჯერ კიდევ ქართული თბილისია, ესმა ონიანის ენდროსფერი თბილისი, ტილოებიდან თუ ტექსტებიდან რომ გვათბობს, არჩილ სულაკაურის „თბილისურ ჩანახატებსა“ თუ ნიკოლოზ გაბაონის „აივნიან ქალაქში“ არეკლილი... ინანიშვილისეული „განწირულობით შუქდაფენილი“, დაგლეჯილი ქვეყნის დაგლეჯილი დედაქალაქი...

მაგრამ ეს წიგნი რეკვიემი არაა.

ზაალ სამადაშვილმა იცის, რომ თითოეული ჩვენგანი მხოლოდ „საკუთარ ბლუზს უნდა წერდეს“ და ყველაზე სწორხაზოვანი სიზმრებიც კი გამოღვიძებით მთავრდება...

მერე რა, რომ „სოფელი მოსწრაფებით ირღვევა“ — ადამიანს სწყალობებია მადლი, მოსწრაფებით რღვევადი სოფლის ალიაქოთში მარადისობის სიმყუდროვე მოინატროს, დრტვინვისას გული არ გაიქვავოს და ძალიან უბრალოდ თქვას: „შინ ვზივარ უკვე. ლეკვი ფეხებთან მიზის. ვიღაც უხილავს ვეკამათები: ვერ მოგართვი! როგორც არ უნდა გამიჭირდეს, რანაირადაც არ უნდა გავღიზიანდე, ბრაზიან სტრიქონებს ვერ ელირსები ჩემგან. ხომ ვარ სენტიმენტალური? ეგ რა არის! უფრო სენტიმენტალური გავხდები“.

სენტიმენტალური ანუ გულით მოაზროვნე, მოაზროვნეთაგან უკეთესი.

ყოველი ლიტერატურათმცოდნე ამ მშვენიერი წიგნის რეცენზირებისას იგრძნობს საფრთხეს — „ინტერპრეტაცია ყველაფერს კიჩად აქცევს“. რეცენზენტი, ალბათ, მხოლოდ გიდია, მშვენიერი სამყაროს კარამდე რომ მიუძღვება ბედნიერ, „მისალოც“ მკითხველს (წინასწარვე დარწმუნებული, რომ მისეული ინტერპრეტაციაც განწირულია, იქცეს კიჩად).

დაბოლოს, ჟანრი ზაალ სამადაშვილის ნოველებისა იგივეა, რაც ჯოისის „დუბლინელებისა“ — ეპიფანიები (ბერძნულად — „გამოვლინება“, „გამოცხადება“, ღვთაებრივის ცხადი ანარეკლი ყოფიერში. „მწერლები მხოლოდ აფიქსირებენ ეპიფანიებს, ესთეტიკური ფენომენი არც გამოგონილია, არც ემპირიული, არამედ — რაღაც მესამე“ (სერგეი ხორუჟი, ბოლოსიტყვაობა ჯეიმზ ჯოისის მოთხრობების კრებულისათვის).

ინტერპრეტაცია, რა თქმა უნდა, კიჩია. რეცენზიაც...



ერთგულება

ამბავი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან

მთელი ცხოვრება იმ ერთის ერთგული დარჩა... შეაკვდა და შეაცივდა საბედოსთან დადებულ სიყვარულის ფიცს. ნაზად უფერებდა გულში ნალოლიავებ იმედს. აკი დაპირდა — დავბრუნდებიო...

თანდათან თმაში ჭაღარა შეერია, თვალები დაუნაოჭდა. ჩაუშავდა. ახლობლები დარიგებას ვეღარ უბედავდნენ. მთხოვნელებიც რა ხანია, ჩამოცილდნენ...

მოლოდინში ნელ-ნელა იფერფლებოდა...

მჯდომარე გარდაცვლილა, ხელსაქმით ხელში. ძველმოდურ, საკუთარი ხელით მოქარგულ, გაფითქინებულ საყელოიან კაბას მედალიონი უმშვენებდა, შიგ სათუთად ედო ორი იის გამხმარი ღერი.

...ის კი თურმე არც თუ ისე შორს წასულა. კახეთიდან ქართლში გადასახლებულა. ოჯახიც შეუქმნია და პირქვე გადაშვებულა ცხოვრების ორომტრიალში. კარგად გამომთვრალზეღა თუ გაახსენდებოდა მიტოვებული საცოლე, თვალის კუთხეში თითქოს ცრემლიც აუკიაფდებოდა... გამოფხიზლებულზე თავის მონაგარს გადახედავდა, ამოიოხრებდა და გულს დაიმშვიდებდა — აბა, ბედისწერას მე როგორ შევცვლიდიო?

ბაზრობაზე ძველი ნაცნობისგან გაუგია ყოფილი საცოლის ამბავი. შეცბუნებულა, დროებით შეუჩერებია წითელი სულ დარჩეული ვაშლით ვაჭრობა... მერე ერთად დაულევიათ შესანდობარი...

ნაცნობი წამოსულა. იები უყიდია. სულ ხელისგულებით გადაუწმენდია ნარჩენი თოვლისგან სევდიანი საფლავი. თავჩაღუნული კარგა ხანს მდგარა. გულნატკენს და აცრემლებულს ბოლოს დანანებით ამოუთქვია: არადა, იცი, მე როგორ მიყვარდიო...

მურაბიანი ქილა

ის იყო, ოთახიდან გასვლას ვაპირებდი, ტელეფონის ზარი გაისმა. ვუპასუხე. ჩემდა გასაოცრად, უცნობმა ხმამ ქართულად მომიკითხა. ხმით ვერ ვიცანი, ვერც სახელით. ვთხოვე, გვარი ეთქვა...

მოგონებებმა წარსულში გადამისროლა და თვალწინ ათიოდე წლის ქერა, თამამი გოგონა დამიდგა.

...ჩვიდმეტი წლის ვიყავი, რომ გავიცანი. დილაადრიანად მესტუმრა და მასწავლებლისთვის მისართმევად ჩემს ქორწილში ნაჩუქარი ყვავილების თაიგულებიდან ერთ-ერთი მთხოვა. ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა.

ერთად ვუყურებდით ხოლმე საბავშვო ფილმებს, ერთად ვუშვებდით საპნის ბუშტებს...

ბავშვი რომ შემეძინა, დედაჩემთან ვცხოვრობდი დროებით. ერთ დღეს იქაც მესტუმრა. მაშინ ერთი ჩემი დაქალიც ჩვენთან იყო სტუმრად. ვახშამს ვამზადებდით. მეგობართან ერთად სარდაფში უნდა ჩავსულიყავი მურაბის ამოსატანად.

მასაც მოუნდა წამოსვლა. დავუშალეთ, მაინც წამოგვყვა. ქილაც მან დაიჭირა ხელში. მეოთხე სართულს ვუახლოვდებოდით, რომ წაიბორძიკა და დაეცა. მინის ნამსხვრევებით და მურაბით დაისვარა იქაურობა. ჩვენც აღარ დავაყოვნეთ მისი დატუქსვა: „ხომ გეუბნებოდით, სახლში დარჩი!“

სადარბაზო რომ გავასუფთავე და შევბრუნდი, დედაჩემის გვერდით აკვანთან იჯდა შემცბარი. გული მეტკინა — დაქალთან შედარებით პატარად ჩავთვალე და უსამართლოდ მოვექეცი. ხომ შეიძლებოდა, ქილა მეც გამტეხვოდა?

ჩვენი ურთიერთობა ისევ გაგრძელდა, მაგრამ თითქოს ისეთი აღარ იყო, როგორც უწინ. მერე დავქვრივდი და სახლში დავბრუნდი. მაშინ უკვე ოცი წლის ვიყავი. ქუჩაში თუღა შევხვდებოდით ერთმანეთს. ერთხელ მითხრა, რომ გერმანულში ემზადებოდა.

უკანასკნელად ბებიაჩემის უბანში ვნახე, რატომღაც სევდა მომგვარა მისმა დაქალიშვილებულმა სხეულმა...

სულ მალე სასწავლებლად გერმანიაში გააგზავნეს. ჩვენი ურთიერთობაც გაწყდა...

მას შემდეგ წლები გავიდა... და ახლა უკვე გათხოვილი, ხმაშეცვლილი, ახალგაზრდა ქალი მირეკავდა გერმანიის ერთი პატარა ქალაქიდან სტამბოლში.

გონება დავძაბე — მინდოდა, გარეგნულად წარმომედგინა.

მიყვებოდა თავის თავზე, ქმარზე, დედამთილზე, ოჯახურ ამბებზე, გერმანიაში მცხოვრებ ქართველებზე...

ვუსმენდი და, რატომღაც, მე ისევ ის, მურაბით თითებმოსვრილი, პატარა გოგო მენატრებოდა.

ანევრიზმა

მძინარე ცოლ-შვილს დახედა და კარი ფრთხილად გაიხურა. კისერთან სიმძიმეს გრძნობდა. თავიც სტკიოდა. სატვირთოს მძღოლს ხრეში უკვე მოეტანა და ატალახებულ ჩიხში ყრიდა. ნიჩაბი აიღო და გადასწორება დაიწყო. მეზობელი შეეშველა — თავს გაუფრთხილდი, ხომ იცი, კარგად არ ხარო!

სახლში შებრუნდა, წყლის გამაცხელებელი ჩართო, საძინებელში შევიდა და ცოლს წასჩურჩულა — წყალს გითბობ სარეცხისთვის. ვიდრე დედაჩემი ზედა სართულიდან ჩამოვა, უცბად გარეცხე, ხომ იცი მაგის ხასიათი... ქალმა ნებიერად იცვალა გვერდი. უმალ საბანი გადასწია და ჩაეხუტა.

აკი, სარეცხი გარეცხეო?! — ცოლი ნიშნის მოგებით გაუსრიალდა ლოგინიდან...

ეზოში რომ შემობრუნდა, სარეცხი უკვე გაფენილი დახვდა. ქალი სამზარეულოში საყინულიდან ახლად გამოღებულ სახაშეს ჭრიდა.

თითები არ გაგეყინოსო — კისერში აკოცა და თვითონ განაგრძო დაჭრა. თავის ტკივილი უძლიერდებოდა.

ჰაერზე გავიდა. დეკემბრის ჩვეულებრივი დღე იდგა, არაფრით გამორჩეული. სანახევროდ აშენებულ აჩონჩხლილ სახლს შეხედა და ისევ საქმეს მიუბრუნდა. ნიჩაბი რამდენჯერმე გადაატარა ქვებზე და თავში სისველე იგრძნო.

უხმოდ მიატოვა ყველაფერი. არამყარი ნაბიჯებით გაემართა სახლისკენ. ფიცრებისგან სახელდახელოდ აწყობილი დროებითი კიბე ძლივს აიარა და ვარაუდით შეაღო შუშებიანი კარი. შინდისფერ დივანზე ჩამოჯდა. ცოლს რომ ძალიან მოეწონა და გასულ კვირას უყიდა, იმაზე. თავბრუ ეხვეოდა, აზიდებდა. საძინებლიდან ბავშვის ტიტინი ისმოდა.

გაიღვიძე... მამიკო? — უღონოდ შეეხმიანა შვილს. ქალი მისმა ხმამ შეაშფოთა. სანახევროდ ჩაცმული ბავშვით ხელში გამოხედა ქმარს.

ცუდად... — კაცმა სათქმელი ვეღარ დაამთავრა. ცოლს ხელები აუკანკალდა. პატარა იქვე დასვა. ქმარს ენის ქვეშ წამალი ჩაუდო. ფეხსაცმელი გახადა. დაწოლაში მიეხმარა. ფეხებთან ოთახის ჩუსტები დაუწყო — რომ ადგება, ფეხი ცივ იატაკზე არ დააბიჯოსო...

დაწოლილი კაცი ისევ წამოჯდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. უცნაურად ატრიალებდა თავს და ლუღლუღებდა. სახლში ტელეფონი არ ჰქონდათ. შეშინებული ქალი ეზოში გავარდა და მეზობელს სასწრაფო დახმარების გამოძახება სთხოვა. იმ წამსვე უკან შებრუნდა. კაცს პირიდან მომწვანო-მოყვითალო სითხე გადმოღვროდა. მოწმინდა და უხმოდ ატირდა...

სადღაც შორიდან სასწრაფო დახმარების მანქანის სირენის ხმა მოისმა — მოგუდულად და უიმედოდ...

ემზარ კვიტაიშვილი

ახალი ფრანგული გალეტი „მეცო“

მუსიკის მფეთქავ ტალღებზე
მიექანები, თქვი, სად?
აღარაფერი გიკლია,
გადიქცე ოცი წლისად.

რას წნავენ მათი თითები,
ემსუბუქებათ ტანი,
იფიქრებ, მიწას მოსწყდნენო —
წყვილები, სხვადასხვანი.

მაღლა იშვერენ გრძელ ხელებს,
ცის წიაღში თუ იშვნენ,
რა ქარიშხალი აბრუნებს
ბიჭებს, წელს ზემოთ შიშვლებს.

მოგნუსხავს ზღაპრის ყურება,
ყიჟინას ხომ ვერ მორთავ,
თავბრუს დაგახვევს ტრიალი
გამორჩეულთა, ორთა.

მკერდი გაგლიჯა სურვილმა,
აენთო, ავარვარდა —
ბოლო არ ექნეს ამ ქროლვას
და არ დაეშვას ფარდა.

ასე მოკლდება სიცოცხლე

წინ რო მიიწევ, სულ გახსოვდეს,
უკან იხევენ თარიღები...
ცოდვა მაშინ ხარ, იტყვი ოდეს:
„დახშულო კარო, არ იღები!“

რად შევახსენო, ხედავს ყველა —
კედელ-სვეტებიც ძველდებიან;
რაც რო თაობებს რიგზე ცელავს,
თავს დატეხილი ელდებია.

ფრთები დაგძვრება, ჯერ კი იფრენ,
შენი საწოლი ჯერ აგია...
დაგროვილს, შიში მოაქვს ციფრებს,
დრო — შემპარავი, ვერაგია.

რამდენს მოევლო შავი ჩარჩო,
დაცურავს თევზი, დაქრის ღალღა...
რაგინდ ხერხი არ მოიმარჯვო,
ვერ დაუსხლტები წლების ალყას...

ყველაფერს შეველევი

სად ვიქნები, ვერ შეიტყოს
ვერც მზემ და ვერც მთვარემ,
გამწირველო, შენი საქმე
მოითავე ბარემ,
სამარე არ დარჩეს არსად,
ისე გამაპარე.

ისე ჰქენი, ერთადერთიც
ვერ დავტოვო პწკარი,
ფართო, მოღიავებული,
ჭრიალებდეს კარი,
გამსხლტარს, არ მომასწრო მეტად,
რასაც მოვესწარი.

ზეწარი არ წამაფარო,
არც ხის ტახტზე ვიდო,
მოტაცება ვერ დაგასწროს —
ვერც ლეკმა, ვერც დიდომ,
გამაქანე და გამაქრე,
არც ვყოფილვარ ვითომ.

წრეს მავლებდა გამწარება,
მიწყივ, წარა-მარა,
მკლავდა, ვეღაც გაუმკლავდა
თვალთ მოწკურვა წკვარამს,
ზოგჯერ მეც მწინკნიდა ეჭვი —
ვიყავი თუ არა.

მწერალი

გაგა ნახუცრიშვილი

1993 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. სწავლობდა გერმანიის ქალაქ როთენბურგსა და იტალიის ქალაქ პერუჯაში. 1995-1997 წლებში ისტორიის მასწავლებლად მუშაობდა, აქვს ჟურნალისტური გამოცდილებაც. ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. 2003 წელს გახდა პრემია „საბას“ ლაურეატი პოეტური კრებულით „გამგზავრება და მოლოდინი“. წლებია, იბეჭდება ლიტერატურულ პერიოდიკაში. მოგვიანებით კალამი პროზაშიც მოსინჯა. არის არაერთი პოეტური კრებულის ავტორი.

დღეს გაგა ნახუცრიშვილი „ლიტერატურული გაზეთის“ სტუმარია.

— როგორც ვიცი, განსაკუთრებულად გიყვართ მოგზაურობა და სანამ ლიტერატურული კითხვებით მოგმართავდეთ, როგორ დაგეგმეთ წლევანდელი ზაფხული?

— განსაკუთრებულად მიყვარს მთა, თუმცა აგვისტო დაიწყო და ჯერჯერობით არაფერი დამიგეგმავს. ზოგადად, სიტყვა „დაგეგმვა“ არ მხიბლავს, ზაფხულსაც ნაკლებად უხდება. სიმართლე გითხრათ, წელიწადის ამ დროს თბილისში მირჩევნია მუშაობა, სიწყნარეა. მოგზაურობა მართლაც მიყვარს და რაც დრო გადის, უფრო ხშირად მინდება რომელიმე ქვეყნისა თუ ადგილის მონახულება; მენანება უმოგზაუროდ მოცდენილი დღეები, რომლებიც, ამ ბოლო დროს, მომრავლდა. გინდა-არ გინდა, საქმე მოითხოვს, ყოველდღიურ რუტინაში ვიყოთ ჩართულები. მოგზაურობისას თითქოს სხვა დროსა და სივრცეში ხვდები და ამით ყოველდღიურობისაგან ისვენებ. მერე კი, როცა შინ ბრუნდები, უკვე გრძნობ, როგორ მოგიხდა ყველაფერი ეს და ხვდები, როგორ დაგეხმარება ქალაქს გარეთ გატარებული დღეები მომავალში.

— რამდენად დიდ როლს ასრულებს წარსული თქვენს შემოქმედებაში?

— არ ვარ კაბინეტის მწერალი, რომელიც მოვლენებს აკვირდება და იკვლევს. ჩემი ნაწერები საკუთარი შთაბეჭდილებებით, პირადი განცდებითა და გამოცდილებით არის შექმნილი. სირთულეც ეს არის, შენი პირადი მხოლოდ შენთვის არ იყოს გასაგები და მკითხველმაც გაიაზროს და შეიგრძნოს. ბავშვობიდან ვწერ. თავიდან ვერთობოდი — გადმოვცემდი იმას, რაც მიხაროდა თუ მაწუხებდა. ცხადია, მოგვიანებით რაღაცას იგონებ, რადგან თუ რეალობას პირდაპირ გადაიტან, საინტერესო აღარ იქნება. დოკუმენტურ პროზაშიც კი ფანტაზიაა საჭირო. მთავარია, როგორ მიყვები შენს ნაფიქრალს, როგორ გადმოსცემ და რას სთავაზობ მკითხველს.

— ამბობთ, ბავშვობიდან ვწერო. გყავდათ ვინმე, ვინც მენტორობას გიწევდათ და შემოქმედებით პროცესში გეხმარებოდათ?

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ასეთი არავინ ყოფილა. საბედნიეროდ, რადგან, გინდა-არ გინდა, შენი მენტორის გავლენის ქვეშ ექცევი, რომლიდან გამოსვლაც ხშირად შეუძლებელია. თუმცა კარგი მასწავლებელი ის არის, ვინც გავლენის ქვეშ კი არ მოგაქცევს, არამედ თავისუფალ გზას გაგიხსნის. თუ ეს ვერ მოახერხა, ცუდად უსწავლებია. შესაძლოა, იყოს კარგი შემოქმედი, მაგრამ უვარგისი მასწავლებელი.

— რამდენად ხშირად წერთ?

— წლებთან ერთად გაცილებით მეტს სთხოვ საკუთარ თავს. წერაც უფრო და უფრო რთულდება, გამოქვეყნება — მით უმეტეს. მუშაობისას შენს შემოქმედებას მკაცრად განსჯი, თუმცა აქაც ზომიერებაა საჭირო. მართალია, მუდმივად სრულყოფილებისკენ ვისწრაფვით, რაც ბუნებრივია, მაგრამ ხშირად ეს მიუღწეველი. დრო მიდის და გინდა, მეტი მოასწრო. ყოფილა ცარიელი ფურცლებიც... ვცდილობ, რამდენიმე წინადადება მაინც დავწერო, თუნდაც ერთი აბზაცი, რათა საკუთარ თავს დაველაპარაკო.

„საქმე სიტყვასთან გვაქვს“

— 2017 წელს გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა თქვენი სადებიუტო რომანი „ზამთრის ზღვა“, რომელიც მკითხველისთვის, შეიძლება ითქვას, სიურპრიზი აღმოჩნდა. რამ განაპირობა, პროზაში გეცადათ ბედი?

— სიმართლე გითხრათ, რომანის დაწერას არ ვაპირებდი. წლების მიერ მოტანილმა ჩანაწერებმა შექმნა ის. ყველა ნაწარმოები უნებურად ამბობს თავის სათქმელს. წერ და კითხვებსაც თავისთავად სვამ. არადა, ამ კითხვების პასუხები რომ იცოდე, აღარც დაწერდი — ორ წინადადებაში იტყოდი და დაამთავრებდი. ამიტომ ჩემთვის საინტერესოა, თითოეულმა მკითხველმა რაღაც თავისი იპოვნოს ამ სამყაროში. თუ თავისი ტკივილის, სიხარულის, მოგონებისა თუ ფანტაზიის თუნდაც მცირედი ნაწილი მაინც აღმოაჩინა, ვფიქრობ, რაღაც გამომსვლია. ყველაფერი ეს მხოლოდ ჩემში არ დარჩენილა და მეტნაკლებად სწორად გადმომცია. ამ რომანის წერისას პირველი სირთულე იყო ის, რომ მუდმივად რაღაც მთავარის გვერდით დარჩენის შიში მქონდა. სულ ვფიქრობდი, რამდენად მკაფიოდ გადმოვცემდი სათქმელს, თუმცა ამან არ უნდა დაგაფრთხოს. ვფიქრობ, ეს ძალიან ბუნებრივი შიშია, რომლის გამოც არ უნდა დაიწყო ისეთი რაღაცების „ჩაყრა“, რაც მერე ზედმეტი იქნება. ნებისმიერი ნაწარმოების მთავარი საქმე გაწმენდაა. ერთხელ ჰემინგუეიმ ახალგაზრდა მწერალს ურჩია: „დაიმახსოვრე, ნაწარმოებში მთავარი არის ის, რას აგდებ და არა ის, რასაც ტოვებ.“ კინემატოგრაფიაში ამას მონტაჟი ჰქვია, ლიტერატურაში კი ეს საუკუნეებია, არსებობს.

— მანამდეც გიცდიათ პროზაულ ტექსტებთან შეჭიდება?

— ვწერდი, თუმცა არ ვაქვეყნებდი, რადგან არ მომწონდა. ბევრი რამ ღრმა ახალგაზრდობისას გავანადგურე და გულწრფელად ვიტყვი, დიდი სისულელე გავაკეთე — მოგონებად მაინც დარჩებოდა. იქნებ, იქიდან რაღაც გადამერჩია კიდეც, ანდა მეპოვნა ისეთი რამ, რაც ახლაც მომცემდა მუხტს დასაწერად. სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ყველანი წარსულიდან მოვდივართ და სწორედ წარსული გვიბიძგებს და გვიხსნის გზას მომავლისკენ. დიახ, ვწერდი მოთხრობებს, თუმცა მყოფნიდა სინდისი, არ დამებეჭდა. მერე, გარკვეულ ხანს, საერთოდ შევეშვი. ასაკთან ერთად სპონტანურად გაჩნდა ჩანაწერები. ჯერ „ანაბეჭდმა“, შემდეგ „შოკოლადმა“ მთხოვა, რაიმე დამეწერა და, აი, მივუბრუნდი პროზაულ ტექსტებს. მოგვიანებით ჩანაწერები გამომცემლობა „ინტელექტის“ დახმარებით რამდენიმე წიგნად გადაიქცა — ჯერ იყო „სისულელის ტრაქტატი“, შემდეგ კი — „ბარნოვის 122.“

— ამის შემდეგ იყო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, სადაც საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა. რომელი წიგნით წარსდექით იქაური აუდიტორიის წინაშე?

— ეს იყო შესანიშნავი მხატვრის, თუთუ კილაძის, ნახატებითა და ჩემი ჩანაწერებით შექმნილი ერთობლივი წიგნი „ზღვა მონატრება“, რომელიც იმით არის გამორჩეული, რომ როგორც ვიზუალი, ასევე ტექსტი, ცალ-ცალკე იქმნებოდა და მოგვიანებით „დამეგობრდნენ.“ როცა ჩანაწერს ნახატის მიხედვით ქმნი (ან პირიქით), ექცევი ჩარჩოში, ეს კი ლიტერატურასა და მხატვრობას არ უყვარს. ფრანკფურტში ყველაზე ემოციური ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრა იყო, რომელთათვისაც ქართული ლიტერატურის წარდგენა მსგავს ფესტივალებზე ყოველთვის განსაკუთრებულია, მით უფრო, თუ საქართველო ფესტივალის საპატიო მასპინძელი ქვეყანაა. მათ სიყვარულს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდი. ისინი არსად წასულან, პირიქით — მე დავბრუნდი ჩემს საქართველოში. ვიმედოვნებ, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ჩვენი ლიტერატურის საზღვარგარეთ გატანის დასაბამად იქცევა და ის ერთჯერად მოვლენად არ დარჩება, როგორც ხშირად ხდება ხოლმე. აქვე აღვნიშნავ — სხვათა შორის, ძალიან დიდი დაინტერესება იყო თავად გერმანელების მხრიდან. პირდაპირ გეტყვით, გამიკვირდა კიდეც. არ ველოდი ასეთ დახვედრას.

— გაზაფხულზე ლაიფციგის წიგნის ფესტივალზე საქართველო თავისი სტენდით იყო წარდგენილი, სადაც რამდენიმე ქართველ მწერალთან ერთად თქვენც მონაწილეობდით. როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით სამშობლოში?

— ძალიან საინტერესო ფესტივალია. ფრანკფურტივით მასშტაბური არ არის, მაგრამ მასზე არანაკლებ შემოქმედებითია. ლაიფციგშიც „ზღვა მონატრება“ წარადგინეს. მადლობა გამომცემელს ვლადიმირ ველმიცსკისა და იონას ლოფერს, მათივე დამსახურებით გამოიცა პეტრე ოცხელის (კოტე ჯანდიერის შესანიშნავი ტექსტითურთ) ალბომი და იონას ლოფერის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი ფუტურისტ-დადაისტების ალმანახი H2SO4.

— სულ ცოტა ხნის წინ გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა თქვენი ახალი პოეტური კრებული „სადგურები“. იქნებ ამ კრებულზეც გვითხრათ ორიოდე სიტყვა.

— „სადგურები“ ჩემს მეგობარს, არაჩვეულებრივ ადამიანსა და პოეტს, პაკო სვიმონიშვილს მივუძღვენი. ჩვენი ცხოვრება, ძირითადად, ერთგვარი მოგზაურობაა დროსა და სივრცეში. ისე მოხდა, რომ პაკოს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ხშირად ვმოგზაურობდით ერთად. სწორედ ამიტომ დავარქვი კრებულს „სადგურები“. მინდოდა, ყველა ლექსი, საბოლოო ჯამში, ერთ ამბად ქცეულიყო. პაკო ხუთი წლის წინ გარდაიცვალა და ლექსებიც ამ ხნის მანძილზე იწერებოდა. პაკოს გარდაცვალების შემდეგ ეს იყო ჩემი პირველი პოეტური კრებული. პაკო ჩემი მკითხველიც იყო და მკაცრი შემფასებელიც. შესანიშნავ პოეტს ძალიან კარგად შეეძლო სხვისი ლექსის დანახვა და სწორი და საჭირო შეფასება, რისი დეფიციტიცაა ჩვენს ქვეყანაში და არა მარტო ლიტერატურაში. მადლობა ამ წიგნისთვის კრებულის რედაქტორს, ზვიად კვარაცხელიას და დათო რობაქიძესა და ბექა ქურხულს, რომელთა შეფასებები ძალიან დამეხმარა.

— იქნებ პოეტურ და პროზაულ ტექსტზე მუშაობის პროცესი შევადაროთ ერთმანეთს...

— განსხვავებული შრომა სჭირდება. არც ერთი არის მარტივი, თუ გინდა, რომ კარგი გამოვიდეს. თუმცა სასიამოვნო სირთულეა. ნეტავ, ცხოვრების განმავლობაში სულ ასეთ სასიამოვნო სირთულეებს აწყდებოდეს ადამიანი.

— ორ განსხვავებულ ეპოქას ეკუთვნით. როგორ შეფასებდით თქვენი ახალგაზრდობისა და დღევანდელ თბილისს?

— პირდაპირ გეტყვით, ძალიან ცუდად მოვექეცით თბილისს როგორც ვიზუალურად, ისე — სულიერად. დედაქალაქს ტრავმა მივაყენეთ. მას თავისი სული აქვს და ეს ქალაქი ასეთ დაუნდობელ მოქცევას ნამდვილად არ იმსახურებდა. მაშინაც ბევრი რამ არ მოგვწონდა და უკეთესი გვინდოდა. არც იყო მოსაწონი, მაგრამ რაც კარგი იყო, იმასაც მივადექით და დავანგრიეთ. მანკიერი არათუ მოვიშორეთ, კიდევ ახალი მავნებლობები დავუმატეთ, რაც ბოროტებაშიც კი გადავიდა.

— არ ფიქრობთ, რომ სწორედ ლიტერატურაა ამ მანკიერებიდან და სიბნელიდან გამოსვლის ნათელი გზა?

— უფრო უნდა გამოცოცხლდეს საგამომცემლო საქმე. ლიტერატურა, ყოველგვარი პათოსის გარეშე ვამბობ, მართლაც არის ერთ-ერთი გზა, რომელიც შეიძლება, ჭაობიდან ამოსვლაში დაგვეხმაროს. ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ლიტერატორი და ამ სფეროს მსახური ვარ, არამედ იმიტომ, რომ არასწორი „ყურადღებით“ შეიძლება, საქმე უფრო გავაფუჭოთ. შემოქმედება ძალიან მგრძნობიარე რამ არის,ზედმეტად მგრძნობიარეც კი. არ უნდა დაგვავიწყდეს, საქმე სიტყვასთან გვაქვს.

— რა სიახლეებს უნდა ელოდოს მკითხველი თქვენგან?

— ახალ პოეტურ კრებულზე ვმუშაობ. უკვე აღვნიშნე, „სადგურები“ ერთ ამბად მინდოდა, ყოფილიყო და, შესაბამისად, ზოგი ლექსი ამ კრებულს მიღმა დავტოვე. არა იმიტომ, რომ დასაბეჭდად უვარგისად მივიჩნიე, უბრალოდ იქ ვერ ვნახე მათი ადგილი. მუშაობის პროცესში ვარ და წელს თუ არა, გაისად მინდა, ერთი კრებული გამოვცე. პროზას რაც შეეხება, ვნახოთ, იქნებ სამომავლოდ ეგეც მოვასწრო. სიჩქარე არ ვარგა, მაგრამ თუ რაღაც დაწყებული გაქვს, დახანება და დაგვიანებაც არ გაგიწევს კარგ სამსახურს. შემოქმედებითი პაუზის შიში არ არსებობს. თუ არ გეწერება, ჯობს, არ წერო. ნაძალადევად, მითუმეტეს მხატვრული ლიტერატურის შექმნა, რას ამბობთ, კოშმარია.

ესაუბრა გურო დავითლიძე

შემდეგი ნომერი გამოვა 6 სექტემბერს

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004